

**სამოქალაქო კოდექსის  
ზოგადი დებულებანი  
სანივთო სამართალი**

# 1. კანონის ანალოგია

ცილისწამება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-810-1129-07

16 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

26.09.2005 წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მ. ჯ-ნმა კ. კ-იას წინააღმდეგ.

მოსარჩელემ მოითხოვა: კ. კ-იას დაეკისროს 16.09.2005 წ. ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერი 9 საათზე“, პირდაპირი ეთერით მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა იმავე საშუალებით და იმ სახით, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს.

კ. კ-იას დაეკისროს 20.09.2005 წ. გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში - „კ-ქეს მაშინ მოვხსნი, როცა საჭირო იქნება“ - მის მიერ გავრცელებული ცნობების უარყოფა იმავე საშუალებით და იმ სახით, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს.

იუსტიციის სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფა.

მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 5 000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 07.03.2006 წ. გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა მოთხოვნა იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 07.03.2006 წ. დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე კ. კ-იას წარმომადგენელმა დ. ა-იანმა იშუამდგომლა დამატებითი მოსამზადებელი სხდომის ჩატარების შესახებ, იმ გარემოების შესამოწმებლად, ადგილი ჰქონდა თუ არა განსახილველ შემთხვევაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პოლიტიკურ დებატებს მხარეთა შორის. ამ გარემოების დასადასტურებლად მან სასამართლოს წარუდგინა 2005წ. სექტემბერში საინფორმაციო გამოშვება „კურიერის“ მიერ გავრცელებული ვიდეომასალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.04.2006წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხე კ. კ-იას წარმომადგენლის დ. ა-ნს შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

განჩინება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

მოსარჩელე მ. ჯ-იანი არის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის პირველი მუხლის „ი“ პუნქტით განსაზღვრული საჯარო პირი. დადგენილია მისი წევრობა იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოში, ხოლო წარმოდგენილი ვიდეომასალიდან ჩანს, რომ როგორც საბჭოს წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობდა 2005წ. სექტემბერში საზოგადოების ფართო ყურადღების ქვეშ მოქცეულ მსჯელობებში სასჯელალსრულებითი დაწესებულების საავადმყოფოდან პაციენტების სასჯელალსრულებით დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის პირველი მუხლის „ი“ პუნქტით, საჯარო პირად მიიჩნევა პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოების ყურადღება. იყო რა მონიტორინგის საბჭოს წევრი, მ.ჯ-იანი ფლობდა გაცილებით მეტ ინფორმაციას, ვიდრე რიგითი მოქალაქე ცალკეულ საკითხთან - სასჯელალსრულებით დაპარტამენტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და ამ მოვლენებზე

საჯაროდ გამოთქვამდა თავის აზრს. აქედან გამომდინარე, სასჯელალსრულებითი დეპარტამენტის თაობაზე მიმდინარე მსჯელობისას მისი სტატუსი არ შეიძლება გაიგივებულ იქნას რიგითი მოქალაქის სტატუსთან.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის პოზიცია, რომ როგორც საჯარო პირი, მ.ჯ-იანი პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობდა. შესაბამისად, მისი მონაწილეობით მიმდინარე დისკუსია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პოლიტიკურ დებატად არ ჩაითვალა და დადგინდა, რომ არ არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 22.06.2006 წ. გადაწყვეტილებით მ. ჯ-იანის სარჩელი მოპასუხე კ. კ-იას მიმართ, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფისა და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ პირდაპირ ეთერში 16.09.2005 წ. მოპასუხის მიერ გავრცელებულ იქნა სარჩელში აღნიშნული ინფორმაცია მოსარჩელის შესახებ. კერძოდ, გამონათქვამები - „მ. ჯ-იანი უშუალოდ ერეოდა, უხეშად არღვევდა თავის უფლებამოსილებას, თვითონ წერდა დასკვნებს კონკრეტულ ადამიანებზე კომისიის გვერდის ავლით“, „ამაზე ჩატარდება სრულყოფილი გამოძიება, რის შემდეგაც გაირკვევა, ამას აკეთებდა ლამაზი თვალების გულისთვის, თუ ეს სწორედ ის ბიზნესია, რომელსაც მიაგნო ამ სინდისგარეცხილმა ადამიანმა“ და ა.შ.

20.09.2005 წ. გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა მოპასუხის ინტერვიუ, რომელშიც აღინიშნა: „ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ფსიქიატრიულ დასკვნებზე ძალიან დიდი ფული კეთდებოდა. სიგიჟის ცნობას მათ აძლევდნენ, ვისაც არ ეკუთვნოდა. ეს ქალბატონი სწორედ საკუთარი ინტერესისათვის მოკალათდა ამ მონიტორინგის საბჭოში“. „სამედიცინო დასკვნებზე პასუხს სამედიცინო დეპარტამენტის ექიმები აგებენ, მათი უფროსი ლულაძე იყო, თანამზრახველები კი ჯ-იანი და სხვები. ალბუღი ფული ან ჩემთან უნდა მოეტანათ, ან თავად უნდა დაეტოვებინათ. ჩემთან არაფერი მოუტანიათ“ და ა.შ.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ თავისი მოთხოვნის საფუძველად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე მითითება. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2004წ. 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელმაც მე-18 მუხლით მოწესრიგებული მთელი რიგი საკითხები ახლებურად გადაწყვიტა. კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით შემოტანილ იქნა ცილისწამების ცნება. ამ ნორმით, ასეთად ჩაითვლება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. ცილისწამების მიმართ კანონი ადგენს მე-18 მუხლისაგან განსხვავებულ მტკიცებულებათა სტანდარტს. შესაბამისად, მხარეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობების მოსაწესრიგებლად სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის გამოყენება, ვინაიდან იგი არის სპეციალური და ახალი კანონი და მოიცავს ძველი კანონით (ანუ მე-18 მუხლით) მოწესრიგებულ ურთიერთობას.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკითხი, რომელზედაც პოლემიკა წარმოიშვა და რასაც მოჰყვა საბოლოოდ მოპასუხის ინტერვიუები და განცხადებები, 2005წ. სექტემბრის თვეში, საზოგადოების ფართო ყურადღების საგანს წარმოადგენდა. საქმეზე წარმოდგენილი ვიდეო კასეტების ჩანაწერებით დადგინდა, რომ 2005წ. სექტემბრის თვეში მართლაც მიმდინარეობდა ფართო დისკუსია წამოჭრილ საკითხებზე. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტით, საზოგადოებრივი ყურადღება წარმოადგენს საზოგადოების ინტერესს (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობას) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან. შესაბამისად, საზოგადოებას გააჩნდა მრთლზომიერი ინტერესი, მიეღო ინფორმაცია (მათ შორის მინისტრისაგან) განსახილველ საკითხებზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი შეიცავს იმ აუცილებელ ნიშანთა ერთობლიობის ჩამონათვალს, რაც იძლევა საჯარო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის ქმედებაში ყველა ნიშნით ერთდროული არსებობა, რაც გამორიცხავს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და ჩათვალა, რომ მ.ჯ-ნს, როგორც საჯარო პირს, უნდა გამოეჩინა კრიტიკის თემის ვალდებულება. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-ნმა. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 2 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. უსაფუძვლოდ ჩათვალა აპელანტის მითითება, რომ არ არსებობს კოლიზია სკ-ის მე-18 მუხლასა და „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ კანონის დებულებებს შორის.

2004წ. 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“, რითაც რადიკალურად შეიცვალა ის ნორმატიული ბაზა, რომელიც ქვეყანაში სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების რეჟიმს აწესრიგებდა. აღნიშნულმა კანონმა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დარეგულირებული მთელი რიგი საკითხები ახლებურად გადაწყვიტა.

„სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით განმტკიცებულია ცილისწამების ცნება: ასეთად ჩაითვლება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ მის მიმართ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, ანუ მოსარჩელე თვლის, რომ კ.კ-იას მხრიდან მ.ჯ-იანის მიმართ ცილისწამება განხორციელდა. ცილისწამების შემთხვევაში პირის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საკითხები დარეგულირებულია როგორც სკ-ის მე-18 მუხლით, ისე კანონით „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა შემთხვევა, როცა ერთი და იგივე ურთიერთობას არეგულირებს სხვადასხვა, მაგრამ იერარქიის ერთი და იგივე საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (ამოქმედდა 25.11.1997 წ.), კერძოდ მისი მე-18 მუხლი; და 2004წ. 24 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით, იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა. სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით, ერთი და იგივე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“, რომელიც სადავო საკითხის გადაწყვეტისას წარმოადგენს უფრო ახალ და სპეციალურ კანონს. სასამართლომ ასევე სწორად განმარტა კანონის ნორმები. გადაწყვეტილებაში მართებულადაა აღნიშნული, რომ მ.ჯ-იანის სასარჩელო მოთხოვნები გავრცელებული ინფორმაციის უარყოფის და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ, მთლიანად გამოდინარეობს სკ-ის მე-18 მუხლის არსიდან და არ შეესაბამება ახალი და სპეციალური კანონის - „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლით ცილისწამების განხორციელების გამო მოპასუხისათვის განსაზღვრულ სანქციას. სასამართლომ „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობს მ.ჯ-იანის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

„სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-13 და მე-14 მუხლები აწესებს საკითხის განსხვავებულ რეგლამენტაციას, ადგენს განსხვავებულ მტკიცების სტანდარტს, იმის მიხედვით, თუ ვინ არის ცილისწამების ობიექტი - კერძო პირი, თუ საჯარო პირი, მოსარჩელის სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, ის, რომ იგი საჯარო პირია, დადგენილია თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.04.2006 წ. განჩინებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად ჩათვალა მოსარჩელე საჯარო პირად და გამოიყენა სადავო საკითხის გადასაწყვეტად „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი. სააპელაციო პალატამ ასევე ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება მასზედ, რომ საკითხი, რომელზედაც პოლემიკა წარმოიშვა და რასაც მოჰყვა საბოლოოდ მოპასუხის ინტერვიუ და განცხადებები, 2005წ. სექტემბრის თვეში საზოგადოების ფართო ყურადღების საგანს წარმოადგენდა. საქმეზე წარმოდგენილი ვიდეო კასეტების ჩანაწერებით დადგენილია, რომ 2005წ. სექტემბრის თვეში მართლაც მიმდინარეობდა ფართო დისკუსია სასჯელადსრულებითი დაწესებულების საავადმყოფოში პაციენტების გადაყვანის საკითხებზე და აღნიშნულზე მიმართული იყო საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა). შესაბამისად, საზოგადოებას გააჩნდა მართლზომიერი ინტერესი, მიეღო ინფორმაცია (მათ შორის მინისტრისაგან) განსახილველ საკითხზე.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, სარჩელი საფუძვლიანია, თუ სახეზეა შემდეგი კუმულაციური პირობები:

1. თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ;
2. ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა;
3. განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

კუმულაციური პირობები თავისთავად გულისხმობს, რომ საჭიროა მათი ერთდროულად არსებობა პასუხისმგებლობის დადგომისათვის. ამდენად, განსხვავებით სკ-ის მე-18 მუხლისა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით მტკიცების ტვირთი შებრუნებულია. მოსარჩელე ვალდებული ამტკიცოს მის მიმართ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა.

პირველი პირობის შესახებ მ.ჯ-ნმა სასამართლოს წარუდგინა რიგი მტკიცებულებები, რომ იგი არ არის ეჭვიმთანილი, თანამზრახველი, რომ მას ბრალი არ ედება კანონის დარღვევაში - საქართველოს გენერალური პროკურატურის 28.10.2005წ. წერილი, რომლითაც დგინდება, რომ ჯ-იანი დაკითხულ იქნა მოწმის სახით. ანუ წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომ კ-იას განცხადება შესაძლოა შეიცავდა მცდარ ფაქტს მის ეჭვიმთანილობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება პასუხისმგებლობის მეორე პირობას, მოსარჩელის აღნიშვნით, კ-იას მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ მას მიაყენა ზიანი, მოსარჩელემ მისთვის ზიანის მიყენებით კუთხით სასამართლოს რაიმე კონკრეტული მტკიცებულება ვერ წარმოუდგინა.

მესამე პირობასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ იგი თავად შეიცავს ორ ალტერნატიულ საფუძველს: 1. რომ განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი, 2. ან რომ მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. ამდენად, მესამე პირობის არსებობა მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ამ საფუძვლებიდან ერთ-ერთის არსებობით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ კ-იასათვის გავრცელებული ფაქტების მცდარობა წინასწარ იყო ცნობილი და ვერც ის, რომ კ-იამ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

საქმის მასალებით, კერძოდ, იუსტიციის მინისტრის 13.09.2005 წ. ბრძანებით დადგენილია, რომ მოპასუხე კ-იამ საჯარო განცხადების გაკეთებამდე მიიღო ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად. კერძოდ, მისი 13.09.2005 წ. ბრძანებით დადგინდა იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში 01.01.2005 წ-დან 13.09.2005 წ-მდე პერიოდში გაწეული სამსახურებრივი საქმიანობის შემოწმება. ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია გენერალური ინსპექციის

უფროსის მოხსენებითი ბარათი. საქმეში წარმოდგენილია ასევე აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ჩატარებული შემოწმების შედეგების ამსახველი 13.10.2005 წ. დასკვნა. იგი შეიცავს ინფორმაციას მოსარჩელე მ.ჯ-იანის ქმედებაზეც.

სააპელაციო პალატა ასევე არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი განამტკიცებს გამოხატვის თავისუფლებას, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. აზრის გამოხატვის თავისუფლება, როგორც თავად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების წინაპირობა, სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება საზოგადოებისათვის საჭირობო საკითხებზე ღია, თავისუფალი დისკუსიები, ურომლისოდაც არ არსებობს დემოკრატიული განვითარება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ზოგადად განმარტებულია კრიტიკის თემის ვალდებულება, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკოსებს ეკისრებათ. მოგვიანებით, ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი ვალდებულება საჯარო მოხელეებზეც ვრცელდება. საჯარო მოხელეები, რომლებიც მოქმედებენ ოფიციალური უფლებამოსილებით, პოლიტიკოსების მსგავსად ექვემდებარებიან დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ზღვარს, ვიდრე კერძო პირები. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქმეებზე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ 1986წ. თომა ლუსემბურგის წინააღმდეგ 2001 წ. და განმარტა, რომ რადგან დადგენილია, რომ მ.ჯ-იანი წარმოადგენს საჯარო პირს, მიზანშეწონილად ჩათვალა საჯარო პირის მიმართ იგივე სტანდარტის გამოყენება, რაც პრეცედენტული სამართლით საჯარო მოხელეებისთვისაა დადგენილი. სასამართლო დაეყრდნო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-2 მუხლს, რომლითაც ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა საჯარო პირის მიმართ იგივე სტანდარტი, რაც პრეცედენტული სამართლით საჯარო მოხელეებისთვისაა დადგენილი.

საჯარო მოხელეთა მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით სარგებლობის უფლება პრეცედენტული სამართლითაც განმტკიცებულია. სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ კონვენციის გარანტიები საჯარო მოხელეებზეც ვრცელდება. „საჯარო მოხელეები ფიზიკური პირები არიან და, ამდენად, ექცევიან მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ“ (ფოგტი გერმანიის წინააღმდეგ, 1995 წ. აბზაცი 43,53), შესაბამისად, საჯარო მოხელეებსაც აქვთ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება. ამდენად, სააპელაციო პალატა გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ კ-იას ჰქონდა უფლება, გამოეხატა თავისი აზრი, მის სამინისტროში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ხოლო ასეთი მოსაზრების მიმართ მ.ჯ-ნს, როგორც საჯარო პირს, უნდა გამოეჩინა კრიტიკის თემის ვალდებულება.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 22.06.2006 წ. გადაწყვეტილებაში სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, დადგენილ გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-ნმა. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი; გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოსამართლემ მიუთითა, რომ სადავო ურთიერთობას აწესრიგებს ერთდროულად ორი კანონი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას და ადგენს იმ უფლებათა დაცვის სამართლებრივ საშუალებებს. კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კი იცავს პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. ადგილი არ აქვს კოლიზიას, რადგან სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით

დადგენილი და დაცულია სხვა უფლებები, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით კი სხვა უფლებები;

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მეორე და მესამე პირობა არ დასტურდებოდა.

კასატორის აზრით სადავო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იუსტიციის მინისტრის მიერ დასკვნების გაყალბებასა და სამარცხვინო მაქინაციებში მონაწილეობის დაბრალება, დიდი ფსიქოლოგიური სტრესის, შეურაცხყოფის და მორალური ზიანის მიმყენებელი იყო; კასატორის მოსაზრებით სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ინფორმაციის საკმარის და სათანადო ზომად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეისწავლა საქმის მასალები, და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

სკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით (ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით), პირს უფლება ჰქონდა სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა. 2004წ. 24 ივნისს ამ მუხლში შევიდა ცვლილებები, რომლითაც მე-18 ითვალისწინებს ამ უფლებათა დაცვას „კანონით დადგენილი წესით“.

2004წ. 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით შემოტანილ იქნა ცილისწამების ცნება. ამ ნორმით, ასეთად ჩაითვლება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება;

მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ მის მიმართ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, ანუ მოსარჩელე თვლის, რომ კ.კ-იას მხრიდან მ.ჯ-იანის მიმართ ცილისწამება განხორციელდა. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-13 და მე-14 მუხლები ადგენს განსხვავებულ მტკიცების სტანდარტს, იმის მიხედვით, თუ ვინ არის ცილისწამების ობიექტი - კერძო პირი, თუ საჯარო პირი. მოსარჩელის სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, ის, რომ იგი საჯარო პირია, დადგენილია სასამართლოს მიერ და აღნიშნულს კასატორი არ ხდის სადავოდ.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, სარჩელი საფუძვლიანია, თუ სახეზეა შემდეგი კუმულაციური პირობები:

1. თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ;
2. ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა;
3. განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

კუმულაციური პირობები გულისხმობს, რომ საჭიროა მათი ერთდროულად არსებობა პასუხისმგებლობის დადგომისათვის. ამდენად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, მოსარჩელე ვალდებული ამტკიცოს რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს მის შესახებ, ამ განცხადებით მას მიაღდა ზიანი და მოპასუხე ბრალეულად მოქმედებდა;

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ სასამართლოს რაიმე კონკრეტული მტკიცებულება ვერ წარმოუდგინა იმის დასადასტურებლად, რომ კ.კ-იას მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ მას მიაყენა ზიანი, ასევე მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ კ-იასთვის გავრცელებული ფაქტების მცდარობა წინასწარ იყო ცნობილი და ვერც ის, რომ კ-იამ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. კერძოდ, დადგენილია, რომ იუსტიციის მინისტრის 13.09.2005 წ. ბრძანებით, მოპასუხე კ.კ-იამ საჯარო განცხადების გაკეთებამდე მიიღო ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად. კერძოდ, მისი 13.09.2005 წ. ბრძანებით დადგინდა იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში 01.01.2005 წლიდან 13.09.2005 წლამდე პერიოდში გაწეული სამსახურებრივი საქმიანობის შემოწმება. ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია გენერალური ინსპექციის უფროსის მოხსენებითი ბარათი. საქმეში წარმოდგენილია ასევე აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ჩატარებული შემოწმების შედეგების ამსახველი 13.10.2005წ. დასკვნა, რომლითაც დასტურდება დეპარტამენტში არსებული დარღვევები. დასკვნა შეიცავს ინფორმაციას მოსარჩელე მ.ჯ-იანის ქმედებაზეც.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც გამოიწვია ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. შესაბამისად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

სსკ-ის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა კ-იას ბრალეული მოქმედება, არ არსებობდა მისი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო სასამართლო თვლის, მოცემულ საქმეზე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ჯ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 2 ივლისის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მოშლა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-132-475-07

26 ივნისი, 2007 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

თ. თოდრია,

ნ. კვანტალიანი



დავის საგანი: შრომითი ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება (სასარჩელო მოთხოვნა), თანხის დაბრუნება (შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა).

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 13 იანვარს ს. ჩ-ავას წარმომადგენელმა დ. კ-შვილმა სარჩელი აღძრა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიმართ და მოითხოვა შრომითი ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებათა გამო:

1. 2002წ. 13 სექტემბერს ს. ჩ-ავასა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას შორის დაიდო შრომის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღნიშნული ხელშეკრულების ამოწურვის ვადად სავარაუდოდ 2003წ. 30 სექტემბერი განისაზღვრა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია ხელშეკრულების შეწყვეტა. 2003წ. 18 დეკემბერს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2005წ. 31 დეკემბრამდე გააგრძელა. მოსარჩელის მითითებით, 2003წ. 30 სექტემბერს შრომის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ შრომითი ხელშეკრულება, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის „ბ“ პუნქტისა და 31-ე მუხლის თანახმად, უვადო რეჟიმში გადავიდა;

2. 2005წ. 14 დეკემბერს ს. ჩ-ავას წინასწარ ეცნობა 2005წ. 31 დეკემბერს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის თაობაზე. ამასთან, მოპასუხე საზოგადოებამ აღნიშნულ წერილში გამოხატა მზადყოფნა დარჩენილი 10 შვებულების დღისა და დეკრეტის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე ორგანიზაციამ მოსარჩელისაგან მოითხოვა მითითებული წერილის ჩაბარების დადასტურება, აღნიშნული წერილი წარმოადგენდა სასამართლოს გარეშე მორიგების შემოთავაზებას მოსარჩელის მიერ შემდგომი დასაქმების უფლებაზე ნებაყოფლობით უარის თქმის მიზნით.

ზემოაღწერილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით მოსარჩელე ს. ჩ-ვამ მიიჩნია, რომ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის მხრიდან მასთან დადებული შრომის ხელშეკრულება უკანონოდ შეწყდა შემდეგი სამართლებრივი გარემოებების გამო:

1. მხარეებს შორის შრომის ხელშეკრულება დაიდო 2002წ. 13 სექტემბერს, სავარაუდოდ 2003წ. 30 სექტემბრამდე. წერილობითი ხელშეკრულება გაგრძელდა 2003წ. 18 დეკემბრამდე. 2003წ. 30 სექტემბრიდან 2003წ. 18 დეკემბრამდე შრომითი ურთიერთობა მიმდინარეობდა უწყვეტად. შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად კი, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, თუ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გრძელდება და მხარეები არ ითხოვენ მის შეწყვეტას, ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით. მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულების გაგრძელების დოკუმენტს ვერ მიენიჭება უპირატესობა შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლთან მიმართებაში, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს და ლახავს დაქირავებულის ინტერესს, შესაბამისად, აღნიშნული შეთანხმება ბათილია სკ-ის 54-ე მუხლისა და შრომის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად;

2. 2002წ. 13 სექტემბერს დადებული ხელშეკრულება უწყვეტად მოქმედებდა 2005წ. 31 დეკემბრამდე. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული ხელშეკრულება ვადიან ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან, შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, 3 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება ავტომატურად უვადო ხელშეკრულების რეჟიმში გადადის;

3. ის გარემოება, რომ მოპასუხე ორგანიზაცია მის მიერ გამოგზავნილ ყველა წერილზე მიღების დადასტურებას ითხოვდა, მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულების მოშლას წარმოადგენს, ვინაიდან დაქირავებულისათვის ვადიანი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ინსტიტუტს შრომის სამართალი არ იცნობს. ვადის ამოწურვა შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია და ის რაიმე დამატებით შეტყობინებას არ საჭიროებს;

4. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია შვებულების დროს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა, მოსარჩელის მითითებით კი იგი 2005წ. 14 დეკემბერს დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა;

5. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ მას თვით მუშაკთა რიცხოვნების ან შტატების შემცირების დროსაც სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ჰქონდა, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თანაბარი პირობების სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა გააჩნიათ ქალებს, რომელთაც ჰყავთ 3 წლამდე ასაკის ბავშვი. მოსარჩელეს კი უკვე სარჩელის შეტანის დღისათვის ორი სამ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავდა;

6. მოსარჩელეს სარჩელის შეტანის დღემდე დარჩენილ დასაქმებულ თანამშრომელთაგან პროექტში მუშაობის ყველაზე ხანგრძლივი სტაჟი გააჩნდა. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, უპირატესი დარჩენის უფლება გააჩნია იმ პირს, რომელსაც ამ ორგანიზაციაში მუშაობის უფრო ხანგრძლივი სტაჟი აქვს;

7. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე ორგანიზაციის მზადყოფნა მოსარჩელისათვის შევსებულების შემდგომი დღეების ანაზღაურების თაობაზე, წარმოადგენს მოპასუხე ორგანიზაციის მხრიდან იმ ფაქტის კიდევ ერთხელ აღიარებას, რომ მოსარჩელე ს. ჩ-ავას მოპასუხე ორგანიზაციაში დასაქმების უფლება გააჩნდა, ვინაიდან, მოსარჩელის აზრით, შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დეკრეტული შევსებულების ანაზღაურების უფლება მხოლოდ მომუშავე ქალს აქვს;

8. მოსარჩელის აზრით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების 2005წ. 14 დეკემბრის წერილი ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლას წარმოადგენდა, თუმცა, მოპასუხე ორგანიზაციამ დოკუმენტის შენიღბვა სცადა, რათა მოსარჩელეს აღნიშნული დოკუმენტის გასაჩივრების ერთთვიანი ვადა გაეშვა;

9. მოსარჩელის მითითებით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ხელშეკრულების მოშლით მის მიმართ განხორციელდა ამკარა დისკრიმინაცია, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუმშავებელია ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომელთაც 3 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ადმინისტრაციის ინიციატივით დათხოვნა;

10. ზემოაღწერილი დისკრიმინაციული ქმედებით მოსარჩელეს მორალური ზიანი მიაღდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ მიჩნევა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, სასამართლო ხარჯების - 1350 ლარისა და მორალური ზიანის ანაზღაურება კერძოდ, ქმედების ფორმისა და დისკრიმინაციული ხასიათისათვის 7 500 ლარი, ხოლო საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის კი, 7 500 ლარი.

2006წ. 27 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელმა გ. ტ-ძემ და მოითხოვა მოპასუხე (შეგებებულ სარჩელში) ს. ჩ-ავასათვის შეცდომით და სათანადო ვალდებულების გარეშე, დეკრეტული შევსებულების საზღაურის სახით, გადახდილი 1532 ევროს ეკვივალენტი ლარის დაკისრება მისი მარწმუნებელი ორგანიზაციის სასარგებლოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 6 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ს. ჩ-ავას უარი ეთქვა მოპასუხე გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიმართ შრომითი ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე; არ დაკმაყოფილდა ასევე გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების შეგებებული სარჩელი ს. ჩ-ავას მიმართ ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხის დაბრუნებისა და წარმომადგენლისათვის გადახდილი ჰონორარის დაკისრების შესახებ. სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა სამ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ხელშეკრულება ავტომატურად უვადო რეჟიმში გადავიდა. კოლეგიის განმარტებით, შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის ამგვარი განმარტება არ გამოდინარეობს შრომითსამართლებრივი კანონმდებლობიდან. სასამართლო კოლეგიამ ს.ჩ-ავასა და გერმანიის ტექნიკურ თანამშრომლობას შორის სხვადასხვა დროს შეტანილი ცვლილებები, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებისა თუ შრომის ანაზღაურების შესახებ, ახალ პირობებზე მიიჩნია. ამდენად, სასამართლომ შრომის ხელშეკრულების საფუძვლად ჩათვალა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა და არა ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით.

რაც შეეხება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შეგებებული სარჩელის მოთხოვნებს, კოლეგიამ იხელმძღვანელა სკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიუთითა, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ასევე, თუ მიძღვება შეედლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს

თუ არა უკან დაბრუნების მოთხოვნის პირობები. კოლეგიის აზრით, მოცემულ შემთხვევაში ს. ჩ-ავას შეეძლო ევარაუდა, რომ, მიუხედავად შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისა, ადმინისტრაციას სურდა მისთვის თანხის სრულად გადახდა. შესაბამისად, კოლეგიამ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია და შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 6 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ჩ-ავას წარმომადგენელმა დ. კ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006წ. 22 ნოემბრის განჩინებით ს. ჩ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 6 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, როდესაც მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება სამ წელზე მეტი ვადით გაგრძელების ნაწილში, სკ-ის 54-ე მუხლისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ მიიჩნია ბათილად, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - უვადოდ გაგრძელებულად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 54-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი გარიგებებისა და არა დამსაქმებელსა და მუშაკს შორის შრომის ხელშეკრულებაზე (კონტრაქტზე) დაფუძნებულ შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.

რაც შეეხება ვადიანი ხელშეკრულების უვადო ხელშეკრულების რეჟიმში გადასვლას, აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი არ შეიცავს ნორმას, რომელიც ზემოთ აღნიშნული ვადის დარღვევით დადებულ შრომის ხელშეკრულებას უპირობოდ განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევს. ერთადერთი ნორმა, რომელიც ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოქმედების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესაძლებლობას ითვალისწინებს, არის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გრძელდება და არც ერთმა მხარემ არ მოითხოვა მისი შეწყვეტა, ხელშეკრულების (კონტრაქტის) მოქმედება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად ითვლება. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ს. ჩ-ავასა და აგრემანის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას შორის დადებული შრომის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ (2005წ. 31 დეკემბრიდან) მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად არ გაგრძელებულა და, შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად ვერ ჩაითვლება. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2002წ. 13 სექტემბრის შრომის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე მხარეთა შორის 2003წ. 26 სექტემბერსა და 2003წ. 18 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებები დადებულია მხარეთა ნების ავტონომიის ფარგლებში და, შესაბამისად, შრომის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება სამ წელზე მეტი ვადით, ამ ხელშეკრულების მოქმედებას განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად ვერ აქცევს.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2002წ. 13 სექტემბერს დადებული ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოქმედების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიჩნევის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელე ს. ჩ-ავას მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის, ასევე განაცდური ხელფასისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 22 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ჩ-ავას წარმომადგენელმა დ. კ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას საფუძვლად მიუთითა შემდეგ მატერიალურ-სამართლებრივ წინამძღვრებზე:

1. სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლომ არ გამოიყენა სკ-ის 54-ე მუხლი და უპირატესობა მიანიჭა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-6 მუხლს, ვინაიდან არასწორად განმარტა სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც ერთსა და იმავე სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი ნორმა, კასატორის მითითებით, სკ-ის ბათილობისა და საცილობის ნორმებსა და შრომის კოდექსის მე-6

მუხლს შორის კოლიზია არ არსებობს, შესაბამისად, შრომით- სამართლებრივ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ბათილობისა და საცილობის ნორმები, ასევე შრომის კანონთა კოდექსის მე-6 მუხლი;

2. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შრომის ხელშეკრულება იდება განსაზღვრული ვადით, არა უმეტეს 3 წლისა“. კასატორი აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სადავო შრომით ხელშეკრულებაში ვადის თაობაზე შეთანხმებას ბათილად მიიჩნევს, თუმცა ეყრდნობა რა სკ-ის 62-ე მუხლს, ამბობს, რომ ვადის შესახებ შეთანხმების ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ბათილობას, ვინაიდან სხვა ყველა არსებითი დებულება უცვლელი რჩება;

3. კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან და სხდომის ოქმებიდან ნათლად ჩანს, რომ სააპელაციო პალატამ სადავო ხელშეკრულება ერთ მთლიან ხელშეკრულებად მიიჩნია, რომლის მოქმედების ვადა 3 წელს აღემატება. კასატორის მითითებით, სამ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება კი, სკ-ის 54-ე და მე-10 მუხლების თანახმად, ვადის შეთანხმების ნაწილში ბათილია;

4. კასატორის მითითებით, დამსაქმებლის მიერ დეკრეტის თანხის გადახდის ვალდებულების აღიარება ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ და შემდგომ აღნიშნული თანხის გადახდა განხილულ უნდა იქნეს როგორც შრომითი ურთიერთობის ფაქტობრივი გაგრძელება ან დამსაქმებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით დადებულად აღიარება, რაც, როგორც კასატორი აღნიშნავს, სააპელაციო პალატამ არ შეაფასა;

5. კასატორის მითითებით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის დათქმა 2005წ. 31 დეკემბერს მხოლოდ ფორმალური ხასიათის იყო და უკავშირდებოდა პროექტის დაფინანსების გაგრძელებას. ის რომ მოწინააღმდეგე მხარეს კასატორთან თანამშრომლობის გრძელვადიანი ინტერესი ჰქონდა, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მოპასუხე ორგანიზაციამ დამსაქმებლის სასარგებლოდ სადაზღვევო კომპანიასთან სადაზღვევო ხელშეკრულება 2006წ. აგვისტომდე გააფორმა;

6. კასატორს სადავო ხელშეკრულების შეწყვეტით შეეღობა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. კასატორის განმარტებით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში თანამშრომლებს ათავისუფლებდნენ მხოლოდ უხეში და სერიოზული დარღვევებისათვის, შესაბამისად, კასატორის განთავისუფლება ორსულობის ბოლო პერიოდში მას საზოგადოებისა და საქმიანი პარტნიორების თვალში მნიშვნელოვან ჩრდილს აყენებს და მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას ლახავს, გარდა ამისა, აღნიშნული ხელშეკრულების მოშლით გამოწვეულმა ფსიქიკურმა ტრავმამ კასატორის ჯანმრთელობა შეარყია;

7. კასატორმა დამატებით საკასაციო საჩივარში ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება შეუწყვიტეს, რაც შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლის მე-3 ნაწილს ეწინააღმდეგება. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუშვებელია ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომლებსაც 3 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო მოწყობით. კასატორის მითითებით, მისი დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით დაუშვებელი იყო, ვინაიდან იგი ხელშეკრულების მოშლის დროისათვის ორსულობის ბოლო პერიოდში იყო და ამასთან, 3 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავდა, ხელშეკრულების მოშლა კი შეიძლებოდა მხოლოდ დამსაქმებლის ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის დროს, ისიც იმ დათქმით, რომ დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის სავალდებულო მოწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს. ჩ-ავას წარმომადგენელმა დ. კ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ს. ჩ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა არ უნდა დარეგულირდეს მხოლოდ შრომის კანონთა კოდექსით, მაშინ, როდესაც აღნიშნული ურთიერთობის სამართლიანი და ობიექტური მოწესრიგება შრომითსამართლებრივ ჩარჩოებს სცილდება და მოწესრიგებას კერძო სამართლის

ზოგადი პრინციპების შესაბამისად საჭიროებს. შრომის სამართალი კერძო სამართლის სისტემის ნაწილია, ხოლო სამოქალაქო სამართალი, ზოგადი კერძო სამართალი. განსაკუთრებით ეს ეხება სამოქალაქო სამართლის შესავალ ნაწილს, რომელიც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ისეთ საკითხებს არეგულირებს, როგორებიცაა პირები, გარიგებები, ვადები და ა.შ. ამდენად, შრომითსამართლებრივი ურთიერთობის იმ საკითხების მიმართ, რომლებსაც შრომის კანონთა კოდექსი არ არეგულირებს, გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებები. აღნიშნული გათვალისწინებულია ახალი შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სადაც მითითებულია, რომ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. მართალია, აღნიშნულ დებულებას არ შეიცავდა შრომის კანონთა კოდექსი, მაგრამ იგულისხმებოდა კერძო სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ამიტომ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სკ-ის 54-ე მუხლი (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი) გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი გარიგებების და არა დამსაქმებელსა და მუშაკს შორის წარმოშობილი შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, რომლებიც შრომის ხელშეკრულებას – კონტრაქტს ეფუძნება. შრომის კანონთა კოდექსის (მოცემული დავის წარმოშობის მომენტიანათვის მოქმედი) მე-16 მუხლის თანახმად, შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის შეთანხმება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე – საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია იღებს უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე – მუშაკი ვალდებულია იღებს შესრულოს გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების კონტრაქტის პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს. ამდენად, ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შრომითსამართლებრივი კონტრაქტი გარიგების სპეციალური სახეა, რასაც სპეციალური სუბიექტების (მუშაკისა და დამქირავებლის) არსებობა განაპირობებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სპეციალური ხასიათის ნორმა, რომელიც სპეციალურ სუბიექტთა ურთიერთობას აწესრიგებს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სპეციალური ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ანალოგიის სახით, ხოლო, რაც შეხება ზოგად ნორმებს, რომლებიც კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სივრცეში ზოგადი ხასიათის დებულებებს შეიცავენ, ისინი გამოყენებულ უნდა იქნას სპეციალური ურთიერთობების მოწესრიგების დროს, თუ აღნიშნულ ურთიერთობის მოწესრიგებას სპეციალურ კანონი არ ითვალისწინებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი შრომითსამართლებრივი დავის როგორც შრომის კანონთა კოდექსის, ასევე სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებების ჭრილში განხილვა სამართლებრივად გამართლებული და მიზანშეწონილია. რაც შეეხება საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ ს. ჩ-ავასა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას შორის ერთიანი ხელშეკრულება არსებობდა, თუ ყოველი ახალი ნების გამოხატვის შემთხვევაში ახალი ხელშეკრულება იდებოდა, პალატა მიიჩნევს, რომ, თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება. მართალია, აღნიშნულ დებულებას შრომის კანონთა კოდექსი არ ითვალისწინებდა, განსხვავებით ახალი შრომის კოდექსისაგან (მე-6 მუხლის მე-6 ნაწილი), მაგრამ აღნიშნული გამომდინარეობდა კერძო ხასიათის შრომით- და სამოქალაქო სამართლებრივი დებულებებიდან, კერძოდ, კერძოსამართლებრივი გარიგების დადების წინაპირობაა ყველა არსებით წინაპირობაზე შეთანხმება. ერთ-ერთი არსებითი პირობის შეცვლა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით არ იწვევს მთლიანი გარიგების შეცვლას, არამედ წარმოადგენს ცვლილებას გარიგებაში, რაც აღნიშნული (მთავარი) გარიგების შემადგენელ ნაწილად აღიქმება და ერთ მთლიან ხელშეკრულებად განიხილება. როგორც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და საქმის მასალებიდან ირკვევა, ს. ჩ-ავასა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას შორის შრომის ხელშეკრულება 2002წ. 13

სექტემბერს 2003წ. 30 სექტემბრამდე დაიღო, ხოლო 2003წ. 18 დეკემბერს კი 2005წ. 31 დეკემბრამდე გაგრძელდა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით ფაქტობრივი გარემოებები არ არის ყოველმხრივ გამოკვლეული და დადგენილი, კერძოდ, სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა იმაზე, აღნიშნული ხელშეკრულებები მთლიანად ცვლიდა ერთმანეთს, თუ ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებდა ძალას და განიხილებოდა ერთიან ხელშეკრულებად. თუ ფაქტების ხელახლა შესწავლის შედეგად სააპელაციო პალატის მიერ დადასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ცალ-ცალკე ინარჩუნებდა ძალას და განიხილებოდა ერთ მთლიან ხელშეკრულებად, მაშინ სამართლებრივად უნდა შეფასდეს ამ უკანასკნელი ცვლილების (შრომის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით) კანონიერების საკითხი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს. ამავე კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად კი, გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ საქმისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა დაადგინოს, კერძოდ, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება დაქირავებულ მუშაკთან ხელშეკრულების ვადას აგრძელებდა პირობით, იმ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების ვადა სავარაუდოდ იქამდე გაგრძელდებოდა, სანამ საქართველოში აღნიშნული პროექტი იარსებებდა, თუ მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულებები ზუსტად განსაზღვრული ვადით იდებოდა. სკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნას, შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მუშას ან მოსამსახურეს წარმოეშობა სამუშაოდან დათხოვნის უკანონობის დადგენისა და წინანდელ სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაში. ამდენად, კასატორის მოთხოვნა განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე დამოკიდებულია სასამართლო გადაწყვეტილებაზე, რომელმაც ფაქტების დამატებით გამოკვლევის შედეგად უნდა დაადგინოს ხელშეკრულების შეწყვეტის კანონიერებისა და სამუშაოზე აღდგენის საკითხი.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რაზეც კასატორმა არა ერთხელ აღნიშნა როგორც პირველი ინსტანციით, ასევე სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს, კერძოდ, საქმე ეხება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლით გათვალისწინებული ქალთა შრომის უფლებების დაცვის გარანტიებს. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომლებსაც 3 წლამდე ბავშვები ჰყავთ (მარტოხელა დედების - 14 წლამდე ასაკის ბავშვის ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვის ყოლისას) დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით. აღნიშნული ქალების სავალდებულო შრომით მოწყობას ადმინისტრაცია ახორციელებს აგრეთვე ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო მათი დათხოვნის შემთხვევაშიც. შრომითი მოწყობის პერიოდში მათ უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, მაგრამ არაუმეტეს სამი თვისა ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის დღიდან. აღნიშნული მუხლის ახსნა-განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ კანონი, მართალია, შესაძლებლად მიიჩნევს ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომლებსაც 3 წლამდე ბავშვები ჰყავთ დათხოვნას, მაგრამ მხოლოდ სავალდებულო შრომითი მოწყობის პირობებში. სავალდებულო შრომით მოწყობაში კი იგულისხმება დამქირავებლის ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარ ან სხვა დაწესებულებაში ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო დათხოვნილ ქალთა შრომითი მოწყობა. თუ რა ღონისძიებები განხორციელდა ამ მიმართულებით და რა ზომები მიიღო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ 3 წლამდე ასაკის 2 ბავშვის დედის სავალდებულო შრომითი მოწყობის მიმართულებით ფაქტის საკითხია და დადგენას საჭიროებს, რაც აღნიშნული საქმის სააპელაციო წესით ხელახლა განხილვის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის მითითებას, იმასთან დაკავშირებით, რომ კასატორის სასარჩელო მოთხოვნას იმთავითვე სამსახურში აღდგენა წარმოადგენდა და არა სავალდებულო შრომითი მოწყობა. შესაბამისად, კასატორი საკასაციო წესით განხილვის ეტაპზე სსკ-ის 406-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნას ვეღარ შეცვლის, ხოლო ამავე კოდექსის 248-ე მუხლის მიხედვით კი, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნას. მოწინააღმდეგე

მხარის აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სავალდებულო შრომითი მოწყობა არ გულისხმობს შრომითი მოწყობის ვალდებულებას მხოლოდ და მხოლოდ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში, შრომითი მოწყობის ვალდებულების შესრულება შეიძლება გამოიხატოს იმავე ვადიანი ხელშეკრულების გაგრძელებაშიც, რომლის ვადის ამოწურვასაც მოჰყვება მუშაკის დათხოვნა, ასევე ახალი ხელშეკრულების დადებაში და ა.შ. ამდენად, ს. ჩ-ავას მოთხოვნა სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლიდანაც მომდინარეობს და ამიტომ იგი საკასაციო პალატის მიერ მოთხოვნის შეცვლად ვერ განიხილება.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შრომითსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, რაც შეეხება სკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შედეგად მორალური ზიანის ანაზღაურებას, აღნიშნული მუხლის საფუძველზე მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

1. დადგინდება, ქმედების მართლწინააღმდეგობა, რამაც კასატორის საქმიანი რეპუტაცია შელახა;
2. მართლსაწინააღმდეგო ქმედება მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვისკენ იყო მიმართული;
3. არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოწინააღმდეგე მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და კასატორისათვის მიყენებულ ზიანს შორის;

ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხიც უნდა გადაწყდეს ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დადგენის შედეგად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი ფაქტობრივი გარემოებებია გამოსაკვლევი, რაც, სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, საქმის სააპელაციო წესით ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 412-ე, მუხლებითა და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ს. ჩ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 22 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას; განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირადი არაქონებრივი უფლების დაცვა; ცილისწამება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-564-905-07

14 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-აიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. კ-ძის, დ. მიმინოშვილის, თ. ჭ-იას, ნ. ი-ელის, ნ. თ-ძის, ი. ნ-ძის, ნ. ტ-ძის, უ. ყ-შვილის, თ. და მ. ს-ძეების, ი. ე-ძის, რ. შ-იასა და ც. რ-შვილის მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების, ასევე მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოპასუხეები არიან მოსარჩელის მეზობლები, რომლებთანაც მოსარჩელეს, გარკვეული საყოფაცხოვრებო პრობლემების გამო, დაძაბული ურთიერთობა აქვს, კერძოდ, მოპასუხე უ. ყ-შვილს ზ.მ-აიას სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაევალა უკანონო ნაგებობის დანგრევა, მოპასუხე ი.ნ-ძესთან უსიამოვნება შეეძთხვა მოსარჩელის ბინაში მოპასუხის ბინიდან წყლის ჩამოსვლის გამო. დასახელებულ პირთა ინიციატივით მოპასუხეებმა საჩივრით მიმართეს სამართალდამცავ ორგანოს, სადაც მიუთითეს, რომ ზ.მ-აიას სახლში საბავშვო ბაღი აქვს გახსნილი, სახელმწიფოს უმაღლეს გადასახადებს, ასევე მოსარჩელე დაადანაშაულებს ამორალურ ქმედებებში, რაც ცილისწამებაა და ლახავს მის პატივსა და ღირსებას. მოპასუხეებმა არ მისცეს სახლში მუშაობის უფლება, კერძოდ, ჩაეტარებინა მუსიკის გაკვეთილები, რითაც მიაყენეს ასევე მატერიალური ზიანიც. მართალია, მოსარჩელის ბინაში მოხდა ინციდენტი, როდესაც მასთან თავიანთი უკმაყოფილების გამოსახატავად მოვიდნენ იმ პირის შვილები, რომელიც ზ.მ-აიას ოჯახის შექმნას სთავაზობდა, მაგრამ აღნიშნულის შედეგად მოსარჩელემ მოჩხუბარი მხარეები თავისი ბინიდან დაითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006წ. 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ზ.მ-აიამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 10 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მხარეები არიან მეზობლები. 2002წ. 2 იანვრის ღამეს ქ.თბილისში, ... №55-ში მდებარე №1 კორპუსში ორმა უცხო მამაკაცმა დაარღვია მეზობლების სიმყუდროვე. ისინი ეძებდნენ მუსიკის მასწავლებელს და შეურაცხყოფას აყენებდნენ სადარბაზოში მცხოვრებ ბინის მესაკუთრეებს, რაც დასტურდება მოპასუხეთა და თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტებითაც თავისი საქმროს შვილების მიერ დებოშის მოწყობის თაობაზე. ზ.მ-აიას მეზობლებმა 2002წ. თებერვალში განცხადებით მიმართეს ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მე-3 განყოფილებას, მიუთითეს ზ.მ-აიას მიერ მეზობლების სიმშვიდისა და სიმყუდროვის დარღვევის ფაქტზე და მოითხოვეს კანონშეუსაბამო ქმედებათა აღკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოითხოვდნენ კანონის შესაბამისად მის გასახლებას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პირის არაქონებრივი უფლებები არ შელახულა, რადგან მოპასუხეთა მიერ პოლიციისადმი დაწერილი განცხადება ერთი შეხედვით შეიცავს მითითებას მორალური ნორმების დარღვევის თაობაზე, თუმცა იგი პირის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებად ვერ ჩაითვლება, რადგან „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციის ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეების მიერ პოლიციისათვის მიმართვა მიზნად ისახავდა არა პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელებას, არამედ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვას. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ დასახელებულ განცხადებაში მითითებული გარემოებები წარმოადგენს მომხდარი ფაქტის მოპასუხეთა მიერ შეფასებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ზ. მ-აიამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ ორი უცხო მამაკაცი ეძებდა კასატორს, რა დროსაც შეურაცხყოფას აყენებდა მეზობლებს, თუმცა სასამართლომ არასწორად არ ჩათვალა მეზობლების მიერ სადავო განცხადებაში აღნიშნული ფაქტის მათეული შეფასება ცილისწამებად და პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებად, რადგან დასახელებულ განცხადებაში მიეთითა, რომ ზ.მ-აიას უცხო მამაკაცები ბინაში მიჰყავს სისტემატურად, მაშინ, როცა რეალურად კასატორთან მისუღმა მისმა საქმროს შვილებმა საზოგადოებრივი წესრიგი მხოლოდ ერთხელ დაარღვიეს და აღნიშნულის შედეგად მოსარჩელემ აუკრძალა მასთან მისვლა როგორც იმ პიროვნებას, რომელსაც ზ.მ-აიასთან ოჯახის შექმნა სურდა, ისე მის შვილებს. ასევე არასწორია სააპელაციო პალატის შეფასება მოპასუხეთა მიერ განცხადებით



პოლიციისათვის მიმართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან კანონმდებელი ცალსახად არ განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელების დეფინიციას, არამედ უთითებს მისი გავრცელების ცალკეულ შემთხვევებს პრესით ან რაიმე საბუთით, თუმცა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს შელახული უფლების დაცვას ნებისმიერ, მათ შორის, სადავო სახის ინფორმაციის პოლიციისათვის შეტყობინების შემთხვევაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. მ-აიას საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს აღნიშნული სახის პრეტენზია არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოდავე მხარეები არიან მეზობლები. 2002წ. 2 იანვრის ღამეს ქ.თბილისში, წყნეთის გამზირ №55-ში მდებარე №1 კორპუსში ორმა უცხო მამაკაცმა დაარღვია მეზობლების სიმყუდროვე. ისინი ეძებდნენ მუსიკის მასწავლებელს და შეურაცხყოფას აყენებდნენ სადარბაზოში მცხოვრებ ბინის მესაკუთრეებს, რაც დასტურდება მოპასუხეთა და თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტებითაც თავისი საქმროს შვილების მიერ დებოშის მოწყობის თაობაზე. ზ.მ-აიას მეზობლებმა 2002წ. თებერვალში განცხადებით მიმართეს ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მე-3 განყოფილებას, მიუთითეს ზ.მ-აიას მიერ მეზობლების სიმშვიდისა და სიმყუდროვის დარღვევის ფაქტზე და მოითხოვეს კანონშეუსაბამო ქმედებათა აღკვეთა.

სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. კასატორი ზ.მ-აია გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, საკასაციო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოპასუხეთა სადავო განცხადებაში მითითებული გარემოება, რომ ზ.მ-აიას სახლში მოჰყავს მამაკაცები, არის ცილისწამება.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, ცილისწამებად ითვლება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. ამავე კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად კი, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

ამდენად, აღნიშნული ნორმის თანახმად, ცილისწამებად მიიჩნევა არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადების გავრცელება, შესაბამისად, კერძო პირმა ცილისწამების თაობაზე სარჩელის წარდგენისას თვითონ უნდა დაამტკიცოს ორი გარემოება: 1. მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებები; 2. აღნიშნული განცხადებები ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სავსებით საფუძვლიანად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თავად ზ.მ-აია ადასტურებს მოპასუხეთა სადავო განცხადებაში აღნიშნულ ფაქტს კასატორთან მისული პირების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თაობაზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განცხადებაში დასახელებული გარემოება ღამის საათებში ზ.მ-აიას სტუმრების მიერ იმავე ბინაში მაცხოვრებელთა სიმშვიდის დარღვევის ფაქტზე სინამდვილეს შეესაბამება. კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ კონკრეტულად რა ზიანი მიაყენა მას სადავო განცხადებაში აღნიშნულმა გარემოებებმა და რაში გამოიხატა პირის პატივისა და ღირსების შელახვა. ზემოხსენებული კანონით კი, მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელის მხარეზეა და იგი ვალდებულია, დაამტკიცოს სარჩელში მითითებული ყველა გარემოება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. მ-აიამ მოწინააღმდეგე მხარის მიერ მისი პატივისა და ღირსების შელახვისა და არასწორი ცნობების გავრცელებით ზიანის მიყენების ფაქტი სათანადოდ ვერ დაადასტურა, რაც მის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. მ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 10 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. მოჩვენებითი და თვალთმაქციური გარიგება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-693-914-08

12 დეკემბერი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 9 სექტემბერს ლ. ჭ-ქმ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების გ. და თ. ქ-ძეების მიმართ და მოითხოვა მოპასუხეთა შორის 2006წ. 8 აპრილს გაფორმებული საცხოვრებელი ბინის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მოპასუხის უკანონო ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის – 1800 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006წ. 14 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ქ-ძეს მის სასარგებლოდ დაეკისრა 1040 აშშ დოლარისა და 3280 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და 2006წ. 24 ნოემბერს გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი. მოსარჩელის აზრით, ვალის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, თ. ქ-ძემ 2006წ. 8 აპრილს გააფორმა მოჩვენებითი გარიგება – ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ქ. ბათუმში, ... ქ.№192-ში მდებარე სახლთმფლობელობა აჩუქა თავის შვილს – გ. ქ-ძეს.

ვინაიდან აღნიშნული ქმედების გამო, დროულად ვერ მოხერხდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, ლ. ჭ-ქმ იძულებული იყო ეცხოვრა ქირით, სადაც ყოველთვიურად იხდიდა 100 აშშ დოლარს, შესაბამისად, მას მიაღდა მატერიალური ზიანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლ. ჭ-ქმ მოითხოვა თ. ქ-ძესა და გ. ქ-ძეს შორის 2006წ. 8 აპრილს გაფორმებული ბინის ჩუქების ხელშეკრულების, როგორც მოჩვენებითი და თვალთმაქციური გარიგების, ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება 1800 აშშ დოლარის ოდენობით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძვლით, რომ საცხოვრებელი ბინის ჩუქების ხელშეკრულება დაიდო არა მოსაჩვენებლად, არამედ რეალური შედეგისათვის.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008წ. 30 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ძის სარჩელის თ. და გ. ქ-ძეების მიმართ საცხოვრებელი ბინის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006წ. 14 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხე თ. ქ-ძეს ლ. ჭ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1040 აშშ დოლარისა და 3316.5 ლარის გადახდა,

რომლის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ 2006წ. 24 ნოემბერს შუახვევის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა სააღსრულებო სამსახურს და მოითხოვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;

თ. ქ-ძის საკუთრებაში 1990წ. 3 ოქტომბრის №11121 ნოტარიული ხელშეკრულების საფუძველზე ირიცხებოდა ქ. ბათუმში ... ქ-№192-ში მდებარე მთლიანი სახლთმფლობელობის 1/7 ნაწილი;

მხარეთა შორის მიმდინარე სასამართლო დავის დროს მოსარჩელეს თ. ქ-ძის საკუთრებაში რიცხულ სახლზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და მისი დაყადაღება არ მოუთხოვია;

ლ. ჭ-ძის მიერ სასამართლოში სააღსრულებო ფურცლის მიღებისა და მის სააღსრულებო ბიუროში წარდგენამდე 2006წ. 8 აპრილს თ. ქ-ძემ სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით სახლი აჩუქა თავის შვილს – გ. ქ-ძეს, რომელიც ნაჩუქარ სახლს დღემდე ფლობს და სარგებლობს მისით; სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 56-ე და 170-ე მუხლები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჭ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 27 მაისის განჩინებით ლ. ჭ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების მიმართ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია 2006წ. 8 აპრილის ჩუქების ხელშეკრულება ნამდვილად და არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჭ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი, რომელიც არ გამოიყენა და გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 524-525-ე მუხლები, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; სასამართლომ ლ. ჭ-ძის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ შეაფასა და არც უმსჯელია მის გარშემო, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, რის გამოც მოითხოვა მისი გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 2003 წელს ლ. ჭ-ძემ თავისი საცხოვრებელი სახლი მიყიდა თ. ქ-ძეს. ამ უკანასკნელს შეთანხმებული ფასი უნდა გადაეხადა შვილის – გ. ქ-ძის დაქორწინების შემდეგ, 2004 წელს. მოპასუხის შვილი დაქორწინდა 2004 წელს, მაგრამ თ. ქ-ძეს ნაყიდი სახლის ღირებულება არ გადაუხდია, რის გამოც ლ. ჭ-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს. შუახვევის რაიონული სასამართლოს 2005წ. 14 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006წ. 14 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ქ-ძეს ლ. ჭ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1040 აშშ დოლარისა და 3280 ლარის გადახდა, რაც შევიდა კანონიერ ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ 2006წ. 4 აპრილს თ. ქ-ძემ თავისი კუთვნილი სახლი, მდებარე ქ. ბათუმში, ჩუქების ხელშეკრულებით აჩუქა თავის შვილს – გ. ქ-ძეს. მოპასუხის განმარტებით სადავო ბინა ამჟამად გაქირავებულია. დადგენილია ასევე, რომ 2006წ. 14 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდება, ვინაიდან თ. ქ-ძეს არ გააჩნია საკმარისი ქონება. მოსარჩელის განმარტებით მოპასუხემ შუახვევის რაიონის სოფ. ელ გომართელში არსებული ქონება გადაძალა, ხოლო სადავო ბინა ფორმალურად გადააფორმა შვილზე იმ მიზნით, რომ არ გადაეხადა გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს ჩუქების

ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

მოჩვენებითი გარიგების დროს მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად ან დასაფარავად გამოიყენება იმ მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაეჩქვოს, მოვალე ვითომ ყიდის ან ჩუქნის ქონებას. მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში შეიძლება დაისვას მესამე პირთა ინტერესების დაცვის საკითხი. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი. მოცემულ შემთხვევაში სადავო გარიგების მონაწილე სუბიექტების ნების გამოვლენის მოჩვენებით ხასიათზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ჩუქების ხელშეკრულება დაიდო მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით თ. ქ-მს დაეკისრა ვალდებულების შესრულება ლ. ჭ-მის სასარგებლოდ და შეიძლებოდა სადავო ქონებაზე მიქცეულიყო აღსრულება. გასათვალისწინებელია ასევე იმ გარემოება, რომ სადავო სახლის განკარგვა მოხდა უსასყიდლოდ ოჯახის წევრზე. ის ფაქტი, რომ სადავო სახლი გაქირავებულია, მიუთითებს იმაზე, რომ ბინის ჩუქება არ იყო განპირობებული იმით, რომ გ. ქ-მს არ გააჩნდა სხვა საცხოვრებელი. მითითებული გარემოებები საკასაციო სასამართლოს უქმნის რწმენას, რომ აღნიშნული მოქმედება განხორციელდა კრედიტორის დაკმაყოფილებისათვის თავის არიდების მიზნით. ამ გარემოებების გამომრიცხველი რაიმე მტკიცებულება საქმის მასალებში არ მოიპოვება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ 2006წ. 8 აპრილის ჩუქების ხელშეკრულება დადებულია იმ მიზნით, რომ მოვალე თ. ქ-მემ თავი აარიდოს კრედიტორის დაკმაყოფილებას, რის გამოც იგი ბათილ გარიგებად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების ნაწილში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, შესაბამისად, მისი გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილდა, რაც სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს სარჩელზე – 100 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე – შესაბამისად 150 და 300 ლარს, სულ 550 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 55-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ლ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 27 მაისის განჩინება ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

ბათილად იქნეს ცნობილი თ. ქ-მესა და გ. ქ-მეს შორის დადებული ქ. ბათუმში, ... ქ.№192-ში მდებარე სახლთმფლობელობის 2006წ. 8 აპრილის ჩუქების ხელშეკრულება;

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

თ. ქ-მესა და გ. ქ-მეს სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 550 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

არსებითი შეცდომის სახეები

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-525-870-07

19 დეკემბერი 2007 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრაი

დავის საგანი: მინდობილობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ბინიდან გამოსახლება.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. თ-ოვის წარმომადგენელმა ი.შ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. წ-იას, მ. მ-ავასა და ქბათუმის ნოტარიუს ლ. ჭ-იას მიმართ მინდობილობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: ვ.წ-იამ ისარგებლა მოსარჩელის მიერ ქართული წერა-კითხვის უცოდინრობით, 2002წ. 4 მარტს მოტყუებით მოაწერინა მას ხელი სანოტარო აქტზე ა.თ-ოვის კუთვნილი უძრავი ქონების განკარგვის უფლების ვ. წ-იასათვის გადაცემის თაობაზე. რეალურად მოსარჩელე ფიქრობდა, რომ ხელს აწერდა ქ. ბათუმში, ... ქ. №7-ში მდებარე ა.თ-ოვის კუთვნილი ბინის იპოთეკის ხელშეკრულებას, რომლითაც უზრუნველყოფდა მისი მეუღლე ე. თ-ოვას მიერ ვ. წ-იასაგან ასაღებ სესხს. სადავო დოკუმენტები შედგა მხოლოდ ქართულ ენაზე, ამდენად, მოსარჩელე სათანადო თარგმანით ან თარჯიმნით უზრუნველყოფილი არ ყოფილა. 2003წ. 2 აპრილს ვ. წ-იამ ზემოსხსენებული ბინა მიჰყიდა თავის მეუღლე მ. მ-ავას. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული გარიგება, ისევე, როგორც ზემოთ მითითებული მინდობილობა, ბათილია, ვინაიდან სადავო სანოტარო აქტის შინაარსის გაცნობის შემთხვევაში მოსარჩელე მას ხელს არ მოაწერდა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, ხოლო მ. მ-ავამ შეგებებული სარჩელი აღძრა ა., აკ., არ., ე. და გ. თ-ვების მიმართ ბინიდან გამოსახლების შესახებ იმ საფუძველით, რომ ქბათუმში, ... ქ. №7-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა არის მისი საკუთრება, მოპასუხეები კი მას უკანონოდ არ ათავისუფლებენ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003წ. 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა.თ-ოვის სარჩელი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მინდობილობის გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, მ.მ-ავას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეები დასახელებული ბინიდან გამოსახლდნენ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. თ-ოვის წარმომადგენელმა ი.შ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ა.თ-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. წ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004წ. 15 დეკემბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. სააპელაციო პალატაში საქმის განხილვა დაინიშნა 2005წ. 14 ივლისს, რის შესახებ უწყებები გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ ა., გ., ე., ა. თ-ვებს, ვ. წ-იას, მ. მ-ავასა და ქბათუმის ნოტარიუს ლ.ჭ-იას. დანიშნულ დროს აპელანტის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, ვ.წ-იამ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 14 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. თ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო უწყება აპელანტს სსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე ა., ე., ა., გ. და ა. თ-ვების წარმომადგენელმა სულიკო დევრიშაძემ შეიტანა საჩივარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 2 სექტემბრის განჩინებით ა. თ-ოვის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. თ-ვმა გაასაჩივრა საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006წ. 10 ივლისის განჩინებით ა. თ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 2 სექტემბრის განჩინება და საქმე განსახილველად გაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ა. თ-ოვის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007წ. 23 აპრილის განჩინებით ა. თ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003წ. 15 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2002წ. 4 მარტს ვ. წ-იასა და ა. თ-ოვს შორის გაფორმდა №1-369 სანოტარო აქტი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლების გადაცემის შესახებ.

საქმეში წარმოდგენილია სადაო სანოტარო აქტი. მისი შინაარსიდან ირკვევა, რომ ა. თ-ვმა მიმართა ნოტარიუსს უძრავი ქონების (მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. №17 ბინა 9) მართვისა და განკარგვის უფლების ვ. წ-იასათვის მინიჭების მოთხოვნით. აქტიდანვე ირკვევა, რომ ნოტარიუსმა წარმოადგინა გარიგების შინაარსი, შეადგინა გარიგება, წაუკითხა იგი საკუთრების მიმნდობს და განუმარტა მისი შინაარსი, ასევე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ირკვევა ისიც, რომ საკუთრების მიმნდობმა მკაფიოდ და ნათლად განმარტა, რომ გარიგება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომაც პირდაპირ მოაწერა ხელი გარიგებას.

პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო მინდობილობის ხელშეკრულება ფორმის დაუცველად დადებული ხელშეკრულებაა, რის გამოც იგი ბათილია.

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნოტარიუსის მხრიდან სადაო მინდობილობის ხელშეკრულების გაფორმებისას კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული. ა. თ-ოვის წარმომადგენლის ი. შ-მის განმარტებით „თ-ოვი, ეროვნებით სომეხი გახლავთ, არ მიუღია ქართული განათლება, არ იცის ქართული წერა-კითხვა“... იქვე თ-ვმა რომ არ იცის ქართული წერა-კითხვა უდავოა“. ოქმში ასევე დაფიქსირებულია ნოტარიუს ჭ-იას განმარტება „მაგათმა რუსული წერაც არ იციან კარგად, მაგრამ კარგად ფლობენ, როგორც რუსულ ისე ქართულ ენებს“.

არსად პირველ ინსტანციაში მოსარჩელე მხარეს არ დაუფიქსირებია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მან (ა. თ-ვმა) არ იცის ქართული ენა, არამედ ყველგან ხაზგასმით არის მინიშნება იმის თაობაზე რომ ა. თ-ვმა არ იცის ქართული წერა-კითხვა“.

პალატა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ თ-ვმა არ იცის ქართული წერა-კითხვა, არც რუსული, მაგრამ იცის მშვენივრად როგორც ქართული, ისე რუსული ენები.

სააპელაციო სამართლომ ახალი ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად არ მიიჩნია თ-ოვის წარმომადგენლის განმარტება, რომ თ-ვმა არ იცის ქართული ენა, რადგან მის მიერ არანაირი მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის მიერ თარჯიმნის არ მოწვევით არ დარღვეულა კანონი, რადგან თ-ვმა იცოდა ქართული ენა (ამ შემთხვევაში როგორც ქართული, ისე რუსული ენები).

აღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ მიიჩნია, რომ სადაო გარიგების დადებით არ დარღვეულა სკ-ის 54-ე მუხლი ანუ არ დარღვეულა კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 23 აპრილის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. თ-ვმა.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით ა. თ-ვმა სარჩელი აღძრა მოპასუხეების ვ. წ-იას, მ. მ-ავას და ბათუმის ნოტარიუს ლ. ჭ-იას მიმართ და მოითხოვა 2003წ. 2 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2002წ. 4 მარტის მინდობილობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, იმ გარემოებათა გამო, რომ ვ. წ-იამ ისარგებლა ა. თ-ოვის ქართული ენის და წერა-კითხვის არ ცოდნით

და მოტყუებით მისი ნების საწინააღმდეგოდ მოაწერინეს ხელი კუთვნილი უძრავი ქონების განკარგვის უფლების წ-იასათვის გადაცემის თაობაზე. თუმავს განუძარტეს, როგორც მისმა ოჯახის წევრებმა ისე მოპასუხე მხარემ, რომ მისმა მეუღლემ ე. თ-ოვამ ვ. წ-იასაგან ისესხა 5000 აშშ დოლარი, რაზეც გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულება სანოტარო წესით. სადაო დოკუმენტები სანოტარო ბიუროში შედგენილი იქნა ქართულ ენაზე, იგი ნოტარიუსის მიერ თარჯიმნით უზრუნველყოფილი არ ყოფილა. 2003წ. 2 აპრილს ვ. წ-იამ მისი ბინა მიყიდა თავის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს – მ. მ-ავას.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2007წ. 23 აპრილს გამოტანილი განჩინებით უხეშად დაარღვია „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის და მე-6 მუხლის შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის მე-16 მუხლების მოთხოვნები. კერძოდ: საქმის მასალებით და სასამართლო სხდომის ოქმებით მთლიანად დადგენილია, რომ ნოტარიუსმა ლ. ჭ-იამ 2002წ. 2 აპრილს ისე შეადგინა სანოტარო აქტი ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ, რომ არ მოიწვია თარჯიმანი, ნოტარიუსის განმარტებით იგი ხარჯებთან იყო დაკავშირებული და თავად უთარგმნა ა. თ-ოვს ქართულ ენაზე შედგენილი სანოტარო აქტი რუსულად, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ინსტრუქცია ავალდებულებდა თარჯიმნის მოწვევას. აღნიშნული გარემოება დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი). სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თუ ა. თ-ოვი ქართულ ენას ფლობდა, რატომ ჩათვალა ნოტარიუსმა საჭიროდ დადგენილების შინაარსის მისთვის რუსულ ენაზე გადათარგმნა, ანუ ფაქტიურად თავად ნოტარიუსის ლ. ჭ-იას ჩვენებით არის დადასტურებული, რომ ა. თ-ვმა ქართული ენა არ იცის, რასაც ასევე ცალსახად ადასტურებს ნოტარიუსის მიერ ქართულად შედგენილ სანოტარო აქტზე ა. თ-ოვის სახელით შესრულებული რუსულენოვანი ხელმოწერა, რასაც გვერდი აუარა სააპელაციო სასამართლომ და ისე გამოიტანა გადაწყვეტილება.

კასატორის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე ე. თ-ოვამ არაერთხელ განმარტა, რომ მისი მეუღლე ა. თ-ოვი არ ფლობს ქართულ ენას, ხოლო წერა-კითხვა არც ქართულ და არც სხვა რომელიმე ენაზე არ იცის, რადგან სკოლაში არ უსწავლია, ნოტარიუს ლ. ჭ-იასთან ხელი მინდობილობაზე მოაწერა ა. თ-ოვის ნაცვლად მისმა მეუღლემ ე.მ, რაც ყველა იქ მყოფმა პირმა დაინახა და არაერთხელ აღიარა თავად ე. თ-ოვამ. მართალია ა. თ-ოვი ნოტარიუსთან მიიყვანეს მაგრამ როგორც ოჯახის წევრებმა, ისე ვ. წ-იამ მას უთხრეს, რომ მისი მეუღლე ე. ე. წ-იასთან აფორმებდა სესხის ხელშეკრულებას, რაზეც საჭირო იყო მისი ხელმოწერა.

ფაქტს იმისა, რომ ა. თ-ოვი არ ფლობს ქართულ ენას და არ იცის წერა-კითხვა ცალსახად ადასტურებს საქმეში არსებული 2006წ. 27 ოქტომბრის №1-7601 რწმუნებულება, რომელშიც ნოტარიუსი მიუთითებს, რომ ა. თ-ოვის განცხადების გამო, რომ ის არ ფლობს ქართულ ენას და არცერთ ენაზე არ იცის წერა-კითხვა, რწმუნებულება შედგენილია ქართულად და გადათარგმნილია ნოტარიუსის მიერ რუსულ ენაზე და ხელმოწერილია ა. თ-ოვის მიერ მოწვეული, მისი ნდობით აღჭურვილი პირების მიერ, არც აღნიშნული გარემოება არ იქნა შეფასებული და გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

კასატორის განმარტებით სინამდვილეს არ შეეფერება სააპელაციო სასამართლოს მითითება თავის გადაწყვეტილებაში იმის თაობაზე, რომ ა. თ-ოვს არცერთ სასამართლო პროცესზე არ მიუღია მონაწილეობა, რადგან 2006წ. 2 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას ღებულობდა აპელანტი ა. თ-ოვი, სადაც მან განაცხადა, რომ არ ფლობს ქართულ ენას და არ იცის წერა-კითხვა. სასამართლოს სხდომა გადაიღო იმის გამო, რომ გარდაიცვალა მოპასუხე ვ. წ-ია და საქმის წარმოება შეჩერებული იქნა.

სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მ. მ-ავას წარმომადგენელმა დ. მ-ძემ თავად მიუთითა, რომ „ნოტარიუსთან გაფორმდა სესხის ხელშეკრულება და არა მინდობილობის ხელშეკრულება, იქ იყვნენ მისი ოჯახის წევრები და ნოტარიუსმა თავის დაზღვევის მიზნით ოჯახის ყველა წევრს ჩამოართვა თანხმობები“ ანუ თავად აღიარებენ, რომ ნოტარიუსთან ა. თ-ოვი მიიყვანეს არა მინდობილობის, არამედ სესხის ხელშეკრულების გასაფორმებლად (იხ. 2007წ. 17 აპრილის სხდომის ოქმი). ანუ სხდომაზე ფაქტიურად მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოხდა ჩვენი სასარჩელო და სააპელაციო მოთხოვნის აღიარება, რასაც სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა და ისე გამოიტანა გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ უხეშად იქნა დარღვეული სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რადგან მ. მ-ავას, რომელმაც ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით ე. წ-იასაგან შეიძინა

ბინა ვ. წ-იასათვის ბინის საფასური არ გადაუხდია, ხოლო თავად ვ. წ-ია მიუთითებს, რომ მ. მ-ავას ბინა უსასყიდლოდ მიჰყიდა. აღნიშნული ფაქტი 2007წ. სასამართლო სხდომაზე ასევე დაადასტურა მ. მ-ავამ, უფრო მეტიც სასამართლოს სხდომაზე მ. მ-ავამ დაადასტურა, რომ მან ისე შეიძინა სადაო ბინა რომ ბინაში ნამყოფიც არ არის, რაც ასევე მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ა. თ-ოვის ბინის გასხვისება მოხდა მისი ნების საწინააღმდეგოდ, რადგან ვ. წ-ია ა. თ-ოვის სახლში ბინის მყიდველს ვერ მიიყვანდა, რადგან მაშინ ფარდა ახედებოდა ვ. წ-იას განზრახვას და ა. თ-ოვი ხელს შეუშლიდა მათ, რომ გაესხვისებინათ მისი ბინა, რადგან მას არასდროს არ ჰქონია სურვილიც კი გაეყიდა თავისი ბინა.

კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ სხდომაზე დაადგინა, როდის გაიგო სადაო ბინის გაყიდვის შესახებ ე. თ-ოვამ, მაგრამ ე. თ-ოვა არც სადაო ბინის მესაკუთრეა, არც მოსარჩელე და არც აპელანტი. სააპელაციო სასამართლოს მიუხედავად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატას არ გამოუკვლევია მოსარჩელე ა. თ-ვამ, ბინის მესაკუთრემ, როდის გაიგო თავისი ბინის გასხვისების შესახებ, არც ის დაუდგენია სასამართლოს, ემ როდის უთხრა ა.ს (მეუღლეს), რომ მათი ბინა ვ. წ-იას მიერ გაყიდული იქნა.

კასატორის აზრით სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007წ. 23 აპრილს გამოტანილ განჩინებაში სააპელაციო საჩივრის ავტორად მითითებულია ა. თ-ოვი და ასეც არის, ე. თ-ოვა რა სტატუსით მონაწილეობს საქმეში და რა წესით არის იგი სასამართლოს სხდომაზე დაკითხული, როგორც აპელანტი თუ როგორც მოწმე, ანუ სასამართლოს სხდომის ოქმი და განჩინება ურთიერსაწინააღმდეგო და უფრო მეტიც, კანონსაწინააღმდეგოა ა., გ. და ე. თ-ვების სააპელაციო საჩივარი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003წ. 15 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე ბუნებაში არ არსებობს. ამდენად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007წ. 17 აპრილს, სასამართლოს სხდომაზე უხეშად იქნა დარღვეული სსკ-ის მე-16 და მე-18 თავის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორის წარმომადგენელი ითხოვს გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 207წ. 23 აპრილის განჩინება როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი და ა. თ-ოვის სააპელაციო საჩივარი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2002წ. 4 მარტს ვ. წ-იასა და ა. თ-ოვს შორის გაფორმდა №1-369 სანოტარო აქტი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლების გადაცემის შესახებ. სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებათა ანალიზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. თ-ვამ, აღნიშნული აქტის ხელმომწერმა მხარემ, არ იცის ქართული წერა-კითხვა, არც რუსული, მაგრამ კარგად იცის ორივე ეს ენა. მოცემულ შემთხვევაში სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-19 მუხლის თანახმად, სანოტარო აქტის შედგენისას თარჯიმნის მონაწილეობა სავალდებულოა კლიენტის მიერ სახელმწიფო ენის ან მისი დამწერლობის არცოდნის და ნოტარიუსის მიერ კლიენტის გასაგები ენის არცოდნის შემთხვევაში. აღნიშნული ნორმა ციტირებულია გასაჩივრებული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, თუმცა სასამართლო არასწორად განმარტავს მას. აღნიშნული ნორმა თარჯიმნის მოწვევას სავალდებულოდ მიიჩნევს თუ კლიენტმა არ იცის დამწერლობა სახელმწიფო ენაზე, რაც უთუოდ წერა-კითხვას ნიშნავს და არა მხოლოდ საუბარს ან საუბრის შინაარსის გაგებას. თუმცა ამავე ნორმაში მითითებულია, რომ თუ ნოტარიუსმა იცის შესაბამისი ენა თარგმანის თვითონ და ამის შესახებ მიუთითებს აქტში. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სასამართლოს უნდა დაედგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე ეთარგმნა თუ არა მოსარჩელეს სანოტარო აქტის შინაარსი მისთვის გასაგებ ენაზე.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მოსარჩელის მოთხოვნას. სარჩელსა და სააპელაციო საჩივრის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსარჩელე არ უარყოფს მის ნებას დადოს გარიგება. იგი უთითებს, რომ მას სურდა დაედო იპოთეკის ხელშეკრულება და მის ნაცვლად საკუთრების განკარგვის თაობაზე სანოტარო აქტზე მოაწერინეს ხელი. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის გამონათქვამიდან გამომდინარე, მოხდა ნების გამოვლენა არსებითი შეცდომის საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე არსებით შეცდომად ითვლება, როცა პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის რომელზეც მან გამოთქვა



თანხმობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქმის მასალების გათვალისწინებით სასამართლოს უნდა შეემოწმებინა რამდენად გამოხატულია თ-ოვის ნება დაედო საკუთრების განკარგვის მინდობილობაში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ა. თ-მა 2002წ. 4 მარტს ა. თ-ოვის მიერ ვ. წ-იასათვის მინიჭებული უფლებით ამ უკანასკნელმა სადაო ბინა მიჰყიდა მეუღლეს. ფაქტიურად ვ. წ-იამ საკუთარ თავთან დადო გარიგება, რადგან მეუღლისათვის სადაო ბინის საკუთრებაში გადაცემით თვითონ წ-იასაც წარმოეშვა საკუთრება უფლება ბინაზე, რაც სამოქალაქო კოდექსის 214-ე მუხლის თანახმად დაუშვებელია. სასამართლოს კი აღნიშნულის თაობაზე არ უმსჯელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, უთარგმნა თუ არა ნოტარიუსმა ა. თ-ოვს აქტის შინაარსი, ანუ დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტის შედგენისას. სასამართლომ უნდა დაადგინოს აგრეთვე თუ როგორია ა. თ-ოვის ნება სადავო გარიგების დადებისას და იმსჯელოს საკუთარ თავთან დადებული გარიგების შედეგებზეც.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. თ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007წ. 23 აპრილის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-236-497-08

29 ივლისი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა, საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვა.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 19 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ჩ-მემ მოპასუხე ნ. რ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა, მოპასუხისათვის აღნიშნული ხელშეკრულების ნოტარიულად გაფორმების დავალებულება და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვა.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვა.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

2004წ. იანვარში ნ. ჩ-მესა და ნ. რ-შვილს შორის დაიდო წინასწარი გარიგება თბილისში, ... გასასვლელის №8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნასყიდობაზე. იმის გამო, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მათ შორის გაფორმდა წინასწარი ხელშეკრულება მარტივი წერილობითი ფორმით, რომლის თანახმადაც, ნ. რ-შვილმა მიიღო ნასყიდობის თანხა 1500 აშშ დოლარი და იკისრა ვალდებულება ბინის გადაფორმებაზე საჯარო რეესტრში. მოპასუხემ პირობა

ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, მოსარჩელე სადავო ბინაში დაარეგისტრირა და პირდაპირ მფლობელობაში გადასცა ბინა, თუმცა ვერ მოახერხა საჯარო რეესტრის ამონაწერის აღება და მოსარჩელისათვის ბინის გადაცემის ნოტარიულად გაფორმება. ნ. ჩ-ის არაერთი მიმართვის მიუხედავად, მოპასუხეს პირობა არ შეუსრულებია.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე მუხლებზე.

მოპასუხე ნ. რ-შვილმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2004წ. იანვარში სადავო ბინა მის საკუთრებას არ წარმოადგენდა. აღნიშნული ბინა მან მემკვიდრეობით 2005წ. 22 აპრილს მიიღო, რის შემდეგაც აღრიცხა საჯარო რეესტრში მის სახელზე. წინარე ხელშეკრულებაში მითითებული თანხა მას მოსარჩელისათვის დაბრუნებული აქვს.

ნ. რ-შვილმა მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის არსებობა უძრავი ქონების შეძენის აუცილებელ წიპირობას წარმოადგენდა და რამდენადაც სადავო შემთხვევაში მხარეთა შორის სანოტარო წესით დამოწმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა, მოსარჩელის მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობისა და საჯარო რეესტრში მის შესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 15 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. რ-შვილმა ნ. ჩ-მესთან გააფორმა შინაურული ხელწერილი, რომლითაც მან მოსარჩელეს მიჰყიდა თბილისში, ზედაზენის გასასვლელის №8-ში მდებარე საცხოვრებელი ადგილი და იკისრა ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება. ნ. ჩ-მე 2004წ. 17 თებერვლიდან დაარეგისტრირდა ... გასასვლელის №8-ში, რაც განხორციელდა მოპასუხის თანხმობით. ამავე პერიოდიდან მოსარჩელე ცხოვრობდა მითითებულ ბინაში. დადგენილად იქნა მიჩნეული ისიც, რომ 2004წ. იანვარში ნ. რ-შვილი არ წარმოადგენდა აღნიშნული ბინის მესაკუთრეს. იგი სადავო ბინის მესაკუთრე გახდა სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე 2005წ. 3 მარტიდან. მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის 1500 აშშ დოლარის გადახდის ფაქტს.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში არსებული ხელწერილი წარმოადგენდა გარიგებას, რომელიც მიმართული იყო გარკვეული სამართალურთიერთობის, კონკრეტულ შემთხვევაში უძრავ ნივთზე ნასყიდობის ურთიერთობის წარმოშობისაკენ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 323-ე მუხლის 2004წ.ათვის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებდა ვალდებულებას უძრავ ნივთზე საკუთრება გადაეცა სხვისთვის ან შეეძინა იგი, უნდა დამოწმებულიყო სანოტარო წესით, ხოლო 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელი იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შეძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება არ იყო დამოწმებული სანოტარო წესით, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება, როგორც ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა.

საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნასთან მიმართებაში საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული მოთხოვნა წარმოადგენდა თავდაპირველი მოთხოვნის სამართლებრივ შედეგს, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის ნაწილში სარჩელზე უარის თქმა თავისთავად გამორიცხავდა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

მარტივი წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადების შემდეგ მოპასუხემ მოსარჩელე შეუშვა ბინაში და მოახდინა მისი რეგისტრაცია აღნიშნულ მისამართზე, რაც გულისხმობდა იმას, რომ მან იკისრა ვალდებულება მემკვიდრეობით მიეღო სადავო ქონება, დაერეგისტრირებინა იგი თავის სახელზე და შემდეგ გადაეფორმებინა მოსარჩელისათვის. რამდენადაც მოპასუხემ მის მიმართ

არსებული ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა, მას უფლება ჰქონდა, მოეთხოვა მოპასუხისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება მისი დარღვევის შემდეგაც.

მარტივი წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადების დროს მოპასუხისათვის ცნობილი იყო, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო, ვინაიდან მას სადავო ბინა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული მემკვიდრეობით. მას შემდეგ, რაც მოპასუხემ მიიღო მემკვიდრეობა და დაარეგისტრირა იგი თავის სახელზე აღრიცხა საჯარო რეესტრში, მან ხელშეკრულების მიზნის მიღწევას არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი. აპელანტი მიიჩნევდა, რომ სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ნ. რ-შვილს უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა გადაცემული ქონების უკან დაბრუნება.

ფორმის დაუცველობასთან მიმართებაში აპელანტმა აღნიშნა, რომ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით ხელშეკრულების დადება შეუძლებელი იყო იმ ვითარებაში, როდესაც სადავო სახლი ნ. რ-შვილს არ ჰქონდა მიღებული და მემკვიდრეობის საკუთრებაში ირიცხებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 19 დეკემბრის განჩინებით ნ. რ-დის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 15 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმოკრულ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. რ-ქემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება. იმავდროულად, კასატორმა მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერებასა და დამატებითი მტკიცებულებების მიღებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 19 დეკემბრის საოქმო განჩინებების გაუქმება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას არასწორად არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების დართვის თაობაზე. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებს, რაც გამოიხატება ნ. რ-დის მიერ სადავო ბინაში გაზის შეყვანაში, ელექტროენერგიის საფასურის გადახდაში, ბინის გასაუმჯობესებლად სესხის (18 000 ლარამდე) აღებაში. მასვე არამართებულად ეთქვა უარი მოცემულ საქმეზე წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმ საფუძველით, რომ თბილისის გლდანი-ნაძალადევის შინაგან საქმეთა სამმართველოში ნ. რ-შვილის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიება არ წარმოადგენდა მოცემული საქმის გამოკვლევის შეუძლებლობის განმაპირობებელ ობიექტურ სირთულეს ან დაბრკოლებას. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია იმ ვითარებაში, როდესაც ნ. რ-შვილის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რითაც აღნიშნულ გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე იმთავითვე პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული დავის არსებითად გადაწყვეტამდე მის მიერ საქმის წარმოების შეჩერების შუამდგომლობა, რაზეც სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ უთხრა უარი.

კასატორის აზრით, საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი, რომლის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. ამავე კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა საქმეზე დადგენილი ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, როგორცაა: ნ. ჩ-ძის მიერ მოწინააღმდეგე მხარისათვის 1500 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი, ნ. რ-შვილის ხელწერილი, რომლითაც მან ივალდებულა ბინის საჯარო რეესტრში ნ. ჩ-ძის სახელზე რეგისტრაცია, მის მიერ აღნიშნული პირობის დარღვევა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 19 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი შემდეგი გარემოებები: 2004წ. იანვრის თვეში ნ. რ-შვილმა შინაურული ხელწერილის საფუძველზე თბილისში, ... №8-ში არსებული საცხოვრებელი ადგილი 1500 აშშ დოლარად მიჰყიდა ნ. ჩ-ძეს. შინაურული ხელწერილის გაფორმების დროს ნ. რ-შვილი არ წარმოადგენდა ბინის მესაკუთრეს, თბილისში, ... გასასვლელის №8-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა ნ. რ-შვილის საკუთრება გახდა სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, 2005წ. 3 მარტიდან.

სამოქალაქო კანონმდებლობა ნივთზე საკუთრების შექმნისათვის მოითხოვს მესაკუთრის მიერ „ნამდვილი უფლების“ საფუძველზე შექმნისათვის ნივთის გადაცემას. უძრავ ნივთებთან მიმართებაში ნივთის გამსხვიებლის მესაკუთრედ და ამდენად, ნივთზე ნამდვილი უფლების მქონედ მიჩნევისათვის საჭიროა საჯარო რეესტრში მისი მესაკუთრედ რეგისტრაციის ფაქტის არსებობა. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვიებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შექმნმა იცოდა, რომ გამსხვიებელი არ იყო მესაკუთრე. საქმის მასალებით დადასტურებულია ის გარემოება, რომ სადავო ბინის გასხვიებისას ნ. რ-შვილი საჯარო რეესტრში ბინის მესაკუთრედ არ ყოფილა რეგისტრირებული, ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე იგი ვერ მიიჩნეოდა მესაკუთრედ. აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნდა აღნიშნული ბინის განკარგვის უფლებამოსილება, რის გამოც მის მიერ დადებული გარიგება სამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობს. სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით. მოცემულ შემთხვევაში არც ასეთ ვითარებას აქვს ადგილი. ნ. რ-შვილის მიერ დადებული გარიგება უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს სამოქალაქო კოდექსის 322-ე მუხლის საფუძველზეც, რომლის თანახმად, ბათილად მიიჩნევა პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირების მიერ დადებულ ხელშეკრულება. საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ თბილისში, ზედაზენის გასასვლელის №8-ში მდებარე ბინა ნ. რ-შვილის საკუთრება გახდა 2005წ. 22 აპრილის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, ნ. რ-შვილმა კი აღნიშნული ბინა 2004 წელს, სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე გაასხვისა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სადავო შემთხვევაში გარიგების ფორმის დაუცველობასთან მიმართებაში. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა. ნ. რ-შვილის მიერ გარიგების დადებისას (2004წ. იანვრის მდგომარეობით) მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის რედაქცია უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობას უკავშირებდა სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის არსებობას და შექმნის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. ამავე პერიოდში მოქმედი 323-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებდა ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადაეცა სხვისთვის ან შეეძინა იგი, უნდა დამოწმებულიყო სანოტარო წესით, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება ვერც ის გარემოება, რომ ნ. რ-შვილი დღეის მდგომარეობით სადავო ბინის მესაკუთრეა, რადგან არსებითაა ის გარემოება, რომ გარიგების დადებისას – 2004წ. იანვრის მდგომარეობით, აღნიშნული ბინა ნ. რ-შვილს არ ეკუთვნოდა და მხოლოდ 2005წ. 22 აპრილს გაცემული სამკვიდრო

მოწმობის საფუძველზე აღირიცხა მის საკუთრებაში. ამასთან, კანონი კრძალავს მთელი მომავალი ქონების ან ამ ქონების ნაწილის სხვისთვის გადაცემას და ასეთ გარიგებას ბათილად მიიჩნევს (სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ნ. რ-შვილის მიერ გაფორმებული ხელწერილის წინარე ხელშეკრულებად მიჩნევის პირობებშიც, სახეზეა კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ძირითადი ხელშეკრულებისათვის კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ფორმა (რაც სადავო შემთხვევაში დარღვეულია) ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც.

რაც შეეხება საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვის მოთხოვნას, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის ნაწილში სარჩელის უსაფუძვლობა, თავის მხრივ, გამორიცხავს სარჩელის მეორე მოთხოვნის – საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვის დაკმაყოფილებას, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოსარჩელე ითხოვს იმ მოტივით, რომ მოპასუხესთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე იგი წარმოადგენს თბილისში, ... გასასვლელის №8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს. ამდენად, ამ ნაწილშიც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სსკ-ის 410-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა საქმის წარმოების შეჩერებისა და ახალი მტკიცებულებების მიღებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 19 დეკემბრის საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ნ. რ-შვილის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესა და მოცემულ საქმეს შორის სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი კავშირი, რაც მოცემული საქმის განხილვის შეუძლებლობას განაპირობებს, არ არსებობს. კასატორს ასევე მართებულად ეთქვა უარი ახალი მტკიცებულებების მიღების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რამდენადაც მითითებული მტკიცებულებებით მხარეს სურდა სადავო ბინის გაუმჯობესებაზე მის მიერ ხარჯების გაწვევის დადასტურება, რასაც მოცემული საქმისათვის, რომლის დავის საგანია ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვა, მნიშვნელობა არ აქვს. ამასთან, სსკ-ის 380-ე მუხლის შესაბამისად, შუამდგომლობის ავტორმა ვერ დაასაბუთა მითითებული მტკიცებულებების პირველი ინსტანციის სასამართლოში წარუდგენლობის საპატიო მიზეზის არსებობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 19 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ფორმის დაუცველად დადებული გარიგება**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-950-1256-07

5 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სანოტარო აქტის, მის შესაბამისად დამოწმებული გარიგების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 22 აგვისტოს ჯ. შ-ძემ, ა. ჯ-ნმა, მ. ქ-იამ, ო. ნ-ძემ, ზ. ს-ძემ, ლ. დ-ძემ და ნ. ბ-ძემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ამირან დ-ძის, შპს „ამირმარდისა“ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართეს. მოსარჩელებმა განმარტეს, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №18-ში მდებარე საერთო სარგებლობის 1189,92 კვ.მ უძრავი ქონების 5/6 წილი, ანუ 995,15 კვ.მ ეკუთვნოდა ავთანდილ ბ-ძეს. 2005წ. 14 სექტემბერს შპს „ამირმარდის“ დირექტორმა ამირან დ-ძემ ავთანდილ ბ-ძისაგან მისი წილი შეიძინა. მათსა და ავთანდილ ბ-ძეს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელის საკუთრებაში რჩებოდა შენობის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი, ანუ 995,15 კვ.მ და შესასვლელი გზით სარგებლობის უფლება. როდესაც ამირან დ-ძესა და ა. ბ-ძეს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, მოსარჩელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ა. დ-ძეს მხოლოდ ა. ბ-ძის წილი გადაეცემოდა. 2005წ. 26 სექტემბერს ამირან დ-ძემ მათ წინასწარ დაბეჭდილ და გამზადებულ განცხადებაზე მოაწერინა ხელი, თან განუმარტა, რომ უნდა გაეფორმებინა მაცივრის შიდა ტეროტირიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც განლაგებული იყო ნაყიდი შენობის ქვეშ. მოსარჩელეთა განმარტებით, ამირან დ-ძემ მოტყუებით მითვისა მათი კუთვნილი 225 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა 2005წ. 26 სექტემბრის სანოტარო აქტის ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006წ. 6 სექტემბრის განჩინებით, ჯ. შ-ძის, ა. ჯ-ნის, მ. ქ-იას, ო. ნ-ძის, ზ. ს-ძის, ლ. დ-ძისა და ნ. ბ-ძის სარჩელი განუხილველად დარჩა, საქმის წარმოება შეწყდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებს სარჩელი ადმინისტრაციული წესით ჰქონდათ აღძრული, სანოტარო აქტი კი ადმინისტრაციული აქტი არაა, ამდენად დავის საგანი არ არსებობდა.

აღნიშნული განჩინება მოსარჩელეთა წარმომადგენელმა სულიკო დვერიშაძემ და ჯ. შ-ძემ კერძო საჩივრით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006წ. 31 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივრები დაკმაყოფილდა და საქმე სამოქალაქო წესით არსებითად განსახილველად ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006წ. 19 დეკემბრის განჩინებით, საქმეში მოპასუხედ ქ. ბათუმის ნოტარიუსი ლ. ჭ-ია ჩაება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 24 იანვრის გადაწყვეტილებით, ჯ. შ-ძის, ა. ჯ-ნის, მ. ქ-იას, ო. ნ-ძის, ზ. ს-ძის, ლ. დ-ძისა და ნ. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2005წ. 26 სექტემბრის სანოტარო აქტი მოტყუებით დადებულ გარიგებას არ წარმოადგენდა, რადგანაც ნოტარიუსმა მხოლოდ ცალმხრივი ნების გამოვლენა დაადასტურა, ამდენად ვინმეს მოტყუებაზე საუბარი შეუძლებელი იყო. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მტკიცება, რომ აღნიშნული აქტით ფაქტიურად მოხდა საზიარო უფლების გაუქმება. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია ნ. ბ-ძის მოთხოვნა, სანოტარო აქტის ბათილად ცნობის შესახებ, რადგანაც მას აღნიშნულ აქტზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი და შესაბამისად, არ ირკვეოდა რა იურიდიული ინტერესი გააჩნდა დავის საგნის მიმართ.

აღნიშნული გადაწყვეტილება ჯ. შ-ძემ, ა. ჯ-ნმა, მ. ქ-იამ, ო. ნ-ძემ, ზ. ს-ძემ და ლ. დ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. აპელანტებმა აღნიშნეს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო, რადგანაც სასამართლოს მატერიალური სამართლის არც ერთი ნორმა გამოუყენებია, ამასთან, სასამართლომ არასწორად შეაფასა 2005წ. 26 სექტემბრის სანოტარო აქტი და უმართებულოდ მიიჩნია, რომ აღნიშნული აქტით საზიარო უფლების გაუქმება არ მომხდარა, გარდა ამისა, არ გაითვალისწინა მხარეთა მითითება, რომ დარღვეული იყო „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია, ამასთან, ზემოაღნიშნულ განცხადებაზე უძრავი ქონების ერთ-ერთი მესაკუთრე, ნ. ბ-ძის მეუღლე, ხელს არ აწერდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2007წ. 19 ივნისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი განსჯადობით იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას გადაეცა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ჯ. შ-ძის, ა. ჯ-ნის, მ. ქ-იას, ო. ნ-ძის, ზ. ს-ძისა და ლ. დ-ძის სააპელაციო

საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, ჯ. შ-ძის, ა. ჯ-ნის, მ. ქ-იას, ო. ნ-ძის, ზ. ს-ძის, ლ. დ-ძის, ნ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის სანოტარო ბიუროს ნოტარიუს ლ. ჭ-იას მიერ 2005წ. 26 სექტემბერს შედგენილი სანოტარო აქტი და გარიგება (ე.წ. განცხადება), ასევე გაუქმდა ზემოაღნიშნული აქტის საფუძველზე, შპს „ამირმარდის“ დირექტორ ამირან დ-ძეზე 1220 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის თაობაზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში განხორციელებული ჩანაწერი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი ე.წ. „განცხადება“ თავისი ბუნებით უძრავ ნივთზე დადებული, საზიარო უფლების გაუქმებისა და მასზე ინდივიდუალური საკუთრების წარმოშობისაკენ მიმართული ორმხრივი გარიგება იყო, შესაბამისად, უნდა გაფორმებულიყო უძრავ ნივთებზე გარიგების დადების წესების დაცვით, ამდენად, ნოტარიუსს იგი განცხადების ფორმით არ უნდა დაემოწმებინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო განცხადება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი ვერ გახდებოდა, გარდა ამისა, გარიგების დადების დროისათვის მოქმედი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებული ქონების ცალ-ცალკე რეგისტრაციისათვის საჭირო იყო სანოტარო წესით თანამესაკუთრეთა თანხმობის დადასტურება, აღნიშნული პირობა კი დაცული არ ყოფილა. ამასთან, ნოტარიუსს არ მოუთხოვია ინსტრუქციის 39-ე მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტები, სწორედ აღნიშნულის გამო, ჯ. შ-ძის ფაქტობრივ სარეგებლობაში არსებული 60 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობითურთ, შპს „ამირმარდის“ საკუთრებაში მოხვდა, რაც ჯ. შ-ძის ნების ნამდვილობას ეჭვქვეშ აყენებდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგება ფორმის დაუცველად დაიღო და შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, ბათილი იყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „ამირმარდის“ წარმომადგენლებმა რ. ბ-ძემ და თ. ჭუმბურუძემ საკასაციო წესით გაასაჩივრეს. დაზუსტებულ საკასაციო საჩივარში კასატორებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საპროცესო ნორმები, რადგანაც, მოწინააღმდეგე მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა, აღნიშნული კი, სსკ-ის 381-ე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია. გარდა ამისა, კასატორთა მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რადგანაც სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ კი ჯ. შ-ძის კერძო საკუთრებაში არსებული ბინების ტექნიკური პასპორტი, სადაც 60 კვ.მ მიწის ნაკვეთი ნაჩვენებია არ არის. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოცემული მსჯელობა წინააღმდეგობრივია, რადგანაც, სასამართლო ერთგან განმარტავს, რომ სანოტარო აქტი არის ორმხრივი გარიგება, შემდეგ კი უთითებს, რომ ნოტარიუსმა დადასტურა არა აპელანტთა ნების, არამედ მხოლოდ მათი ხელმოწერების ნამდვილობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატამ 2008წ. 6 მარტის განჩინებით შპს „ამირმარდის“ წარმომადგენლების, რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, წარმოებაში მიიღო.

ჯ. შ-ძემ შპს „ამირმარდის“ საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხი წარმოდგინა და აღნიშნა, რომ საჩივარი არ პასუხობს სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, საქმე იურიდიულად გამჭვირვალეა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ფაქტობრივადაც და სამართლებრივადაც დასაბუთებული, გარდა ამისა, კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 6 ივნისის განჩინებით შპს „ამირმარდის“ წარმომადგენლების, რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. იმავე პალატის 2008წ. 4 სექტემბრის განჩინებით, საქმეში უფლებამონაცვლედ შპს „ამირმარდის“ ნაცვლად შპს „პატრიოტი-2006“ ჩაება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს „პატრიოტი-

2006-ის“ წარმომადგენლების რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ 2005წ. 16 სექტემბრის ე.წ „განცხადება“, თავისი შინაარსით, არის არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი გარიგება. ცალმხრივი გარიგების დადებისათვის ნებას მხოლოდ ერთი პირი ავლენს, რაც შეეხება განსახილველ შემთხვევას, განცხადების ტექსტიდან იკვეთება, რომ მხარეთა ნება მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისაკენ, კერძოდ, უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმებისა და მასზე ინდივიდუალური საკუთრების წარმოშობისაკენ, ამდენად, ამგვარი გარიგების დადებისათვის ნებას, სულ მცირე, ორი მხარე ავლენს.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ ზემოაღნიშნული გარიგება უნდა დადებულიყო უძრავ ქონებაზე გარიგების დადების წესების შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის 2006 წლამდე მოქმედი რედაქციით, უძრავი ნივთის შექმნისათვის აუცილებელი იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შექმნის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული ნორმა, რადგანაც ამირან დ-ძეს სადავო მიწის ნაკვეთი არ შეუძენია 2005წ. 16 სექტემბრის განცხადების საფუძველზე და ამიტომ აუცილებელი არც იყო სანოტარო წესით დამოწმება. პალატა აღნიშნავს, რომ გარიგების დადების მომენტისათვის მოქმედი რედაქციით, სამოქალაქო კოდექსი უძრავ ნივთზე დადებული ყველა გარიგებისათვის ითვალისწინებდა სანოტარო ფორმის დაცვის აუცილებლობას და ეს მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმების შესახებ გარიგებაზეც ვრცელდებოდა.

იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედება სრულდება სანოტარო დადასტურების ან სანოტარო დამოწმების ფორმით. სანოტარო დადასტურების დროს ნოტარიუსი ადასტურებს დასადასტურებელი გარიგების (დოკუმენტის) მთელ შინაარსს, მის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და გარიგების მონაწილეთა ნების შესატყვისობას მოქმედ სამართალთან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია მოქმედებები, რომლებიც ნოტარიუსმა უნდა განახორციელოს სანოტარო დადასტურებისას (სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობის, უფლებამოსილების დადგენა, ყველა იმ ფაქტისა და გარემოების დადგენა, რაც აუცილებელია სამართლებრივად გამართული გარიგების დასადებად, მხარეთათვის სანოტარო აქტის სამართლებრივი შედეგების განმარტება და ა.შ.) ანუ, ამგვარი მოქმედების განხორციელებისას, ნოტარიუსი, ფაქტობრივად, მხარეთა ნების ფორმირების მონაწილეა. საქმის მასალებითა და თავად განცხადებით ნათლად ირკვევა, რომ ნოტარიუსს არცერთი ზემოაღნიშნული მოქმედება არ განუხორციელებია, მან მხოლოდ მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობა დაამოწმა.

გარიგების, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის ფუნდამენტური ინსტიტუტის თავისებურებებიდან გამომდინარე, ყველა თანამედროვე სამართლებრივი სისტემა იცნობს გარკვეული სახის გარიგებებს, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია კანონით განსაზღვრული ფორმის დაცვა, ასეთ მოთხოვნებს ძირითადად ორი მნიშვნელობა აქვს: მტკიცების გააძვილების და განზრახვის სერიოზულობის დადასტურების. ძირითადი ფუნქცია, რასაც სანოტარო დადასტურება ასრულებს, არის მხარეთა ნების სწორად ფორმულირება და ნების ნაკლის მქონე გარიგების თავიდან აცილება. რაც შეეხება სანოტარო დამოწმებას, ამ შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ განხორციელებული მოქმედება ზემოაღნიშნულ ფუნქციას ვერ ასრულებს. სწორედ ამიტომ, გარიგება უნდა დაიდოს კანონით განსაზღვრული ფორმით და ამ ფორმისათვის გათვალისწინებული პროცედურის ზუსტი დაცვით.

იმავე ინსტრუქციის 48-ე მუხლის მე-5 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ დაუშვებელია გარიგების განცხადების ან ფაქტების დამოწმების ფორმით დამოწმება.

სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა.



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2005წ. 16 სექტემბრის ე.წ. „განცხადება“ კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგებაა, რომელიც შესაბამის სამართლებრივ შედეგებს ვერ წარმოშობს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა ზემოაღნიშნული გარემოებები და მართებულად მიიჩნია, რომ გარიგების დადებისათვის გათვალისწინებული ფორმის დაუცველობამ გავლენა იქონია მხარეთა ნების ნამდვილობაზე.

რაც შეეხება კასატორების მტკიცებას, რომ დარღვეულია საპროცესო ნორმები, რადგანაც მხარემ სააპელაციო სასამართლოში მოთხოვნა გაზარდა, კერძოდ, აპელანტებმა შეცვალეს სარჩელის საფუძველი, მიუთითეს რა „სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის“ დარღვევაზე, საკასაციო პალატის მიერ გაზიარებული ვერ იქნება.

პალატა აღნიშნავს, რომ, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელები ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში ხდიდნენ სადავოდ ზემოაღნიშნული წესების დარღვევას, ამასთან, სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, აქედან გამომდინარე, სარჩელის საფუძვლის შეცვლა ნიშნავს იმ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას, რომლებიც თავდაპირველად იყო მითითებული მოსარჩელის მიერ თავის სარჩელში. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს თავის სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ შეუცვლია. საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად დამატებით რომელიმე ნორმატიულ აქტზე მითითება კი სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას არ წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი, დასაბუთებულია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „პატრიოტი-2006-ის“ წარმომადგენლების რ. ბ-მისა და თ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### 4. იძულებით დადებული გარიგებანი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-743-1069-07

20 თებერვალი 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 7 თებერვალს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა დ. კ-მემ და აღნიშნა, რომ 1978 წლიდან 1997 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ზ. ვ-შვილთან. იგი მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა ქ. სამტრედიაში, ...ს ქ. №31-ში. მეუღლესთან

უთანხმოების გამო მათ შორის 1997 წელს მოხდა განქორწინება და იგი წამოვიდა ოჯახიდან. მის მიერ როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი მუშაობით და ყოველდღიური დაზოგილი თანხებით, ასევე მამიდაშვილისგან სესხად აღებული თანხით, 2004წ. 27 თებერვალს მოქ. ა. თ-მისაგან ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა საცხოვრებელი სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, მდებარე ქ. სამტრედია, ... ქ. №64, რაც საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მის სახელზე. 2004წ. 17 სექტემბერს დაქორწინდა მოპასუხე მ. ჩ-ძესთან, რომელიც საცხოვრებლად გადმოვიდა მის მიერ შეძენილ საცხოვრებელ სახლში. მოსარჩელის განმარტებით დაქორწინებიდან თვენახევრის შემდეგ მოპასუხემ წამოუყენა ულტიმატუმი, რომ დაქორწინებამდე მის მიერ შეძენილი საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გადაეფორმებინა მისთვის. ოჯახის ხელახლა დანგრევის შიშითა და მოპასუხის გაგვლენით იგი იძულებული გახდა სანოტარო წესით გაეფორმებინა ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა ხელშეკრულებაში მითითებული თანხა 2000 ლარი მოპასუხეს მისთვის არ მიუცია. ამ ხელშეკრულებას რაიმე იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია და იგი აღნიშნულ სახლში ცხოვრობს დღემდე მოპასუხესთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007წ. 24 იანვრის გადაწყვეტილებით უკვე განქორწინებულები არიან. იგი როგორც ფაქტობრივი მესაკუთრე იხდის ყოველგვარ გადასახადს. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის ადგილი ქონდა გარიგების დადებას მოსაჩვენებლად და გარიგების დადების დროს არც ერთ მხარეს არ სურდა იმ შედეგის დადგომა, რაც ხელშეკრულების დანიშნულებიდან გამომდინარეობდა, მოითხოვა 2004წ. 9 ნოემბერს მასსა და მ. ჩ-ძეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების №1-2953, ბათილად ცნობა, როგორც მოჩვენებითი და იძულებით დადებული გარიგება.

მ. ჩ-ძემ სასამართლოში შეიტანა შესაგებელი, რომელშიც განმარტა, რომ ის და დ. კ-ძე ფაქტობრივად შეუღლდნენ არა 2004წ. 17 სექტემბერს, ანუ ქორწინების ოფიციალურად რეგისტრირებისას, არამედ 1997 წელს და ერთად ცხოვრება დაიწყეს ჯერ ნაჭირავებ ბინაში ქ. სამტრედია, ... ქ. №36-ში, შემდეგ კი მისი მშობლების სახლში – ქ. სამტრედია ... ქუჩა №80-ში. სადაო სახლის შეძენა მოხდა მათი ერთობლივი დანაზოგით და მისი ძმის ზ. ჩ-ძის დახმარებით. სწორედ ამიტომ გამოავლინა ნება მოსარჩელემ გადაეფორმებინა სადავო სახლი მისთვის. აღნიშნული გარიგების დადებისას არ ყოფილა იძულება ან მუქარას. მოსარჩელეს გაშვებული აქვს გარიგების ბათილად ცნობისთვის კანონით გათვალისწინებული ერთწლიანი ვადა. ყოველივე აღნიშნულის გამო მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის და ხანდაზმულობის გამო.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007წ. 02 აპრილის გადაწყვეტილებით დ. კ-ძის სარჩელის დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჩ-ძემ.

სააპელაციო პალატის 2007წ. 12 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007წ. 2 აპრილის გადაწყვეტილება, დ. კ-ძის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004წ. 17 სექტემბერს მ. ჩ-ძე და დ. კ-ძე დაქორწინდნენ. 2004წ. 9 ნოემბერს მეუღლეებმა ურთიერთშორის დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დ. კ-ძემ მ. ჩ-ძეს მიჰყიდა საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი. შეძენილი ნივთი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მ. ჩინგოგაძის სახელზე. ხელშეკრულების დადების შემდეგ, სარჩელის აღძვრამდე და დავის პერიოდშიც საცხოვრებელ სახლს ფლობდა როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე მხარე. მოსარჩელემ მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ იგი იყო დადებული მოსაჩვენებლად და იძულებით.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის შემოხსენებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

პალატა განმარტავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ იგი დადებულია მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას იურიდიული შედეგები მოჰყვეს.

დადგენილია, რომ სადავო ბინაში ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ მოსარჩელემ გააგრძელა ცხოვრება სახლში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს.

პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტებას იმის თაობაზე, რომ სადაო ხელშეკრულება დაიდო იძულებით, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია, ხოლო მესამე პირის, ნოტარიუსის მ. გ-ძის განმარტებით სადავო ხელშეკრულების დადებას მოპასუხე მოსარჩელეს არ აიძულებდა და ხელშეკრულება დაიდო ურთიერთთანხმობით.

საქმიდან ირკვევა, რომ გარიგებას მოსარჩელე საცილოდ ხდიდა იმ მოტივითაც, რომ იგი დაიდო იძულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტი მოსარჩელის თქმით, მას აიძულებდა დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო იგი თანახმად იყო ერუქებიან მისთვის სახლი, ნიშნავს იმას, რომ მხარეებს გარიგებით სურდათ მიეღწიათ რეალური იურიდიული შედეგისათვის, იმისათვის, რომ ქონება გამხდარიყო აპელანტის საკუთრება. შესაბამისად, გარიგება არ დადებულა მოსაჩვენებლად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 12 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. კ-ძემ.

კასატორის განმარტებით 1978 წლიდან 1997 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ზ. ვ-შვილთან. ცხოვრობდა მის ოჯახში, მდებარე ქ. სამტრედია, ... ქ. №31. შეეძინათ ორი შვილი: მ. კ-ძე და გ. კ-ძე. მათ შორის 1997 წელს მოხდა განქორწინება და მეუღლე და ორი შვილი საცხოვრებლად დარჩნენ მის ოჯახში, ის კი გამოვიდა ოჯახიდან. მ. თ-მისაგან აღებული 2000 აშშ დოლარის ოდენობის სესხით 2004წ. 27 თებერვალს მოქ. ა. თ-მისაგან ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა საცხოვრებელი სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით მდებარე ქ. სამტრედია, ... ქ. №64 შესაბამისად აღნიშნული საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მის სახელზე.

2004წ. 17 სექტემბერს დაქორწინდა მოპასუხესთან მ. ჩ-ძესთან და იგი საცხოვრებლად გადმოვიდა მის მიერ შეძენილ საცხოვრებელ სახლში.

კასატორის განმარტებით დაქორწინებიდან თვენახევრის შემდეგ მოპასუხემ წამოიყენა ულტიმატუმი, რომ ის საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი, რომელიც მან შეიძინა დაქორწინებამდე 2004წ. 24 თებერვალს, გადაეფორმებინა მის სახელზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეწყვეტდა მასთან ქორწინებას და კვლავ დაუნგრევდა ოჯახს, რომელსაც მოყვებოდა მისი, როგორც პიროვნების სრული მორალური განადგურება.

კასატორის განმარტებით მოპასუხემ მუქარით მიაღწია იმას, რომ იძულებით გააფორმებინა ნასყიდობის ხელშეკრულება №1-2953, თუმცა ხელშეკრულებაში მითითებული თანხა 2000 ლარი მისთვის არ გადაუცია. მ. ჩ-ძემ, როგორც პირველ ინსტანციაში, ასევე სააპელაციო სასამართლოში ვერ დაფარა თავისი ზრახვები და საჯაროდ განაცხადა, რომ მისი განზრახვა იყო ხელში ჩაეგდო კასატორის ქონება, რომ ის და მისი შვილი (გერი) კონფლიქტის შემთხვევაში არ დარჩენილიყვნენ ქონების გარეშემანვე განმარტა, რომ ხელშეკრულების დადების დროს მას არ სურდა ფაქტობრივად ქონება გადასულიყო მის განკარგულებაში, რადგანაც მეუღლეებად რჩებოდნენ და მთელი 4 წლის მანძილზე არ მოუთხოვია მისგან სადავო ქონების დატოვება და მისი ოჯახიდან გადასვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე მ. ჩ-ძის ჩვენებიდან თავად მოწინააღმდეგე მხარემ აღიარა პროცესზე, რომ სადავო ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შედეგი მოჰყოლოდა. ასევე დაადასტურა მისი მხრიდან მასზე ზეგავლენის მოხდენისა და იძულების ფაქტები.

კასატორის აზრით სასამართლო თუმცა დადასტურებულად თვლის იმ ფაქტს, რომ მისი განზრახვა იყო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ რატომღაც აქაც არასწორად განმარტავს ჩუქებისა და ნასყიდობის მცნებებს და მნიშვნელობას. უდავო ფაქტია, იმ შემთხვევაში თუკი გაფორმდებოდა ჩუქების ხელშეკრულება კანონის შესაბამისად, მას რჩებოდა შესაძლებლობა უმადურობის მოტივით 10 წლის განმავლობაში მოეშალა ჩუქების ხელშეკრულება, რასაც ვერ მიაღწევდ ნასყიდობის შემთხვევაში.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან დადგენილი და დადასტურებულია, რომ სადაო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს ადგილი ჰქონდა სიმულაციას და მოჩვენებითობას. კასატორის აზრით კი სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტიურ გარემოებები. მასმიჩნია, რომ მოცემულ საქმეში უტყუარადაა დადასტურებული სადავო ხელშეკრულების მოჩვენებითობა და მისი დადების დროს იძულება, შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის ფაქტიურ გარემოებებს, არ მოხდა მათი შეჯერება კანონის შესაბამისობაში, არასწორად განმარტა კანონი, რასაც არაკანონიერი გადაწყვეტილება მოჰყვა შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დ. კ-ძე ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007წ. 19 ოქტომბრის განჩინებით დ. კ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში. სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მეუღლეთა შორის ქორწინების განმავლობაში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული გარიგებით დ. კ-მემ ქორწინებამდე შეძენილი ქონება მიჰყიდა თავის ცოლს. ასეთი სახის გარიგებები მეტად იშვიათად გვხვდება პრაქტიკაში, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი გარიგებები ბათილია. მოსარჩელე გარიგებას ბათილად მიიჩნევს იმის გამო, რომ ხელშეკრულებაში მითითებული თანხა მას არ მიუღია. ამასთან მისი აზრით, ამ გარიგებას იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია, რადგან იგი დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ სახლში და იხდის გადასახადს. დაქორწინების შემდეგ მეუღლეები, როგორც წესი, ერთად ცხოვრობენ. ამიტომ მათ ხშირად უხდებათ ერთ-ერთ მეუღლის საკუთრებაში არსებულ ბინაში ცხოვრება. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრების უფლების არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელია მეუღლის სახლში ცხოვრება და ვინაიდან დ. კ-მემ სახლი გაასხვისა, მას სადავო ფართში ცხოვრების უფლება აღარ ჰქონდა. იგივე შეიძლება ითქვას გადასახადების თაობაზეც. ცოლ-ქმრული თანაცხოვრების პერიოდში გადასახადებს, როგორც წესი, იხდის ერთ-ერთი მათგანი, და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მესაკუთრე ვალდებული იხადოს გადასახადი.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ზემოთ მითითებული გარემოებანი არ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მხარეებს არ სურდათ გარიგებიდან გამომდინარე იურიდიული შედეგის დადგომა. აღნიშნულის დადასტურების ტვირთი ეკუთვნის დ. კ-მეს. მის მიერ მითითებული გარემოებანი კი ასეთი სახის გარიგების არსებობას ვერ ადასტურებს. მ. ჩ-მის განმარტებებიდან კი ირკვევა, რომ მას სწორედ აღნიშნულ ფართზე საკუთრების უფლების მოპოვება სურდა, რადგან არ დარჩენილიყო უსახლკაროდ. ანუ მას სურდა სწორედ იმ იურიდიული შედეგის დადგომა, რაც უძრავი ქონების შეძენით შეიძლება დადგეს. ის ფაქტი, რომ თითქოს მ. ჩ-მეს მოსარჩელისათვის შესყიდვის ფასი არ გადაუხდია შეიძლება გახდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველი და არა ხელშეკრულების ბათილობისა.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ თითქოს ხელშეკრულება იძულებით იქნა დადებული პალატა ვერ გაზიარებს. სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ცოლის ულტიმატუმი გაყრის თაობაზე არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ გარემოებად, რომელიც დ. კ-მეს აფიქრებინებდა, რომ მას საფრთხე ემუქრებოდა. მოცემულ შემთხვევაში იძულების განმაპირობებელი ფაქტი უნდა შეიცავდეს რეალური საფრთხის შემცველ გარემოებებს, რომელიც მხარეს აფიქრებინებს, რომ გარიგების დაუდებლობა მის პიროვნებას სერიოზულ საფრთხეში ჩააგდებს. ასეთ შემთხვევაში განქორწინების მუქარა არ შეიძლება იყოს ისეთი სერიოზული საფრთხის შემცველი მოქმედება, რომ ადამიანი აიძულოს ყველაფერი გაყიდოს რაც ახადია და თავი უსახსრო მდგომარეობაში ჩაიგდოს.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

დ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 12 ივლისის გადაწყვეტილება. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. წარმომადგენლობა გარიგებებში

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-27-312-08

15 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
რ. ნადირიანი

დავის საგანი: საკრედიტო და-იანების გადახდა.

აღწერილობითი ნაწილი:

2004წ. 10 აგვისტოს თბილისის საოლქო სასამართლოს სს „ბანკი კრედიტის“ უფლებამონაცვლე სს „შუგრეფიშპეკსბანკმა“ სს „გურჯაანი-93-ის“ მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2003წ. 8 სექტემბერს სს „ბანკ კრედიტსა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც მოვალის – სს „გურჯაანი-93-ის“ მიმართ კრედიტორის ადგილი სს „ბანკმა კრედიტმა“ დაიკავა. „გურჯაანი-93-ს“ „საქართველოს ბანკის“ მიმართ 580 152 აშშ დოლარისა და 2111,64 ლარის და-იანება გააჩნდა. და-იანების წარმოშობის საფუძველი 2002წ. 30 დეკემბერს გაცემული კრედიტი და ამავე ბანკის მიერ მოვალის ანგარიშზე დაშვებული ოვერდრაფტები იყო. მოთხოვნის დათმობის შედეგად ახალ კრედიტორზე – სს „ბანკ კრედიტზე“ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებიც გადავიდა, კერძოდ, 2002წ. 30 დეკემბერს გაფორმებული იპოთეკისა გირავნობის ხელშეკრულებები. 2003წ. 17 ივნისს „ბანკ კრედიტსა“ და „გურჯაანი-93-ს“ შორის 134435 ლარის საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა, 2004წ. 17 ივნისამდე, წლიური 14,4%-ის დარიცხვით. სარჩელის აღძვრის დროისათვის, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, და-იანებამ 154 808 ლარი შეადგინა. 2003წ. 1 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულებით „გურჯაანი-93-მა“ ბანკიდან ერთი წლის ვადით 21450 ლარი გაიტანა, წლიური 14,4%-ის დარიცხვით. 2004წ. 10 აგვისტოს მდგომარეობით, და-იანება 24 228 ლარს შეადგენდა. 2003წ. 8 სექტემბერს გაფორმებული მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, სს „ბანკმა კრედიტმა“ სს „საქართველოს ბანკს“ 1 039 950 ლარი გადაუხდა სამ ეტაპად. გადარიცხულ თანხებს 2002წ. 30 დეკემბერს „საქართველოს ბანკს“ და „გურჯაანი-93-ს“ შორის გაფორმებული №1\3632 იპოთეკისა და №1\3640 გირავნობის ხელშეკრულების თანახმად პროცენტები დაერიცხათ. 2004წ. აგვისტოს მდგომარეობით მოპასუხის და-იანებამ 1 386 088 ლარი შეადგინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „გურჯაანი-93“-სათვის საკრედიტო და-იანების, 1 386 088 ლარის დაკისრება და მოპასუხის კუთვნილი, ქ. გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით რეალიზაცია მოითხოვა.

2004წ. 20 აგვისტოს სს „საქართველოს ბანკმა“ თბილისის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა და განმარტა, რომ 2003წ. 8 სექტემბერს სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „ბანკი კრედიტს“ შორის გაფორმდა მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც „საქართველოს ბანკმა“ „ბანკი კრედიტს“ 580 152 აშშ დოლარისა და 2111,64 ლარის მოთხოვნის უფლება გადასცა, რომელიც მას „გურჯაანი-93-ის“ მიმართ გააჩნდა. ხელშეკრულების ღირებულება 593 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. „ბანკმა კრედიტმა“ მოთხოვნის ღირებულების ოთხ ეტაპად გადახდის ვალდებულება იკისრა. „ბანკი კრედიტის“ მიერ სარჩელის შეტანის დროისთვის შესრულებული იყო თანხის გადახდის სამი ეტაპი, რაც მთლიანობაში 1 039 950 ლარს შეადგენდა, ხოლო გადასახდელი დარჩა 101 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ გადახდის ბოლო ეტაპი არ იყო განხორციელებული, ამ თანხის ნაწილში „ბანკი კრედიტისათვის“ მოთხოვნის გადაცემა არ მომხდარა და მოთხოვნის უფლება სს „გურჯაანი 93-სადმი“ ისევ „საქართველოს ბანკს“ გააჩნდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „შუგრეფიშპეკსბანკსა“ და სს „გურჯაანი-93-ს“ შორის არსებულ დავაში „საქართველოს ბანკმა“ მესამე პირად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩართვა,

„გურჯაანი-93-სათვის“ მის სასარგებლოდ 101 000 აშშ დოლარის დაკისრება, ასევე მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების იძულებით რეალიზაცია მოითხოვა.

2004წ. 24 დეკემბერს სს „საქართველოს ბანკმა“ თავისი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ არასათანადო მოპასუხის, სს „გურჯაანი-93-ის“, სათანადო მხარით – სს „შუგრეფიმპექსბანკით“ შეცვლის შესახებ იშუამდგომლა. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2005წ. 11 თებერვლის განჩინებით, აღნიშნული იშუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

იმავე სასამართლოს 2005წ. 14 ივლისის განჩინებით აღნიშნული საქმე განსჯადობით გურჯაანის რაიონულ სასამართლოს გადაეცა.

სს „შუგრეფიმპექსბანკის“ მიერ 101 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის „საქართველოს ბანკისთვის“ გადახდის შემდეგ, ამ უკანასკნელის იშუამდგომლობის საფუძველზე, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005წ. 15 ნოემბრის განჩინებით, „საქართველოს ბანკის“, როგორც მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, სამოქალაქო საქმის წარმოება შეწყდა.

2005წ. 5 ნოემბერს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სს „შუგრეფიმპექსბანკმა“ სს „გურჯაანი-93-ის“ წინააღმდეგ სარჩელით მიმართა და და-იანების - 3 081 340 ლარის გადახდა მოითხოვა. მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, ამავე სასამართლოს 2006წ. 6 იანვრის განჩინებით სამოქალაქო საქმეები, სს „შუგრეფიმპექსბანკის“ სარჩელთა გამო, მოპასუხე სს „გურჯაანი-93“-ის მიმართ და-იანების 1 386 000 და 3 081 340 ლარის გადახდევინების თაობაზე, ერთ წარმოებად გაერთიანდა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006წ. 12 ივლისის გადაწყვეტილებით სს „შუგრეფიმპექსბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „გურჯაანი-93-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ 4 467 340 ლარის, ასევე მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 10 000 ლარის, გადახდა დაეკისრა. სს „გურჯაანი-93-ის“ კუთვნილი, ქ. გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე იძულებით რეალიზაცია დადგინდა და აუქციონის ჩასატარებლად სპეციალისტი დაინიშნა. სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ „გურჯაანი-93-მა“ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და, აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს უნდა დაკისრებოდა როგორც სესხის ძირითადი თანხა და პროცენტები, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოც.

აღნიშნული გადაწყვეტილება სს „გურჯაანი-93-ის“ დირექტორმა მ. გ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, რადგანაც სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ მოთხოვნის დათმობასთან ერთად ახალ კრედიტორზე იპოთეკაც გადავიდა და არ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის არარსებობა. აპელანტმა ასევე აღნიშნა, რომ სს „გურჯაანი-93-ის“ და-იანება სს „შუგრეფიმპექსბანკის“ მიმართ შეადგენდა არა 4 467 340 ლარს, არამედ 1 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. აღნიშნული და-იანება გამომდინარეობდა სს „გურჯაანი-93-სა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული 2002წ. 30 დეკემბერისა და აპელანტსა და სს „შუგრეფიმპექსბანკს“ შორის გაფორმებული 2003წ. 1 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულებიდან. რაც შეეხება 2003წ. 17 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებას, აღნიშნული არ იყო ნამდვილი, რადგანაც მსესხებლის გრაფაში საწარმოს დირექტორად კ. კ-მეა მითითებული, რომელიც სს „გურჯაანი-93-ის“ დირექტორი არასოდეს ყოფილა და არც ხელშეკრულებაზე შესრულებული ხელმოწერაა მისი.

2007წ. 9 იანვარს, მოწინააღმდეგე მხარის იშუამდგომლობის საფუძველზე, საქმეში სს „შუგრეფიმპექსბანკის“ ნაცვლად მისი უფლებამონაცვლე სს „აგროინვესტბანკი“ ჩაერთო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სს „გურჯაანი-93-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს „აგროინვესტბანკის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „გურჯაანი-93“-ს სს „აგროინვესტბანკის“ სასარგებლოდ 1 387 760, 39 აშშ დოლარისა და 385 334 ლარის გადახდა დაეკისრა. სს „აგროინვესტბანკის“ წარმომადგენლის სასარჩელო მოთხოვნა, იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე იძულებით რეალიზაციის შესახებ, არ დაკმაყოფილდა. სს „აგროინვესტბანკს“ აპელანტის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 10342,60 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2002წ. 30 დეკემბერს სს „საქართველოს ბანკს“ და სს „გურჯაანი 93-ს“ შორის საკრედიტო ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც, ბანკმა მსესხებელზე 500 000 აშშ დოლარის კრედიტი გასცა, 36 თვის ვადით, წლიური 18%-ის დარიცხვით. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, და-იანებას საურავი ერიცხებოდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,4%;

სესხის უზრუნველყოფის მიზნით, 2002წ. 30 დეკემბერს, სს „საქართველოს ბანკს“ და სს „გურჯაანი-93-ს“ შორის იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, იპოთეკით დაიტვირთა სს „გურჯაანი-93-ის“ კუთვნილი 680 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა – ნაგებობები. სესხის უზრუნველსაყოფად გირავნობის ხელშეკრულებაც გაფორმდა, რომლის საფუძველზეც დაგირავდა მსესხებლის კუთვნილი ღვინის ჩამომსხმელი დანადგარი „ალფატეკსი“. ორივე ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;

2003წ. 8 სექტემბერს სს „საქართველოს ბანკს“ და სს „ბანკ კრედიტს“ შორის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ძალითაც სს „გურჯაანი-93-ის“ მიმართ კრედიტორის ადგილი სს „ბანკი კრედიტმა“ დაიკავა;

2003წ. 17 ივნისს სს „ბანკი კრედიტს“ და სს „გურჯაანი-93“-ს შორის №646 საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა 150 000 ლარზე ვადით – 2004წ. 17 ივნისამდე, წლიური 14,4%-ის დარიცხვით. ხელშეკრულების მიხედვით, მსესხებელს, ძირითადი თანხისა და პროცენტის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ერიცხებოდა საურავი, თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამ ხელშეკრულებიდან სს „გურჯაანი-93-ს“ სესხად 134 435 ლარი აქვს მიღებული.

2003წ. 1 აგვისტოს №658 საკრედიტო ხელშეკრულებით, სს „გურჯაანი-93-მა“ სს „ბანკი კრედიტიდან“ ერთი წლის ვადით სესხად 21 450 ლარი გაიტანა წლიური 14,4%-იანი სარგებლით. ხელშეკრულების მიხედვით, მსესხებელს, ძირითადი თანხისა და პროცენტის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ერიცხებოდა საურავი, თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით რეალიზაცია და მიიჩნია, რომ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე სს „აგროინვესტბანკზე“ არ გადასულა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაც, რადგანაც იპოთეკის ახალ კრედიტორზე გადასვლისათვის სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა არ შესრულებულა. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სს „გურჯაანი-93-მა“ არ შეასრულა ვალდებულება, ძირითადი თანხისა და საპროცენტო და-იანების დადგენის ნაწილში დაეყრდნო, სს „გურჯაანი-93-ის“ საკრედიტო და-იანების გაანგარიშების შესახებ, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნას, თუმცა მიიჩნია, რომ დასკვნაში მითითებული საჯარიმო თანხები იყო შეუსაბამოდ მაღალი და უნდა განახევრებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მხარეთა შორის გაფორმებული 2003წ. 17 ივნისის №646 საკრედიტო ხელშეკრულება არ შეიძლებოდა ნამდვილი ყოფილიყო, რადგანაც მას დირექტორის სახელით ხელს აწერდა პირი, რომელიც საზოგადოების დირექტორი არასდროს ყოფილა და განმარტა, რომ აღნიშნული გარიგება თუნდაც არ ყოფილიყო უფლებამოსილი პირის მიერ დადებული, იგი მაინც ნამდვილად ჩაითვლებოდა, რადგანაც კ. კ-ძის სახელით დადებული გარიგება შემდგომში მოიწონა უფლებამოსილმა პირმა, რაც გამოიხატა იმავე პირის მიერ, მისი სახელით, აპელანტის მიერ ნამდვილად აღიარებული ახალი გარიგების (2003წ. 1 აგვისტოს ხელშეკრულების) დადებაზე თანხმობაში, რომელიც აპელანტის მიერ ბათილად მიჩნეული 2003წ. 17 ივნისის №646 საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

აღნიშნული გადაწყვეტილება სს „გურჯაანი-93-ის“ წარმომადგენელმა ც. ჯ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა. კასატორმა თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ წინამძღვრებზე მიუთითა:

ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, რომელიც უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარებოდა;

2003წ. 8 სექტემბრის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება 2005წ. 3 ნოემბერს შესრულდა, ამდენად, სარჩელის აღძვრის დროისათვის სს „ბანკი კრედიტი“ არასათანადო მოსარჩელეს წარმოადგენდა, რადგანაც მოთხოვნის უფლება მას სწორედ 2005წ. 3 ნოემბრიდან წარმოეშვა;

სს „გურჯაანი-93-ს“, მოთხენის დათმობის ხელშეკრულების არც ერთმა მხარემ ოფიციალურად არ აცნობა, თუ ვის წინაშე უნდა შეესრულებინა 2002წ. 30 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მაშინ როცა, შეტყობინების ვალდებულება ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო;

სააპელაციო პალატამ არ გათვალისწინა სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად: „თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს“ და 393-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც - „კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას, მისი ბრალის მიუხედავად მას აღარ აქვს ფულადი ვალდებულებისთვის პროცენტის მიღების უფლება“. ამ ნორმების საფუძველზე კრედიტორს პირგასამტეხლოს მიღების უფლებაც ეკარგება, რაც „გურჯაანი-93-ს“ ზედმეტად დაეკისრა; ამასთან, სასამართლომ პროცენტები არასწორად გადაიანგარიშა;

სააპელაციო პალატას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის ბრალით არ იყო გამოწვეული, რადგანაც ხელშეკრულების არც ერთმა მხარემ მას მოთხოვნის დათმობის შესახებ არ აცნობა;

2003წ. 17 ივნისისა და 1 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულებები არ არის ნამდვილი, რადგანაც კ. კ-მეს (რომელიც აღნიშნულ ხელშეკრულებებში მითითებულია, როგორც „გურჯაანი-93-ის“ დირექტორი) განსხვავებული ხელმოწერა გააჩნია და ხელშეკრულებებში მითითებული პირადობის მოწმობის რეკვიზიტები რადიკალურად განსხვავდება მისი ნამდვილი პირადობის მოწმობისაგან.

სს „აგროინვესტბანკმა“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას, სს „გურჯაანი-93-ის“ მთელი ქონებისათვის ყადაღის დადების მოთხოვნით მიმართა. საკასაციო პალატის 2008წ. 28 იანვრის განჩინებით, აღნიშნული განცხადება განუხილველად დარჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 14 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

2008წ. 21 თებერვალს კასატორის მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხი წარმოადგინა და მიუთითა, რომ სს „გურჯაანი-93-ის“ წარმომადგენელ ც. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს და ამდენად, დასაშვებად არ უნდა იქნეს მიჩნეული, ამასთან საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 14 მაისის განჩინებით სს „გურჯაანი-93-ის“ წარმომადგენელ ც. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სს „გურჯაანი-93-ის“ წარმომადგენელ ც. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

2002წ. 30 დეკემბერს სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „გურჯაანი 93-ს“ შორის საკრედიტო ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც, ბანკმა მსესხებელზე 500 000 აშშ დოლარის კრედიტი გასცა, 36 თვის ვადით, წლიური 18%-ის დარიცხვით. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, და-იანებას საურავი ერიცხებოდა - ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,4%;

სესხის უზრუნველყოფის მიზნით, 2002წ. 30 დეკემბერს, სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „გურჯაანი-93-ს“ შორის იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, იპოთეკით დაიტვირთა სს „გურჯაანი-93-ის“ კუთვნილი 680 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა – ნაგებობები. სესხის უზრუნველსაყოფად გირაუნობის ხელშეკრულებაც გაფორმდა, რომლის საფუძველზეც დაგირავდა მსესხებლის კუთვნილი ღვინის ჩამომსხმელი დანადგარი „ალოფატეკსი“. ორივე ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;



2003წ. 8 სექტემბერს სს „საქართველოს ბანკს“ და სს „ბანკ კრედიტს“ შორის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ძალითაც სს „გურჯაანი-93-ის“ მიმართ კრედიტორის ადგილი სს „ბანკი კრედიტმა“ დაიკავა;

2003წ. 17 ივნისს სს „ბანკი კრედიტს“ და სს „გურჯაანი-93-ს“ შორის №646 საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა 150 000 ლარზე ვადით – 2004წ. 17 ივნისამდე, წლიური 14,4%-ის დარიცხვით. ხელშეკრულების მიხედვით, მსესხებელს, ძირითადი თანხისა და პროცენტის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ერიცხებოდა საურავი, თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამ ხელშეკრულებიდან სს „გურჯაანი-93-ს“ სესხად 134 435 ლარი აქვს მიღებული.

2003წ. 1 აგვისტოს №658 საკრედიტო ხელშეკრულებით, სს „გურჯაანი-93-მა“ სს „ბანკი კრედიტიდან“ ერთი წლის ვადით სესხად 21 450 ლარი გაიტანა წლიური 14,4%-იანი სარგებლით. ხელშეკრულების მიხედვით, მსესხებელს, ძირითადი თანხისა და პროცენტის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ერიცხებოდა საურავი, თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

„დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც მტკიცებულებათა არასწორი შეფასება გამოიწვია. კასატორის მტკიცება იმის შესახებ, რომ 2003წ. 17 ივნისის №646 და იმავე წლის 1 აგვისტოს №658/21804 ხელშეკრულებებზე შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნის კ. კ-მეს, ამასთან, ამ დოკუმენტებში კ. კ-მე საზოგადოების დირექტორადაა მითითებული, ეს თანამდებობა კი მას არასოდეს სჭერია, ამგვარ პრეტენზიას არ წარმოადგენს. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას იმის შესახებ, რომ თუნდაც აღნიშნული გარიგება არაუფლებამოსილი პირის მიერ ყოფილიყო დადებული, შემდგომში უფლებამოსილმა პირმა – სს „გურჯაანი-93-მა“ იგი მოიწონა, რაც გამოიხატა მის მიერ ახალი 2003წ. 1 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულების დადებაში (რომლის ნამდვილობაც კასატორს სადავოდ არც ერთ ინსტანციაში გაუხდია), რომელიც, თავის მხრივ, 17 ივნისის №646 ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ დადებული გარიგება გახდეს ნამდვილი, თუ მას წარმოდგენილი პირი მოიწონებს. მოცემულ შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის მიერ საზოგადოების სახელით იმავე კონტრაქტთან ახალი გარიგების დადება, რომელიც წინა, სადავო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, სწორედ წარმოდგენილი პირის თანხმობად უნდა ჩაითვალოს. გამომდინარე იქიდან, რომ 2003წ. 1 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულება იმავე 17 ივნისის №646 ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, სრულიად უსაფუძვლოა სს „გურჯაანი-93-ის“ წარმომადგენელ ც. ჯ-შვილის მტკიცება, რომ მისი მარწმუნებლისათვის 2003წ. 17 ივნისის №646 ხელშეკრულების შესახებ ცნობილი მხოლოდ სს „შუგრეფიმპექსბანკის“ მიერ სარჩელის აღძვრის შემდეგ გახდა.

რაც შეეხება კასატორის მტკიცებას, რომ ხელშეკრულებაზე შესრულებული ხელმოწერა კ. კ-მეს არ ეკუთვნის, აღნიშნულის დამდასტურებელი მტკიცებულებები მის მიერ არც ერთ ინსტანციაში ყოფილა წარდგენილი. ვინაიდან ხელშეკრულების ნამდვილობას მოპასუხე ხდიდა სადავოდ, სსკ-ის 102-ე მუხლის საფუძველზე, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც მას ეკისრებოდა.

სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარება, რადგანაც არ არსებობს სარჩელი - სს „შუგრეფიმპექსბანკის“ მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში აღძრული სარჩელი განუხილველი დარჩა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005წ. 15 ნოემბრის განჩინებით, საქმის წარმოება შეწყდა არა სს „აგროინვესტბანკის“, არამედ მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით – სს „საქართველოს ბანკის“ სარჩელის მიმართ, ამ უკანასკნელის მიერ თავის სარჩელზე უარის თქმის გამო. შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მითითება, რომ სამოქალაქო საქმეზე სს „შუგრეფიმპექსბანკის“ სარჩელის გამო სს „გურჯაანი-93-ის“ მიმართ, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

საკასაციო პალატა ვერც კასატორის იმ მტკიცებას გაიზიარებს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2002წ. 30 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტები არასწორად აქვს დაანგარიშებული.

საპელაციო სასამართლო სს „გურჯაანი-93-ისათვის“ დასაკისრებელი თანხის ოდენობის დადგენისას დაეყრდნო შპს „კვალი ნათელის“ აუდიტორულ დასკვნას, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა და რომლის საპირისპირო გაანგარიშებაც სს „გურჯაანი-93-ს“ სასამართლოსათვის არ წარუდგინა. როგორც დასკვნიდან ირკვევა, გაანგარიშება განხორციელებულია საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან ზუსტ შესაბამისობაში, კონკრეტულად კი, კასატორის მიერ მითითებული 2002წ. 30 დეკემბრის ხელშეკრულებასთან მიმართებით, და-იანების გამოთვლისას სწორედ ხელშეკრულებით განსაზღვრული 18 და არა 20%-ია გათვალისწინებული, როგორც ამას კასატორი უთითებს. აუდიტორულ დასკვნაში მოცემული გაანგარიშების მეთოდოლოგია ზუსტად ითვალისწინებს შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებს როგორც პროცენტების, ისე პირგასამტეხლოს ოდენობისა და დარიცხვის წესებთან დაკავშირებით, ამდენად კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ ზედმეტი თანხები დააკისრა სს „გურჯაანი-93-ს“, უსაფუძვლოა.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მტკიცება, რომ ვინაიდან სს „გურჯაანი-93-ს“ ოფიციალურად არავინ აცნობა სს „საქართველოს ბანკს“ და სს „შუგრეფიმპექსბანკს“ შორის მოთხოვნის დათმობისა და, შესაბამისად, ახალი კრედიტორის არსებობის შესახებ, მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის დათმობის შესახებ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობით იყო გამოწვეული, ამდენად, კრედიტორს, სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, პირგასამტეხლოს მიღების უფლება აღარ გააჩნდა.

საქმეში წარმოდგენილია სს „შუგრეფიმპექსბანკის“ დირექტორ ვ. შ-შვილის საპრეტენზიო წერილი, რომლითაც სს „გურჯაანი-93-ის“ დირექტორს ეცნობა 2003წ. 8 დეკემბრის მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულების თაობაზე. ამავე წერილით სს „შუგრეფიმპექსბანკი“ მოვალისგან ვალდებულების შესრულებას ითხოვს, ამდენად, სს „გურჯაანი-93“ ინფორმირებული იყო როგორც მოთხოვნის უფლების დათმობის, ისე იმის შესახებ, თუ ვის წინაშე უნდა შეესრულებინა ვალდებულება, ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ თუნდაც სს „გურჯაანი-93“ არ ყოფილიყო ინფორმირებული მოთხოვნის უფლების დათმობისა და სს „საქართველოს ბანკის“ ახალი კრედიტორით ჩანაცვლების თაობაზე, მას შეეძლო ვალდებულება ძველი კრედიტორის წინაშე შეესრულებინა. საქმის მასალებით ისიც ირკვევა, რომ სს „გურჯაანი-93“ ვალდებულებას არც მოთხოვნის უფლების დათმობამდე ასრულებდა. მას პირველივე თვიდან აღარ გადაუხდია პროცენტი არც ერთი საკრედიტო ხელშეკრულების მიმართ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა სს „აგრიონვესტბანკის“ ბრალეული მოქმედებით იყო გამოწვეული და მას პირგასამტეხლოს მიღების უფლება არ გააჩნდა. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო შეამცირა და სს „გურჯაანი-93-ს“ სს „აგრიონვესტბანკის“ სასარგებლოდ აუდიტორულ დასკვნაში მითითებული საჯარიმო თანხის ნახევარი დააკისრა.

სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სერაზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სს „გურჯაანი-93“-ის წარმომადგენელ ც. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 5 ნოემბრის გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. ხანდაზმულობა

იჯარის ხელშეკრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-774-1098-07

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

დავის საგანი: საიჯარო ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 3 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ი/მ თ. გ-ნმა ქ.ქუთაისის მერიის, შპს „დასავლეთ საქვაზმშენის“, შპს „დასავლეთ საქვაზმშენის ქუთაისის მოძრავ-მექანიზირებული კოლონისა“ და ქ.ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 1989წ. 20 ივლისის №10 საიჯარო ხელშეკრულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების სახით ი/მ „თ. გ-ანის“ სასარგებლოდ 92 275 832 ლარის გადახდის დაკისრება და მოპასუხეთა ქონებისათვის ყადაღის დადება. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა 18 000 000 ლარამდე.

ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006წ. 3 ნოემბრის განჩინებით, მოპასუხეების – შპს „დასავლეთ საქვაზმშენისა“ და შპს „ქუთაისის მოძრავ-მექანიზირებული კოლონის“ მიმართ, ინდ.მეწარმე „თ. გ-ანის“ სარჩელს უარი ეთქვა წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული სარჩელი იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე უკვე განიხილა სასამართლომ, ხოლო ქუთაისის მერიის მიმართ სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. სასამართლო სხდომაზე ქ.ქუთაისის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა და ამავედროულად მოსარჩელის მოთხოვნა ზანდაზმული იყო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. პირველი თებერვლის გადაწყვეტილებით, ი/მ „თ. გ-ანის“ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე ზანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 10 ივლისის განჩინებით, ი/მ „თ. გ-ანის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის უფლება დაირღვა 1989 წელს, ხოლო მან სარჩელით სასამართლოს მიმართა 16 წლის შემდეგ – 2006წ. ნოემბერში. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია სარჩელის შეტანის იმ დამაბრკოლებელ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც პირადად მას უზღუდავდა სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად გამოიყენა 1964წ. რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 75-ე მუხლი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 10 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი/მ „თ. გ-ნმა“ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება დაუსაბუთებელია და გამოტანილია კანონით გათვალისწინებული საპროცესო ნორმების დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საიჯარო ხელშეკრულების პირობები მოპასუხემ დაარღვია 1989 წელს, ხოლო მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა უფლების დარღვევიდან 16 წლის შემდეგ – 2006წ. ნოემბერში. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ

კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. იგი ვერ მიუთითებს ისეთ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რაც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს. ამდენად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

სკ-ის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს.

სკ-ის (1964წ. რედაქციის) 75-ე მუხლის მიხედვით, საერთო ვადა უფლების დაცვისა იმ პირის სარჩელით, რომლის უფლებაც დარღვეულია, განისაზღვრება სამი წლით, ხოლო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთშორისი სარჩელებისათვის – ერთი წლით. ამავე კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან, ხოლო სარჩელის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა.

ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1989 წელს, მან კი სარჩელით მიმართა სასამართლოს 2006 წელს

ანუ 16 წლის შემდეგ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ მართებულად იქნა მიჩნეული თ. გ-ანის მოთხოვნა ხანდაზმულად, შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სერეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ინდივიდუალური საწარმო „თ. გ-ანის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელი დარჩეს ქ.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 10 ივლისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საწარმოო ტრავმა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-677-1007-07

14 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის შედეგად დანიშნული პენსიის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2005წ. 10 ოქტომბერს ი. ხ-შვილმა მარნეულის რაიონულ სასამართლოს სს „ქვემო ქართლის“ მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა და განმარტა, რომ „საქსოფმშენის“ მარნეულის მე-9

ტრესტის დმანისის მოძრავ-მექანიზებულ კოლონა №48-ში მე-6 თანრიგის მემონტაჟ-შემდულებლად მუშაობდა. 1979წ. 25 ოქტომბერს მომხდარი უბედური შემთხვევის გამო სხეულის მძიმე დაზიანებით საწარმოო ტრავმა მიიღო, რის გამოც ხანგრძლივი მკურნალობის კურსის შემდეგ 1980წ. სექტემბერში სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით მე-2 ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა, შრომის უნარის 80%-ით დაკარგვით და დაენიშნა პენსია 333 მანეთი. ინვალიდობის დადგენის მომენტიდან 1991წ. ბოლომდე საწარმო დანიშნულ პენსიას კვარტალში ან ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემნახველ სალაროში რიცხავდა. 1992წ. იანვრიდან პენსიის გადარიცხვა შეწყდა. დმანისის მოძრავ-მექანიზებულ კოლონა №48-ისა და „საქსოფმშენის“ მარნეულის მე-6 ტრესტის ხელმძღვანელობა ამას იმ გარემოებით ხსნიდა, რომ მშენებლობა აღარ მიმდინარეობდა. 1997წ. გაზაფხულზე მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ „საქსოფმშენის“ მე-6 ტრესტის ბ-მე, სადაც შედიოდა დმანისის მოძრავ-მექანიზირებული კოლონა №48, სს „ქვემო ქართლი“ დაფუძნდა. მოსარჩელემ სს „ქვემო ქართლის“ ხელმძღვანელობას საწარმოო ტრავმის შედეგად დანიშნული პენსიის მიღების მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო 2005წ. 5 აგვისტოს მან განცხადებით მიმართა აღნიშნულ საწარმოს და პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ თანახმად, 1992წ. იანვრიდან დანიშნული პენსიის (შესაბამისი კურსით ლარებში) ანაზღაურება მოითხოვა, აგრეთვე, შემდგომში – პენსიის ყოველთვიური გადახდა. აღნიშნულ განცხადებაზე სს „ქვემო ქართლს“ რეაგირება არ მოუხდენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. ხ-შვილმა სს „ქვემო ქართლისათვის“, როგორც „საქსოფმშენის“ მე-6 ტრესტის სამართალმემკვიდრისათვის, 1992წ. იანვრიდან 2005წ. სექტემბრის ჩათვლით მიუღებელი პენსიის, 2005წ. ოქტომბრიდან ყოველთვიური სარჩოსა და ადვოკატის ხარჯების, სულ 27 400 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოპასუხე სს „ქვემო ქართლის“ წარმომადგენელმა თავის შესაგებელში აღნიშნა, რომ ი. ხ-შვილს არასოდეს უმუშავია მოძრავ მექანიზებულ კოლონა 48-ში და არც პენსია მიუღია ამ ორგანიზაციიდან, ამასთან მისი მოთხოვნა იყო ხანდაზმული, რადგან გაერთიანებული ქართული ბანკიდან წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, თანხის ჩარიცხვა 1988 წელს შეწყდა, ი. ხ-შვილმა კი სასამართლოს 2005 წელს მიმართა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2006წ. 18 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა მისთვის პენსიის დანიშნვის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ამასთან, ვინაიდან უბედური შემთხვევის შესახებ აქტში აღნიშნული იყო, რომ ი. ხ-შვილს კიბეზე ჩამოსვლისას ფეხი დაუცდა, საწარმოს მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არ მომხდარა, რაც იმთავითვე გამორიცხავდა პასუხისმგებლობას. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა იყო თუ არა სს „ქვემო ქართლი“ „საქსოფმშენის“ მარნეულის №6 ტრესტის დმანისის მუდმივმოქმედი სამშენებლო მატარებლისა და მოძრავ მექანიზებული №48 კოლონის სამართალმემკვიდრე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ი. ხ-შვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა. აპელანტმა აღნიშნა, რომ რაიონულმა სასამართლომ 1999წ. 9 თებერვლის „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ნაცვლად, სამოქალაქო კოდექსის ნორმებით იხელმძღვანელა, ამასთან, უბედური შემთხვევის შესახებ შედგენილი აქტი და ის გარემოება, რომ მას მე-2 ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა, თავისთავად ადასტურებდა საწარმოს მხრიდან მისთვის პენსიის დანიშნვის ფაქტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 18 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „ქვემო ქართლს“ ი. ხ-შვილის სასარგებლოდ ზიანის საკომპენსაციოდ 3920 ლარის ერთჯერადად და 2007წ. 10 ივნისიდან ყოველთვიური სარჩოს სახით 48 ლარის გადახდა დაეკისრა, ორგანიზაციასვე დაეკისრა აპელანტის მიერ გაწეული ადვოკატის ხარჯების გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი: ი. ხ-შვილმა, 1979წ. 25 ოქტომბერს მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, სხეულის მძიმე დაზიანებით საწარმოო ტრავმა მიიღო, რაზედაც შესაბამისი აქტი შედგა და 1980წ. სექტემბერს მას მეორე ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა;

1986წ. 21 მარტს (ი. ხ-შვილის სამუშაოდან წასვლის შემდეგ) №6 ტრესტის მუდმივმოქმედ სამშენებლო მატარებელს სახელი შეეცვალა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ №16 ტრესტის მუდმივ-მექანიკური კოლონა №48 ეწოდა, ხოლო 1991წ. 12 სექტემბერს მისი სახელწოდება კვლავ შეიცვალა და „საქსოფმშენის“ №6 ტრესტის მუდმივმოქმედი კოლონა №48 ეწოდა;

სს „ქვემო ქართლი“ კონცერნ „საქსოფმშენის“ მე-6 ტრესტის სამართალმემკვიდრეა;

ი. ხ-შვილი საწარმო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით იღებდა პენსიას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სააპელაციო სასამართლომ შემდეგი მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნია დადგენილად: ა) 1966 წელს №16 ტრესტის მიერ გაცემული ცნობით იმის შესახებ, რომ ი. ხ-შვილი ინვალიდობის პენსიას №6 ტრესტის მუდმივმოქმედ სამშენებლო მატარებლიდან იღებდა, თუმცა პენსიის მიღების თაობაზე დოკუმენტები აღნიშნულ ორგანიზაციაში ხანძრის გაჩენის გამო განადგურებულია და ბ) საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტზე დაყრდნობით (ს.ფ. 71), რომელიც 1983წ. 15 დეკემბრით თარიღდება და სადაც მოსარჩელის სახელზე №6 ტრესტის მუდმივმოქმედ სამშენებლო მატარებლიდან პენსიის ჩარიცხვის ფაქტია მითითებული;

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ხ-შვილის მოთხოვნა საფუძველიანი იყო, რადგანაც მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა შრომის ხელშეკრულების საფუძველზე იყო წარმოშობილი. შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად კი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელი არიან მუშა-მოსამსახურეებისთვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მათი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ვნებით. გარდა ამისა, პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 42-ე მუხლის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) შემთხვევაში უფლებამონაცვლე ორგანიზაცია ვალდებულია, ზიანი ანაზღაუროს. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ი. ხ-შვილი ითხოვდა არა პენსიის დანიშვნას, არამედ უკვე დანიშნული, მაგრამ შეწყვეტილი პენსიის აღდგენას, ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის № 48 ბრძანებულების მე-3 მუხლი განსახილველ შემთხვევაზე ვერ გავრცელდებოდა.

სააპელაციო პალატამ ზიანის ანაზღაურების სახით დანიშნული სარჩოს ოდენობა „წესების“ მე-11 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაიანგარიშა და მიიჩნია, რომ სარჩოს ოდენობა 2003წ. 11 სექტემბრამდე უნდა გამოთვლილიყო სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის – 20 ლარის ათმაგი ოდენობიდან, ხოლო 2003წ. 11 სექტემბრიდან - მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სს „ქვემო ქართლის“ წარმომადგენელმა შ. ც-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ სს „ქვემო ქართლი“ „საქსოფმშენის“ მე-6 ტრესტისა და მოძრა-მექანიზირებული კოლონა №48-ის სამართალმემკვიდრედ ა. კ-ევას შრომის წიგნაკის ამონაწერზე დაყრდნობით მიიჩნია, რაც არასწორი იყო, რადგან შრომის წიგნაკი ი. ხ-შვილს არ ეკუთვნოდა. საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდებოდა სამართალმემკვიდრეობა და, შესაბამისად, სს „ქვემო ქართლი“ არ იყო ვალდებული, ზიანი აენაზღაურებინა ი. ხ-შვილისათვის. ამასთან, არ დგინდებოდა საწარმოს ბრალი, რაც პასუხისმგებლობას გამოიწვევდა.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ კი, ძალადაკარგული შრომის კანონთა კოდექსით იხელმძღვანელა. ამასთან, ვინაიდან დაწყებული იყო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი, სს „ქვემო ქართლი“ №6 ტრესტის სამართალმემკვიდრედ მიჩნეული რომც ყოფილიყო, სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული ბრძანებულების 23-ე მუხლით უნდა ეხელმძღვანელა და ყოველთვის სარჩოს ნაცვლად, ერთჯერადი კომპენსაციის დანიშვნის საკითხზე ემსჯელა. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ სარჩოს გადაანგარიშების დროს სააპელაციო სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და დაარღვია სს-ის 48-ე მუხლის მოთხოვნა, ამასთან გაუგებარია, ყოველთვის სარჩოს სახით 48 ლარი რატომ განისაზღვრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 7 თებერვლის განჩინებით სს „ქვემო ქართლის“ წარმომადგენელ შ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ სს „ქვემო ქართლის“ წარმომადგენელ შ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ი. ხ-შვილმა, 1979 წ. 25 ოქტომბერს მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, საწარმოო ტრავმა მიიღო, რის შესახებაც შესაბამისი აქტი შედგა. 1980 წ. სექტემბერში მას მეორე ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა და იგი სამუშაოდან იმავე წელს გათავისუფლდა. 1986 წ. 21 მარტს №6 ტრესტის მუდმივმოქმედ საამშენებლო მატარებელს სახელი შეეცვალა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ №16 ტრესტის მუდმივი მექანიკური კოლონა № 48 ეწოდა, ხოლო 1991 წელს - „საქსოფშენის“ №6 ტრესტის მუდმივმოქმედი კოლონა №48. სს „ქვემო ქართლი“ კონცერნ „საქსოფშენის“ მე-6 ტრესტის სამართალმემკვიდრეა. მოძრავ-მექანიზებული კოლონა № 48-ის მოსამსახურეთა 1993 წ. 15 ივნისის საერთო კრების ოქმით დადგინდა, რომ მკ № 48-ის პრივატიზება განხორციელებულიყო „საქსოფშენის“ №6 ტრესტის შემადგენლობაში. ამდენად, სს „ქვემო ქართლი“ „საქსოფშენის“ №6 ტრესტის მუდმივმოქმედი კოლონა №48-ის სამართალმემკვიდრეა. ი. ხ-შვილს საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად პენსიას №6 ტრესტის მუდმივმოქმედი საამშენებლო მატარებელი ურიცხავდა.

სსკ-ის 407-ე მუხლით გათვალისწინებული „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც მტკიცებულებათა არასწორი შეფასება გამოიწვია. კასატორის მტკიცება, რომ სს „ქვემო ქართლის“ სამართალმემკვიდრეობის საკითხი ვერ გადაწყდებოდა ა. კევას შრომის წიგნაკზე დაყრდნობით და საქმის მასალებით უტყუარად არ დასტურდება ი. ხ-შვილისათვის საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ პენსიის დანიშვნის ფაქტი, ასეთ პრეტენზიას არ წარმოადგენს, ამდენად, საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნული ფაქტობრივ გარემოებებს სარწმუნოდ მიიჩნევს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლი და 2006 წ. 25 მაისის შრომის კოდექსის ნორმებით უნდა ეხელმძღვანელა.

აღნიშნული კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, ეს კოდექსი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა, რაც იმას ნიშნავს, რომ კოდექსის მოქმედების გავრცელება გამორიცხულია მის ამოქმედებამდე შეწყვეტილი შრომითი ურთიერთობების მიმართ. ი. ხ-შვილი კი სამუშაოდან 1980 წელს გათავისუფლდა.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ ვინაიდან დადგენილი არ ყოფილა საწარმოს ბრალი, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წ. 9 თებერვლის № 48 ბრძანებულების მე-3 მუხლის საფუძველზე, სს „ქვემო ქართლს“ არ ეკისრებოდა ვალდებულება, ი. ხ-შვილისათვის საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანი აენაზღაურებინა.

განსახილველ შემთხვევაში ი. ხ-შვილი მისთვის უკვე დანიშნული პენსიის აღდგენას ითხოვდა, შესაბამისად, პენსიის დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ იქნებოდა.

საკასაციო პალატა ვერც კასატორის იმ მოსაზრებას გაიზიარებს, რომ ი. ხ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის საფუძველზე.

ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს საწარმოო ტრავმით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი განსახილველ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება. საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური პენსიის გადახდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩათვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. პერიოდულად შესასრულებელი

ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ი. ხ-შვილს მხოლოდ სარჩელის ადმრამდე ბოლო სამი წლის. სარჩო შეიძლება აუნაზღაურდეს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიცავს მითითებას სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმებზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კომპენსაციის დანიშვნის ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან სასამართლომ კომპენსაციის დანიშვნის პერიოდი არასწორად განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „ქვემო ქართლში“ იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები არ არსებობდა, იხელმძღვანელა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის № 48 ბრძანებულების მე-11 მუხლით და ი. ხ-შვილისათვის მისაცემი კომპენსაციის ოდენობა 2003წ. 11 სექტემბრამდე მინიმალური ხელფასის, 20 ლარის, ათმაგი ოდენობიდან იანგარიშა, ხოლო 2003წ. 11 სექტემბრიდან გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე პერიოდისათვის – მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან. მართალია, გამოთვლისას მითითებული 57 თვე აღნიშნულ პერიოდს მნიშვნელოვნად აღემატება (2003წ. 11 სექტემბრიდან 2007წ. 18 ივნისამდე 45 თვეა), მაგრამ გამოთვლის შედეგად მიღებული ჯამი - 2160 ლარი სწორია ( $20 \times 3 \times 45 \times 80\% = 2160$ ), ამდენად სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისას უმნიშვნელო უზუსტობა აქვს დაშვებული, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

საკასაციო პალატა არც კასატორის იმ მითითებას იზიარებს, რომ ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა სააპელაციო სასამართლომ ყოველთვიური სარჩოს სახით 48 ლარი როგორ გამოთვალა, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

სსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-11 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობს დაზარალებულის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრება სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან, იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი. ი. ხ-შვილს კი შრომის უნარი 80%-ით ჰქონდა დაკარგული. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად გამოთვლილი სარჩოს ოდენობა სწორედ 48 ლარს შეადგენს ( $20 \times 3 \times 80\% = 48$ ), ამდენად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში არსებითად სწორია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სს „ქვემო ქართლის“ წარმომადგენელ შ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 18 ივნისის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საწარმოო ტრავმა

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრაი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ვამ 2005წ. აპრილში სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სს „მადნეულის“ მიმართ და მოითხოვა მარჩენალის დაკარგვის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ მისი მეუღლე ბ. ბ-ვი გარდაიცვალა საწარმოო ტრავმის შედეგად. მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩო დაენიშნა მხოლოდ მის შვილებს, რომლებიც ამჟამად სრულწლოვანები არიან და შეუწყდათ სარჩოს გადახდა. 2005წ. 1 თებერვალს კვლავ მიმართა სს „მადნეულს“, რომ დაენიშნათ სარჩო მისთვის, როგორც საწარმოო ტრავმით გარდაცვლილის მეუღლისათვის, მაგრამ უარი განუცხადეს ხანდაზმულობის გამო. მოსარჩელის მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 35-ე მუხლის თანახმად მოპასუხე ორგანიზაციამ უნდა აუნაზღაუროს ზიანი.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2005წ. 6 მაისის გადაწყვეტილებით მ. ბ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სს „მადნეულს“ დაეკისრა მ. ბ-ვას სასარგებლოდ მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებით ყოველთვიური სარჩოს 280 ლარის გადახდა 2005წ. 2 თებერვლიდან მდგომარეობის შეცვლამდე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „მადნეულის“ გენერალურმა დირექტორმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 5 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2005წ. 6 მაისის გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „მადნეულის“ წარმომადგენელმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006წ. 26 ივნისის განჩინებით სს „მადნეულის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 5 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 15 ოქტომბრის განჩინებით სს „მადნეულის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ძალაში დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2005წ. 6 მაისის გადაწყვეტილება.

პალატამ მიიჩნია, რომ მ. ბ-ვას მეუღლე ბ. ბ-ვი 1979წ. 2 აგვისტოდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ჯერ მადნეულის სამთო-გამდიდრებელ კომბინატში, შემდეგ სს „მადნეულში“ ბუღლოზერის მემანქანედ. პალატამ ასევე მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა სწორად მოაწესრიგა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესით“ პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2007წ. 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესში“ საქართველოს მთავრობის №84 დადგენილებით 2007წ. 9 მაისის განხორციელებული ცვლილების მიხედვით, 2007წ. 1 მარტის შემდეგ არ შეიძლება დაწესდეს ახალი გასაცემლები „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების

მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად, რადგან აღნიშნული ცვლილება შეეხება, იმ დებულებას, რომელიც არეგულირებენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემის დანიშვნის საფუძვლებს.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „მადნეულის“ წარმომადგენელმა ნ. ს-ძემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიუხედავად აღნიშნულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006წ. 26 ივნისის განჩინების მოთხოვნისას არ გამოარკვია მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლები, არ გამოიკვლია მოსარჩელე ბ-ვას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მოახდინა მათი სწორი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაბამისი კანონის გამოყენების შემთხვევაში ცალსახა იქნებოდა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, ვინაიდან გასულია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რაც არსებითაა ამ საქმის განხილვისათვის და რაც წარმოადგენს სარჩელზე უარის თქმის საფუძველს.

ასევე, კასატორის განმარტებით, სასამართლომ მხარეთა შორის ურთიერთობაზე უკანონოდ გაავრცელა ძალადაკარგული ბრძანებულებით განსაზღვრული წესები, თუმცა იმ შემთხვევაშიც ხანდაზმულობის ვადა მაინც გასულია, რადგან მოსარჩელეს, როგორც გარდაცვლილის მეუღლეს სარჩოს მიღების უფლება წარმოეშვა მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან (1993 წელი) და მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა მას გაშვებული აქვს, ვინაიდან სს „მადნეულს“ სარჩოს დანიშვნის მოთხოვნით მიმართა 2005წ. 2 თებერვალს ანუ 12 წლის გასვლის შემდეგ. ხანდაზმულობის საკითხის გარკვევის გარდა, სააპელაციო სასამართლოს არც ბრალულობისა და შრომის და სამოქალაქო კოდექსის ნორმები განუხილავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბ. ბ-ვა 1993წ. 2 დეკემბერს მართავდა ტრაქტორს მოხვდა ავარიაში და გარდაიცვალა 1993წ. 3 დეკემბერს.

2005წ. 1 თებერვალს ბ. ბ-ვის მეუღლემ – მ. ბ-ვამ განცხადებით მიმართა სს „მადნეულს“ პენსიის დანიშვნის მოთხოვნით. განცხადება რეგისტრირებულია სს „მადნეულის“ კანცელარიაში 2005წ. 2 თებერვალს №42\10.

სასამართლომ მ. ბ-ვას განცხადება დააკმაყოფილა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების შესახებ“ წესის შესაბამისად. კერძოდ, კი იხელმძღვანელა აღნიშნული წესის 51-ე პუნქტით, რომლის თანახმად დამქირავებლის შრომის უნარის ხარისხის დაკარგვით ან მარჩენალის გარდაცვალებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ ზიანი ანაზღაურება ხდება განცხადების შეტანის დღიდან, განცხადების შეტანის დღედ ითვლება ორგანიზაციაში მისი მიღების დღე. პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ არასწორადაა განმარტებული სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი აღნიშნულ ნორმასთან მიმართებაში. აღნიშნული წესით ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ დარღვეული არ არის ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადა. სამოქალაქო კოდექსის 1008 მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვადა სამი წელია იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ე.ი. მითითებული ნორმა უთითებს თუ რა სახით ანაზღაურდება სარჩო. თუ ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ სარჩენმა შეიტყო მარჩენალის დაკარგვიდან 3 წლის ან მეტი დროის გასვლის შემდეგ, მაგრამ თუ სარჩენისათვის იმთავითვე ცნობილი იყო აღნიშნულის შესახებ და არ მიმართა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს, ითვლება რომ მან გაუშვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. როგორც სარჩელიდან ირკვევა, მ. ბ-ოვას შვილები დებულობდნენ წლების განმავლობაში სარჩოს, ანუ მ. ბ-ოვისათვის ცნობილი იყო ზიანის ანაზღაურების ვალდებული

პირის შესახებ. ამიტომ მას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე უნდა მიემართა სააქციო საზოგადოებისათვის. აღნიშნული უფლების რეალიზაცია მას არ მოუხდენია, რის გამოც, პალატა თვლის, რომ მ. ბ-ვას მოთხოვნა ხანდაზმულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად საკმაოდ არ არის დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. პალატა თვლის, რომ ზემოთ მითითებული გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით მ. ბ-ვას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

სს „მადნეულის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 19 ოქტომბრის განჩინება და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით მ. ბ-ვას სარჩელს უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე;

გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხანდაზმულობის ვადის დაწყება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-968-1269-07

15 მაისი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანამესაკუთრედ ცნობა, ნივთის გაუმჯობესების, ავადმყოფის მოვლის, დაკრძალვისა და სასაფლაოს მოწყობისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

ღია ს-ავავამ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. მ-ძის მიმართ ქ.ბათუმში, ... ქ.№110-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1993 წლიდან ლ.ს-ავავა არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვლილ რ. მ-ძესთან, რომელთან ერთად ეწეოდა საოჯახო მეურნეობას. 2002წ. 24 ივლისს რ. მ-ძესა და ქ.ბათუმის მერიასთან არსებულ საბინაო სერვისის წარმომადგენელ რ.ბადოევს შორის გაფორმდა და სანოტარო წესით დამოწმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რა დროსაც ნოტარიუსმა მოითხოვა მოსარჩელის, როგორც რ.მ-ძის მეუღლის თანხმობა. ამავე წლის. 8 ნოემბერს სადავო სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა რ.მ-ძესა და აჭარის ა/რ საბინაო საკითხთა დეპარტამენტის თავმჯდომარე რ.ბადოევს შორის. ბინა იყო ავარიული. მოსარჩელემ ძმისგან – ზ. ს-ავავასგან ნასესხები 10000 აშშ დოლარით აღნიშნულ ბინას ჩაუტარა რემონტი, რის შედეგად უძრავი ნივთის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის შესაბამისად, ლ.ს-ავავას უნდა მიეკუთვნოს სადავო უძრავი ნივთის 1/2. მოგვიანებით მოსარჩელემ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა მოპასუხე თ. მ-ძისგან სადავო საცხოვრებელი სახლის გაუმჯობესებისათვის დახარჯული 25 210 ლარის, რ. მ-ძის დაკრძალვასა და სასაფლაოს მოწყობისათვის – 5840 ლარის, რ.მ-ძის ავადმყოფობისას გაწეული 2000 ლარის, ადვოკატის მომსახურებისათვის – 1400 ლარისა და მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის

ანაზღაურება. ლ.ს-ავავამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ მემკვიდრეობით მიიღო რა მამის სამკვიდროში შემავალი სადავო უძრავი ნივთი, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის შესაბამისად, იგი ლ.ს-ავავას ხარჯებით გაუმჯობესებული სამკვიდროს ნაწილში უსაფუძვლოდ გაძლიერდა.

თ. მ-ძემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა საცხოვრებელი სახლის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და ლ. ს-ავავასათვის ყოველთვიური ქირის – 200 ლარის დაკისრება შემდეგი დასაბუთებით: რ. მ-ძე გარდაიცვალა 2005წ. 17 მარტს, რის შემდეგ მისმა შვილმა – თ.მ-ძემ კანონის მოთხოვნათა დაცვით მიიღო მამის სამკვიდრო – ქ. ბათუმში, ... ქ.№110-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. შეგებებული სარჩელის ავტორი ვერ ახორციელებს თავის საკუთრების უფლებას მითითებულ უძრავ ნივთზე, რადგან სახლში უკანონოდ ცხოვრობს რ.მ-ძის არარეგისტრირებული მეუღლე ლ.ს-ავავა, რომელიც ბინას არ ათავისუფლებს და არც შესაბამის ქირას არ იხდის.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 18 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ს-ავავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. მ-ძეს მის სასარგებლოდ დაეკისრა ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების – 24 770 ლარისა და რ. მ-ძის დაკრძალვის ხარჯების – 5840 ლარის გადახდა, ლ.ს-ავავას სარჩელი დანარჩენ ნაწილში და თ. მ-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში თ.მ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სადავო სახლის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება და რ.მ-ძის მოვლისა და დაკრძალვის ხარჯების 1885,2 ლარით შემცირება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ლ.ს-ავავამაც, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული 25210 ლარის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში ლ. ს-ავავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა არც ლ.ს-ავავას სააპელაციო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, კერძოდ: თ. მ-ძე არის აწ გარდაცვლილი რ. მ-ძის შვილი და პირველი რიგის მემკვიდრე, ხოლო მოსარჩელე ლ. ს-ავავა 1993 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა რ. მ-ძესთან, მასთან ერთად ეწეოდა საერთო საოჯახო მეურნეობას, რა დროსაც, 2002წ. 8 ნოემბერს, რ.მ-ძემ 1000 ლარად შეიძინა სადავო სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ რ.მ-ძის გარდაცვალებამდე – 2005წ. 15 მარტამდე. მოწმეთა განმარტებებით დასტურდება, რომ სადავო უძრავი ნივთი შეძენისას იყო საცხოვრებლად უვარგის მდგომარეობაში. რ. მ-ძეს ჰქონდა მცირე შემოსავალი, მისი ხელფასი შეადგენდა 210 ლარს. ლ.ს-ავავამ თავისი ძმისაგან ნასესხები 10 000 აშშ დოლარით, ვინმე ხომერიკისაგან ნასესხები 2000 აშშ დოლარითა და საკუთარი დანაზოგით ჩაატარა სადავო ნივთის რემონტი. საქმეში წარმოდგენილი შპს „ახალი ტექნოლოგიების“ დასკვნით დასტურდება, რომ აღნიშნულისათვის დაიხარჯა 25210 ლარი. საცხოვრებელ სახლზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად მისი ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა და იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, შესრულებული რემონტის შემდგომ უძრავი ნივთის ღირებულებაა 24 770 ლარი. სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1151-ე, 1163-ე მუხლებით და არ გაიზიარა ლ.ს-ავავას მოთხოვნა სადავო სახლის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ, ვინაიდან მოსარჩელე და რ.მ-ძე რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ლ.ს-ავავასათვის ყოველთვიური ქირის დაკისრების შესახებ თ.მ-ძის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან ლ.ს-ავავა წლების განმავლობაში ცხოვრობდა სადავო სახლში მისი მესაკუთრის ნებართვით. მოწმეთა განმარტებით, რ.მ-ძეს უძრავი ნივთის ლ.ს-ავავასათვის ჩუქებაც კი ჰქონდა გადაწყვეტილი. ამასთან, არც რ.მ-ძეს და არც მის მემკვიდრეს ლ.ს-ავავასთან ბინის ქირავნობის თოპაზე შეთანხმება არ ჰქონიათ. თ.მ-ძე საჯარო რეესტრში სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ ჯერ არ დარეგისტრირებულა. კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. მ-ძის მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯები გაიღო ლ. ს-ავავამ და თ. მ-ძეს აღნიშნულში მონაწილეობა არ მიუღია. მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში წარმოდგენილი 2007წ. 17 მარტის ზედღებულებით ირკვევა, რომ რ.მ-ძის გარდაცვალებისას ლ.ს-ავავამ სავაჭრო ცენტრ

„ბათუმის“ ტერიტორიაზე 699,50 ლარად შეიძინა გარდაცვლილისათვის სხვადასხვა დასახელების ტანსაცმელი, იმავე დღეს ქელეხისათვის იყიდა 328,15 ლარის პროდუქტი, ასევე, ბათუმის სამოქალაქო მომსახურების ბიუროში გადაიხადა 765 ლარი, დაქირავებულ დარბაზში კი 320 ლარი. 2005წ. 19 მარტს სს „აჭარაპურში“ 86 ლარად იყიდა ქელეხისათვის პური. აპრილში გადაუხადა ე.წ. „ორმოცი“, რისთვისაც 65 ლარად დაიქირავა დარბაზი, შეიძინა 30 ლარის ღირებულების ნამცხვარი და 130 ლარის პროდუქტი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე დამატებით მიიჩნია, რომ საქმეში მტკიცებულებად დართული ქელეხისა და ორმოცისათვის შეძენილი საჭირო პროდუქტის ჩამონათვალით, სადაც ღვინო გათვალისწინებული არ არის, დასტურდება სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მიცემული ლ.ს-ავავას განმარტება, რომ ქბათუმის მერიის მიერ რ.მ-ძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოყოფილი 1000 ლარით შეძენილ იქნა ქელეხისა და ორმოცისათვის საჭირო ღვინო, რომლის ღირებულება ლ.ს-ავავას რ.მ-ძის დაკრძალვის სხვა ხარჯებთან ერთად არ მოუთხოვია. პალატის მოსაზრებით, თ.მ-ძემ ვერ დაადასტურა თავისი არგუმენტი, რომ ლ.ს-ავავამ რ.მ-ძის დაკრძალვისათვის გაწეულ სადავო თანხებში შეიყვანა საკუთარი საჭიროებისათვის დახარჯული 885,2 ლარი. ამდენად, სადავო 5840 ლარის 1885,2 ლარით შემცირების შესახებ თ.მ-ძის მოთხოვნა სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალი. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ რ.მ-ძის საკუთრებაში არსებული ქბათუმში, ... ქ.№110-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი გარემონტდა რ.მ-ძის სიცოცხლეში, ლ. ს-ავავასთან ფაქტობრივად თანაცხოვრებისას, ერთობლივად და ამ სახლის გაუმჯობესებისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 24 770 ლარი, რითაც უძრავი ნივთის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ლ. ს-ავავას პოზიცია, რომ სადავო ქონების გაუმჯობესებისათვის ხარჯები უშუალოდ მან გასწია, რადგან ამასთან დაკავშირებით შეკრებილი მტკიცებულებები მიიჩნია არასაკმარისად და წინააღმდეგობრივად, კერძოდ, ლ.ს-ავავას მითითებით, სახლის რეკონსტრუქცია-რემონტი 2003წ. მაის-ოქტომბერში ჩაატარა შპს „ახალმა ტექნოლოგიებმა“ მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც აპელანტი დააკავშირა ტარიელ ქათამაძემ. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოწმე ტ.ქათამაძის განმარტებაზე, რომ აღნიშნული სამშენებლო ორგანიზაცია მდებარეობს ქბათუმში, სადაც მანქანით მიიყვანა ლ.ს-ავავა შესაბამისი ხელშეკრულების გასაფორმებლად. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის ცნობით პალატამ გამოარკვია, რომ ბათუმში შპს „ახალი ტექნოლოგიები“ რეგისტრირებული არ არის, არამედ იგი მდებარეობს დაბა მახინჯაურში. პალატის მოსაზრებით, ლ.ს-ავავამ ვერ დაადასტურა ასევე ის გარემოება, რომ სადავო ქონების გაუმჯობესების ხარჯები გასწია რ.მ-ძის გარდაცვალების შემდგომაც. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1489-ე მუხლი, მაშინ, როდესაც უნდა ეხელმძღვანელა ამავე კოდექსის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვინაიდან ლ.ს-ავავას მოთხოვნა სადავო უძრავი ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია. სასამართლომ დაადგინა, რომ 2005წ. 15 მარტს რ.მ-ძის გარდაცვალების შესახებ ლ.ს-ავავასათვის, როგორც გარდაცვლილთან ერთად მცხოვრები პირისათვის, იმთავითვე გახდა ცნობილი, სარჩელი კი შეიტანა სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დარღვევით – 2006წ. 27 მარტს. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ რ.მ-ძის გარდაცვალების შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 11 აპრილის გადაწყვეტილებით ლ.ს-ავავა ცნობილ იქნა რა სადავო სახლის 1/2-ის მესაკუთრედ, მას სახლის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება თ.მ-ძეს მოსთხოვა 2006წ. 27 მარტს დაზუსტებული სარჩელით მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 23 სექტემბრის განჩინებით ამავე სასამართლოს 2005წ. 11 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა. პალატის მოსაზრებით, ლ.ს-ავავას განმარტების გაზიარების შემთხვევაშიც, რომ სადავო ხარჯების ანაზღაურება მან თ.მ-ძეს 2005წ. ზაფხულში მოსთხოვა, ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა მაინც ხანდაზმული იქნება, ვინაიდან, აპელანტის მითითებით, თ.მ-ძემ სადავო თანხის გადახდაზე უარი განუცხადა და დაემუქრა კიდევ სახლის წართმევითა და გამოხსნალებით. სასამართლომ ჩათვალი, რომ სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლით დადგენილი ვადა უნდა აითვალოს 2005წ. 15 მარტიდან, აღნიშნული ვადა კანონით გათვალისწინებული საფუძველებით არ შეწყვეტილა და ამოიწურა ამავე წლის. 15 სექტემბერს. სასამართლომ მიუთითა, რომ ხანდაზმულობის ვადის თ.მ-ძის მიერ მამის სამკვიდროს მისაღებად სანოტარო ორგანოსათვის 2005წ. მაისში მიმართვის მომენტიდან ათვლის შემთხვევაშიც ლ.ს-ავავას მოთხოვნა კვლავ ხანდაზმული იქნებოდა. პალატამ სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის მესამე ნაწილით ჩათვალი, რომ ლ.ს-ავავამ სადავო ხარჯების მოთხოვნის უფლება დაკარგა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 22 თებერვლის განჩინებით თ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

ღია ს-ავავამ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მის სასარჩელო მოთხოვნას ქონების გაუმჯობესებისათვის გადახდილი 25210 ლარის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა, ასევე, ლ.ს-ავას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილი, 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და საერთოდ არ იმსჯელა ლ.ს-ავას მოთხოვნაზე სადავო ქონების თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ. პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ კასატორის მოთხოვნა ქონების გასაუმჯობესებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულია, ვინაიდან ლ.ს-ავამ რ.მ-ძის მემკვიდრეს სადავო ქონებასთან დაკავშირებული პრეტენზია წარუდგინა ჯერ კიდევ 2005წ. აპრილში, როდესაც განცხადებით მიმართა სასამართლოს და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 11 აპრილის გადაწყვეტილებით დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ ლ.ს-ავა იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში რ.მ-ძესთან და ეწეოდა მასთან ერთობლივ საოჯახო მეურნეობას 1993 წლიდან, ლ.ს-ავა იყო 2002წ. 8 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილე და რ.მ-ძესთან თანაბარწილად შეიძინა სადავო საცხოვრებელი სახლი. თ. მ-ძის საჩივრის საფუძველზე აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და კასატორმა შეიტყო, რომ 2005წ. 5 მაისს ამ უკანასკნელმა განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს მამის სამკვიდროს მიღების შესახებ. 2005წ. აგვისტო-სექტემბერში მხარეთა შორის სატელეფონო საუბრისას ლ.ს-ავამ თ.მ-ძეს, როგორც რ.მ-ძის სავარაუდო მემკვიდრეს, მოსთხოვა სადავო ქონების გაუმჯობესებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუმცა მოწინააღმდეგე მხარემ უარი განუცხადა. აღნიშნული გარემოებანი ადასტურებს, რომ კასატორის ზემოხსენებული მოთხოვნა ხანდაზმული არ არის. კასატორის მიერ სადავო ხარჯების გაღების ფაქტი დადასტურდა საქმეზე ჩატარებული სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით. ასევე, მოპასუხის მოთხოვნით დანიშნულმა გრაფიკულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სამშენებლო ფირმის ხარჯთაღრიცხვა ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმეში წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები კასატორის მიერ რ.მ-ძის მკურნალობის, დაკრძალვის, ორმოცისა დაწ.თავის ხარჯების დაფარვის დასადასტურებლად. კასატორის მოთხოვნა სადავო სახლის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე ემყარება იმ გარემოებას, რომ ლ.ს-ავასა და რ.მ-ძეს შორის არსებობდა ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობა. 1998 წელს მათ დაიწერეს ჯვარი, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც საქმეში წარმოდგენილია. მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა ქორწინების წარმომშობ საფუძველად მის რეგისტრაციას მიიჩნევს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა, რაც აღიარებულია სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის გაფორმებული კონკორდატით, ამდენად, ჯვრისწერის ფაქტს არანაკლები იურიდიული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ამასთან, საქართველო ევროკონვენციის მონაწილეა და მასზე უნდა გავრცელდეს სტრასბურგის ევროკომისიის მითითება, რომლის მიხედვითაც ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე. ევროსასამართლოს 1994წ. გადაწყვეტილებით, საქმეზე „კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ“, ოჯახური ურთიერთობის ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში თ.მ-ძეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ 1993 წლიდან კასატორსა და მამამისს შორის არსებობდა ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ს-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ლ. ს-ავასათვის ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულად ცნობის ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ არ არის წამოყენებული დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი საკასაციო საჩივრით ზემოხსენებული სახის პრეტენზია ნაწილობრივ წარმოდგენილია. საკასაციო პალატა, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ თ. მ-მ არის აწ გარდაცვლილი რ. მ-ის შვილი და პირველი რიგის მემკვიდრე. ლ. ს-ავა კი 1993 წლიდან იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში რ. მ-მესთან, რა დროსაც, 2002წ. 8 ნოემბერს, რ.მ-მემ 1000 ლარად შეიძინა სადავო სახლი მდებარე ქ.ბათუმში, ... ქ.№110-ში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ რ.მ-მის გარდაცვალებამდე – 2005წ. 15 მარტამდე. სადავო უძრავი ნივთი შეძენისას იყო საცხოვრებლად უვარგისი. საცხოვრებელ სახლზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად მისი ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა 24 770 ლარამდე.

ასევე დადგინდა, რომ რ. მ-მე გარდაიცვალა 2005წ. 15 მარტს, რის შემდეგაც, ლ. ს-ავამ მიმართა სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს 2005წ. 11 აპრილის გადაწყვეტილებით და ლ. ს-ავა ცნობილ იქნა სადავო საცხოვრებელი სახლის 1/2 წილის მესაკუთრედ. თ.მ-მემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რაც დაკმაყოფილდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 23 სექტემბრის განჩინებით. შემდგომ ლ. ს-ავამ მოითხოვა თ.მ-მისაგან სადავო საცხოვრებელი სახლის გაუმჯობესებისათვის გაწეული თანხების ანაზღაურება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ლ.ს-ავასათვის, როგორც გარდაცვლილთან ერთად მცხოვრები პირისათვის, რ.მ-მის გარდაცვალების შესახებ იმთავითვე, 2005წ. 15 მარტს გახდა ცნობილი, სარჩელი კი შეიტანა სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადის დარღვევით – 2006წ. 27 მარტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილი, რის შედეგადაც არ იქნა გამოკვლეული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არსებითია კანონით დადგენილი ნორმის შემადგენლობის დასადგენად და მის გამოსაყენებლად. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად.

სამოქალაქო კანონმდებლობა სხვადასხვა ტიპის ვადებს იცნობს. მათ შორისაა სამოქალაქო უფლების განხორციელების – ხანდაზმულობის ვადები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში კანონი პირს აძლევს შესაძლებლობას ან ავალდებულებს (თუ კანონით ასეთი ვალდებულებაა დათქმული), მოსთხოვოს შესრულება უშუალოდ ვალდებულ პირს. სასარჩელო ხანდაზმულობა კი ეს არის კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც შელახულია, შეუძლია მოითხოვოს იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. თუკი დარღვეული უფლების იძულებით დაცვის შესაძლებლობა კანონით განსაზღვრული ვადით არ იქნებოდა შეზღუდული, ეს გამოიწვევდა სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის გაძნელებას, ვინაიდან დიდია ალბათობა საქმესთან დაკავშირებული უტყუარი მტკიცებულებების დაკარგვისა, საქმეში მონაწილე პირების მიერ საქმის გარემოებების არაადეკვატურად აღქმისა და სხვა. ამრიგად, სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციას, ამავდროულად ემსახურება სახელშეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში. რაც შეეხება კონტრაჰენტისადმი ან კანონით განსაზღვრული პირისადმი მიმართვის ვადებს, სამოქალაქო კანონმდებლობით ასეთი დანაწესის დადგენა ნაკარნახევაა სამართალწარმოების ეკონომიურობის მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ დარღვეული უფლების აღდგენის საკითხი მხარეთა შორის ნებაყოფლობით გადაწყდეს. სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადებს აქვთ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. ამდენად, კონკრეტულ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ამ ურთიერთობათა სპეციფიკის გათვალისწინებით კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის, ასევე

სხვა სახის ვადასაც, თუმცა მათი მყარი გამიჯვნა, ზემოაღნიშნული გარემოებების (განსხვავებული თანამდევნი სამართლებრივი შედეგები) გამო, აუცილებელია.

მოცემულ შემთხვევაში სწორედ ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან გამოსაყენებელი ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილი თავისი შინაარსით ადგენს არა სარჩელის სასამართლოში წარდგენის ხანდაზმულობას, არამედ კრედიტორის მიერ მემკვიდრისათვის მოთხოვნის წარდგენის ვადას.

აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოერკვია კანონით დადგენილი 6 თვის ვადაში ლ.ს-ავამ მიმართა თუ არა მემკვიდრე თ.მ-ძეს მამკვიდრებლის ვალებთან დაკავშირებით. დადებით შემთხვევაში, სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ასევე უნდა გამოარკვიოს, როდის შეიტყო ლ.ს-ავამ თავისი უფლების დარღვევის შესახებ, როდის მიიღო მემკვიდრისაგან უარი და რა მომენტიდან წარმოიშვა მოთხოვნა ანუ როდიდან უნდა დაიწყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა.

ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უთითებს ლ.ს-ავას განმარტებაზე, რომლითაც დასტურდება, რომ მან 2005წ. ზაფხულში სატელეფონო საუბრისას თ. მ-ძისაგან მოითხოვა სადავო სახლის გაუმჯობესებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რაზედაც ამ უკანასკნელისაგან მიიღო უარი და თ.მ-ძე დაემუქრა კიდევ სადავო სახლის წართმევით და გამოსასწავლით.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს ლ. ს-ავას წარმომადგენლის მიერ საქმეში წარდგენილი შუამდგომლობა, რომლითაც მხარე მოითხოვდა სასამართლოს მიერ სატელეფონო საუბრების ამონაწერის გამოთხოვას იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ ლ. ს-ავასა და თ. მ-ძეს შორის 2005წ. აგვისტო-ოქტომბერში მიმდინარეობდა სატელეფონო საუბრები ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თხოვნით, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული სასამართლომ მიერ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმების თაობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ლ.ს-ავას სარჩელი სადავო სახლის მდებარე ქ.ბათუმში, ... ქ.№110-ში -ის მესაკუთრედ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას სწორად გამოიყენა კანონი – სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი, რომლის თანახმად მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში რეგისტრირებული დაქორწინება.

აღნიშნულთან დაკავშირებით უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არარეგისტრირებული ქორწინების საკითხს შეფასება უნდა მისცეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო-ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად, რომლის ძალითაც სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონსტიტუციური შეთანხმების მითითებული ნორმით საეკლესიო წესით ჯვრისწერის სახელმწიფოსაგან აღიარება დეკლარაციული ხასიათისაა და მეუღლეთა კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი ვერ გახდება. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ ამავე ნორმით ზუსტად განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ ჯვრისწერის აღიარების ფარგლები, კერძოდ, მითითებულია, რომ აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. ამ დანაწესიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღსრულების შემდეგ ახლადშექმნილი ოჯახი მართლმადიდებლური წესით ხდება კანონიერი და მას რაიმე თანამდევნი კანონით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არ მოჰყვება. ამდენად, მითითებული კონსტიტუციური შეთანხმებით დეტალურად არის რა განსაზღვრული საეკლესიო ჯვრისწერის დანიშნულება და მოქმედების ფარგლები, ნორმის განმარტებაც კანონით დადგენილი ფაქტების შესაბამისად უნდა მოხდეს. აღნიშნული გამორიცხავს კასატორის მოთხოვნას, ჯვრისწერის საფუძველზე მისი, როგორც მეუღლის სამოქალაქო უფლების – თანასაკუთრების წარმოშობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:



საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ლ.ს-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული 25210 ლარის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კრედიტორის და-იანების ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-340-593-08

4 ნოემბერი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: კრედიტორული და-იანების ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 11 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს „იუ-ჯი-თიმ“ (ყოფილი შპს „კომპანია გაერთიანებული ქართული ტექნოლოგიები“) მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა კრედიტორული და-იანების ანაზღაურება 5208.5 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცენტრალური აპარატის კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად 1998წ. 18 აგვისტოს გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „კომპანია გაერთიანებულმა გლობალურმა ტექნოლოგიებმა“, რის შედეგადაც სამინისტროსა და გამარჯვებულ ორგანიზაციას შორის 1998წ. 5 ოქტომბერს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

მოგვიანებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ უსახსრობის მოტივით უარი განაცხადა შპს „კომპანია გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიების“ კომპანიასთან კომპიუტერული და საორგანიზაციო ტექნიკის მიწოდების თაობაზე 1998წ. 25 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების გაგრძელებაზე და მოსარჩელის წერილის საფუძველზე 2000წ. 2 ივნისს გააუქმა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება. იმავედროულად, აღნიშნული ბრძანებით სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილეს დაევალა, მიემართა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტისათვის შპს „კომპანია გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიებისათვის“ საგარანტიო დეპოზიტის – 3000 ლარის დადგენილი წესით დაბრუნების შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროში საგარანტიო დეპოზიტის სახით 3000 ლარის გადახდას ადასტურებდა საქმეში არსებული საგარანტიო დეპოზიტისათვის შეტანილი თანხის ქვითარი და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „გაერთიანებულ გლობალურ ტექნოლოგიებს“ შორის 2003წ. 12 სექტემბერს შედგენილი შედარების აქტი.

ზემოაღნიშნული თანხა ირიცხებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კრედიტორულ და-იანებად შპს „გაერთიანებულ გლობალურ ტექნოლოგიებთან“ მიმართებაში და მისი დაბრუნება უნდა განხორციელებულიყო 2%-ის დაკავებით. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ძირითადი თანხის – 3000 ლარის 2%-ი, რაც შეადგენდა 2940 ლარს, ვადის

გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტი, რაც შეადგენდა ასანაზღაურებელი თანხის 24%-ს – 2116.80 ლარს და 151.70 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟი.

მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და ხანდაზმულად მიიჩნია, რამდენადაც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გაუქმება 2000წ. 2 ივნისს მოხდა. მისი მოსაზრებით, 2003წ. 12 სექტემბრის შედარების აქტი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას ვერ გამოიწვევდა, აღნიშნულ აქტს უფლებამოსილი პირის ხელმოწერის არქონის გამო იურიდიული ძალა არ გააჩნდა. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც ვადის გადაცილებისათვის პროცენტის ოდენობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმა არ არსებობდა, ასანაზღაურებელი თანხის 24%-ის მოთხოვნა არაგონივრული იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 10 მაისის გადაწყვეტილებით შპს „იუ-ჯი-თის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „იუ-ჯი-თის“ სასარგებლოდ დაეკალა 5208.5 ლარის ანაზღაურება, მასვე დაეკისრა 151.70 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სადავო შემთხვევაში მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა, რაც აღნიშნული ურთიერთობის სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით მოწესრიგების შესაძლებლობას იძლეოდა. კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა შპს „იუ-ჯი-თის“ მიმართ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და-იანების წარმოშობის ნორმატიულ საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1998წ. 30 მარტის №24 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო საჭიროების პროდუქციის შესყიდვისა და სამუშაოთა (მომსახურების) საკონკურსო წესით განთავსების შესახებ“ დებულებაზე, რომლის თანახმად, საგარანტიო დეპოზიტის სახით ტენდერში გამარჯვებისას გამარჯვებული კომპანიის მიერ განხორციელებული შესატანი უკან უნდა იქნეს დაბრუნებული, თუ ხელშეკრულება არ დადებულა, ან შემდგომ უარი თქვეს მასზე. საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და შპს „კომპანია გაერთიანებულ გლობალურ ტექნოლოგიებს“ შორის 2003წ. 12 სექტემბერს გაფორმებულ შედარების აქტზე, რომლითაც აღიარებულ იქნა სამინისტროს და-იანება 3000 ლარის ოდენობით შპს „იუ-ჯი-თის“ მიმართ, 2%-ის დაკავების უფლებით.

ზემოაღნიშნული და-იანების ანაზღაურების მოთხოვნა საქალაქო სასამართლომ 2003წ. 12 სექტემბრის შედარების აქტზე დაყრდნობით ხანდაზმულად არ ჩათვალა და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, პროცენტის გადახდევინების ნაწილში სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „იუ-ჯი-თისთვის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივებით:

საქალაქო სასამართლო ხანდაზმულობის ვადის საკითხის გამორკვევისას სრულიად უსაფუძვლოდ დაყრდნო მხარეთა შორის 2003წ. 12 სექტემბერს გაფორმებულ შედარების აქტს, რამდენადაც მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა ჯერ კიდევ 2003წ. 2 ივნისს იყო დასრულებული. შესაბამისად, არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის სადავო სამართალურთიერთობაზე გავრცელების საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი და ვადის არსებობის აღიარება ცალმხრივ, აბსტრაქტულ ხელშეკრულებად მიიჩნია, მაშინ როდესაც კანონის მითითებული ნორმის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა, აუცილებელია წერილობითი აღიარება. ეჭვგარეშეა, რომ კანონი ამგვარი აღიარებით არა ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, არამედ მტკიცების ტვირთის შემსუბუქების საშუალებას ადგენდა.

საქალაქო სასამართლომ უგულებელყო მოპასუხის მითითება შედარების აქტის იურიდიული ძალის არქონე დოკუმენტად მიჩნევის თაობაზე და აღნიშნულ საკითხზე საერთოდ არ იმსჯელა. ამასთან, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა ასანაზღაურებელი თანხის წლიური 24%-ის გადახდა, რაც

სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლიდან გამომდინარე გონივრულ შესაბამისობაში არ იყო ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 19 ივლისის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი გასაჩივრების ვადის გაშვების გამო განუხილველად იქნა დატოვებული.

მითითებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007წ. 31 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 19 ივლისის განჩინება და საქმე დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 17 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 10 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „იუ-ჯი-თის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „იუ-ჯი-თის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2940 ლარის გადახდა ძირითადი ვალის, ხოლო 705 ლარის გადახდა კანონიერი პროცენტის სახით. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასევე დაეკისრა შპს „იუ-ჯი-თის“ სასარგებლოდ 109 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის სახით.

სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავა უსაფუძვლო გამდიდრებად მიიჩნია და მის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიმართ მოქმედებდა საერთო ათწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

რამდენადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვალის დაბრუნების ვალდებულება არ შეუსრულებია, სააპელაციო სასამართლომ ფულადი თანხის გადახდის ვადა გადაცილებულად მიიჩნია და სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით მოპასუხის მიმართ გადაცილებული დროისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტის დაკისრება მართებულად მიიჩნია.

წლიური პროცენტის ოდენობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციაზე, რომლის თანახმად, 2006წ. იანვრის მდგომარეობით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 8.5%-ს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „იუ-ჯი-თის“ სასარგებლოდ კანონისმიერი პროცენტის სახით ძირითადი თანხის წლიური 8%-ის გადახდა უნდა დაკისრებოდა, რაც მოსარჩელის მოთხოვნასთან მიმართებაში 705 ლარს შეადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ 1998წ. 5 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებიდან მხარეებს უფლება-მოვალეობები არ წარმოშობიან. შპს „იუ-ჯი-თის“ მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში საგარანტიო დეპოზიტის სახით შეტანილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა სწორედ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ხელშეკრულების გაუქმებით მხარეები გათავისუფლდნენ მხოლოდ ძირითადი და არა სადავო თანხის დაბრუნების ვალდებულებისგან. კასატორისათვის გაუგებარია, რატომ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა იმ არაძირითად მოთხოვნაზე, რომელიც უშუალოდ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, მაშინ როდესაც სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს.

კასატორი მოცემული დავის გადასაწყვეტად სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის გამოყენებას არასწორად მიიჩნევს, ვინაიდან შედარების აქტი მხარეთა შორის 2003წ. 12 სექტემბერს შედგა,

მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა კი აღნიშნული აქტის შედგენამდე – 2003წ. 2 ივნისს ამოიწურა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორი მიუთითებს შპს „იუ-ჯი-თის“ სასარგებლოდ მისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის არაკანონიერებაზე იმ პირობებში, როდესაც „სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 17 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებებია:

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცენტრალური აპარატის კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად 1998წ. 18 აგვისტოს გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „კომპანია გაერთიანებულმა გლობალურმა ტექნოლოგიებმა“;

1998წ. 8 სექტემბერს შპს „კომპანია გაერთიანებულმა გლობალურმა ტექნოლოგიებმა“ საგარანტიო დეპოზიტის სახით სამინისტროს სპეცანგარიშზე შეიტანა 3000 ლარი, 2%-ის დაკავებით;

1998წ. 5 ოქტომბერს სამინისტროსა და შპს „კომპანია გაერთიანებულ გლობალურ ტექნოლოგიებს“ შორის გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება;

2000წ. 2 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ შპს „კომპანია გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიების“ თანხმობით გააუქმა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება;

2003წ. 12 სექტემბერს შედგა შედარების აქტი, სადაც საუბარია იმაზე, რომ შპს „კომპანია გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიების“ მიერ 1998წ. 7 სექტემბერს საგარანტიო დეპოზიტის სახით შეტანილი 3000 ლარი ირიცხება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში კრედიტორულ და-იანებად.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო არ არის ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები. სადავოა მხოლოდ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი. სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობა დააკვალიფიცირა უსაფუძვლო გამდიდრებად და ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა გამოიყენა, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს.

სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის სწორად გადასაწყვეტად გასარკვევია შპს „კომპანია გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიების“ მიერ საგარანტიო დეპოზიტის სახით გადახდილი სადავო თანხის სამართლებრივი ბუნება და ვალდებულების წარმოშობის უშუალო საფუძველი.

აღნიშნული თანხა სამინისტროსა და შპს „კომპანია გაერთიანებულ გლობალურ ტექნოლოგიებს“ შორის 1998წ. 5 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების მე-8 პუნქტში განმარტებულია როგორც კომპანიის მიერ დამკვეთის ანგარიშზე შეტანილი საგარანტიო დეპოზიტი, რომელსაც დამკვეთი კომპანიას უბრუნებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შემდეგ.

მითითებული განმარტების საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენს 1998წ. 5 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც დადგენილია მხარეთა შეთანხმებით.

მართალია, სადავო ხელშეკრულების დადებისას მოქმედი კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ პირდაპირ არ ითვალისწინებდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის სახელშეკრულებო საშუალებების გამოყენებას, მაგრამ უზრუნველყოფის ზემომითითებულ საშუალებაზე შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობათა შინაარსს. საგულისხმოა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“

დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001წ. 15 ოქტომბრის №1 ბრძანებით პირდაპირ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა ხელშეკრულების შესრულების გარანტიის სახით, ამგვარ გარანტიად მითითებული იყო შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ დადგენილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტიის, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკის ან აკრედიტივის ან გარანტიის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენა.

ამჟამად მოქმედი კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ასევე ადგენს, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

რაც შეეხება მოცემული კონკრეტული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების უკან დაბრუნების მოთხოვნის უშუალო საფუძველს, გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში კომპანიის მიერ გადახდილი საგარანტიო დეპოზიტის კომპანიისათვის დამკვეთის მიერ დაბრუნების ვალდებულება ჩადებულია ძირითად ხელშეკრულებაში. ამდენად, ძირითადი ხელშეკრულება, იმავდროულად, ითავსებს შეთანხმებას ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალების თაობაზე. თავის მხრივ, ცალკე აღებული, ხელშეკრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხარეთა შეთანხმება ასევე წარმოადგენს ხელშეკრულებას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს.

ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე მიჩნეულ უნდა იქნეს მოთხოვნის წარმომზადების დრო, ანუ როდესაც შპს „კომპანია გაერთიანებულ გლობალურ ტექნოლოგიებს“ შეიტყო ან უნდა შეეტყო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ ხელშეკრულება გაუქმებულია 2000წ. 2 ივნისს. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ, კონკრეტულად როდის ეცნობა შპს „კომპანია გაერთიანებულ გლობალურ ტექნოლოგიებს“ აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და როდიდან წარმოეშვა მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს 2003წ. 12 სექტემბრის შედარების აქტზე და გამოარკვიოს, შესაძლებელია თუ არა, მას დაუკავშირდეს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა (თუკი აქტი ხანდაზმულობის 3-წლიან ვადაში შედგა), თუ სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე იგი წარმოადგენს ვალდებული პირის აღიარებას (თუკი აქტი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ შედგა). აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სწორად უნდა შეფასდეს შემდეგი გარემოებები: 1. შედარების აქტი თავისი შინაარსის გათვალისწინებით წარმოადგენს სამინისტროს მიერ ვალდებულების აღიარებას თუ ფაქტის აღიარებას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის როგორც 137-ე, ისე 144.3 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავს ნებას, იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და არა ფაქტის აღიარებას, სადაც მოვალე ახდენს მარტოოდენ ვალდებულების ფაქტის კონსტატაციას; 2. მომხდარია თუ არა აღნიშნული აღიარება უფლებამოსილი პირის მიერ, ანუ იმ პირის მიერ, რომელსაც სამინისტროს სახელით ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შედარების აქტს სამინისტროს მხრიდან ხელს აწერენ მთავარი ბუღალტერი და მისი მოადგილე. შედარების აქტის შედგენის დროისათვის მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997წ. 17 ნოემბრის №670 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების პირველი მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, სამინისტროს წარმომადგენელი არის მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, ჰქონდათ თუ არა მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს მინისტრისგან დელეგირებული სამინისტროს სახელით ვალდებულების აღიარებისა და, ამგვარად, ფაქტობრივად, ახალი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება.

სერაზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 17 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. საკუთრება

საკუთრების უფლება ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-117-555-06

8 თებერვალი 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

დავისც საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ უფროსმა სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს შპს „ლილი და კომპანიის“, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციისა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ და მოითხოვა ფოთის საზღვაო ნავსადგურის პირველ და მეორე ნავმისადგომებზე განლაგებული ნავსადგურის საკუთრებაში არსებული ნავთობტერმინალის სხვადასხვა მოწყობილობების ყადაღისაგან გათავისუფლება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ქონების დაყადაღების საფუძველს წარმოადგენდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2003წ. 21 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომელიც ითვალისწინებს კრედიტორის, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოვალე შპს „ლილი და კომპანიის“ კუთვნილი უძრავ-ძოძრავი ქონების დაყადაღებას. მოსარჩელის განცხადებით, 2003წ. 26 ნოემბრის ოქმში მითითებული ქონება წარმოადგენს ნავსადგურის საკუთრებას და ირიცხება აღნიშნული საწარმოს ბალანსზე. შპს „ლილი და კომპანიასთან“ ფოთის საზღვაო ნავსადგურს რაიმე ურთიერთობა არ გააჩნია.

წერილობითი შესაგებელით შპს „ლილი და კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა მ.კემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ დაყადაღებული ქონება წარმოადგენს არა მოსარჩელის, არამედ შპს „ლილი და კომპანიის“ საკუთრებას. ქ.ფოთის საზღვაო ნავსადგურის რეკონსტრუქციის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993წ. 8 მარტის №221 დადგენილებისა და შემდგომ მინისტრის მოადგილესთან ჩატარებული თათბირის ოქმების ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტაციისა და საგარანტიო წერილების, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს ბრძანების, პრემიერ-მინისტრის განკარგულების სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრის დოკუმენტების, ერთობლივი საწარმოს საწესდებო ფონდში წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრის 1993წ. 10 დეკემბრის აქტისა და ამ აქტზე თანდართული ნუსხის, 1994წ. 11 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე, სს „აზოტმა“ საკუთარი მოწყობილობებითა და დანადგარებით განახორციელა ფოთის ნავსადგურის პირველი და მეორე ნავთობპროდუქტების გადასაქაჩი ტერმინალის მოწყობილობების მიწისზედა სამუშაოები, რის შედეგადაც ქ.ფოთის ნავსადგურის მიწისზედა ნავთობპროდუქტების გადასაქაჩი ტერმინალის მშენებლობისათვის (მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, მოწყობილობების, დანადგარების, სამშენებლო სამონტაჟო საშუალებების ფულადი დანახარჯების), როგორც ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალში საქმიანი მონაწილეობის მთლიანი წილი, აყვანილ იქნა სს „აზოტის“

საბალანსო ანგარიშზე. 2000წ. 15 თებერვლის ხელშეკრულებით სს „აზოტმა“ დასახელებული ქონება გადასცა შპს „ლილი და კომპანიას“, რომელიც მხარეთა მორიგების სახით დაუმტკიცა რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2000წ. 24 თებერვლის განჩინებით. აღნიშნული ქონება მოიხსნა სს „აზოტის“ საბალანსო ანგარიშებიდან და აყვანილ იქნა შპს „ლილი და კომპანიის“ ბალანსზე. ქონების გადაცემის კანონიერება შეისწავლა საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილმა კომისიამ, რის შემდეგაც მიღებულ იქნა დასკვნა ქონების გადაცემის კანონშესაბამისობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ლილი და კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფოტის საქალაქო სასამართლოს 2004წ. 9 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ყადაღისაგან გათავისუფლდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2003წ. 26 ნოემბრის აქტით დაყადაღებული ფოტის საზღვაო ნავსადგურის პირველ და მეორე ნავსადგომზე განლაგებული ნავსადგურის საკუთრებაში არსებული ნავთობგადასაზიდი ტერმინალის მოწყობილობა.

ამ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს „ლილი და კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა მ.კიკვაძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005წ. 12 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა ფოტის საქალაქო სასამართლოს 2004წ. 9 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ლილი და კომპანიას“ სს „აზოტისაგან“ გადაეცა არა ქონება, არამედ უფლება, მიეღო სს „აზოტის“ მიერ ფოტის პორტისათვის 1993წ. 10 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაცემული მოწყობილობა-დანადგარების და სამშენებლო სამუშაოების ღირებულება, როგორც ერთობლივი საწარმოს „აზოტურქსტრანსის“ საწესდებო კაპიტალშისაქმიანი მონაწილეობისათვის უფლება-მოვალეობათა მთლიანი მიუღებელი წილი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სს „აზოტსა“ და შპს „ლილი და კომპანიას“ შორის წარმოშობილი ურთიერთობა სამართლებრივად სწორედ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებაა და არა უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულება. ამდენად სააღსრულებო ბიურო არ იყო უფლებამოსილი დაეყადაღებინა სადავო ქონება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ლილი და კომპანიამ“. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, კერძოდ, კასატორის აზრით, საქმე განხილულია არაგანსჯადი სასამართლოს და არაუფლებამოსილი მოსამართლეების მიერ.

კასატორის აზრით, გასაჩივრებული განჩინება არ შეესაბამება ასევე სსკ-ის 246-ე, 389-ე და 312-ე მუხლებს. განჩინების სამოტივაციო ნაწილში არ არის აღნიშნული დასკვნები და მოსაზრებები შპს „ლილი და კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ, არასწორადაა განმარტებული რიგი საკითხები, დამახინჯებულია ფაქტები. სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ავალდებულებს დააბრუნოს მიღებული. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე რომ საქმე განხილულია არაგანსჯადი სასამართლოს მიერ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სარჩელი ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს თუ ვინ უნდა იყოს მოპასუხე ასეთი დავების დროს. სადავო ქონების დაყადაღებისას კრედიტორს წარმოადგენდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექცია, მოვალეს კი შპს

„ლილი და კომპანია.“ სწორედ აღნიშნული პირები წარმოადგენენ მოპასუხეებს მოცემულ დავაში. ის რომ საქმეში მონაწილეობს საგადასახადო ორგანო არ ნიშნავს იმას, რომ დავა უნდა განიხილებოდეს ადმინისტრაციულ სამართლებრივი წესით, ადმინისტრაციის საქმეთა განსჯადობას განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. კასატორი კი ვერ უთითებს ამ კანონის ვერცერთ ნორმას, რომლის საფუძველზეც დავა უნდა განიხილოს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველმა სასამართლომ.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა განმეორებით მიიღეს მონაწილეობა იგივე საქმის განხილვაში, დაარღვიეს კანონი. სსკ-ის 29-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამართლეთა საქმის განხილვაში განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობის შემთხვევებს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე კასატორის მიერ მითითებული მოსამართლეები უფლებამოსილნი იყვნენ განეხილათ აღნიშნული საქმე, რადგან მათ იგივე საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ არც პირველი ინსტანციის და არც საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე რომ სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დაყვადებული სადავო ქონება შპს „ლილი და კომპანიის“ საკუთრებაა. საკასაციო სასამართლოს მიერ 2006წ. 9 ოქტომბრის განჩინებით შპს „ლილი და კომპანიის“ საკასაციო საჩივრის განხილვა შეჩერდა შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ სარჩელზე იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის და შპს „ლილი და კომპანიის“ მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილობის თაობაზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. დღეისათვის კანონიერ ძალაშია შესული ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 25 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“ არსებული №1 და №2 ნავმისადგომების მიმდებარე 1.2 ჰა მიწის ნაკვეთზე არსებული მიწის უძრავ-მობრავი ქონების შპს „ლილი და კომპანიის“ სასარგებლოდ განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. დღეისათვის უზუსტობა დადგენილია და გამომდინარე აქედან საჯარო რეესტრის მონაცემები ვერ იქნება მიღებული მხედველობაში სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ფოთის ქალაქის მთავრობის საკუთრებაში არსებულ მიწაზე არსებული ქონება არ შეიძლება ყოფილიყო სხვა პირის საკუთრება. სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის შემადგენელ ნაწილებზეც. ამავე კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად არსებითი შემადგენელი ნაწილი ცალკე უფლების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მოცემულ შემთხვევაში კასატორი ვერ უთითებს კანონს რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სადავო ობიექტი ჩაითვალოს ცალკე უფლების ობიექტად, ხოლო კასატორის მიერ მითითებული ხელშეკრულებები თუ სხვადასხვა აქტები. (მინისტრის ბრძანებები, მინისტრთა კაბინეტი დადგენილებები და ა.შ.) ვერ შეცვლის კანონის ამ ნორმას, რადგან კანონი უფრო მაღალი იერარქიის აქტია, ვიდრე კასატორის მიერ მითითებული აქტებია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე მიწის ნაკვეთი რომელზეც მდებარეობს სადავო ქონება პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში (უსასყიდლო აღნაგობის უფლებით) გადაცემული აქვს ფოთის საზღვაო ნავსადგურს, ამიტომ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ აღნიშნულ ქონებაზე შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ წარმოადგენს არასათანადო მხარეს.

პალატა ამასთანავე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილია სწორი გადაწყვეტილება და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველები რის გამოც იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე, მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :



შპს „ლილი და კომპანიის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2005წ. 12 დეკემბრის განჩინება.  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკუთრების შექმნა უძრავ ნივთზე

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-810-1174-07

24 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „საქართველოს ფოსტამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჩონატაურის რაიონის ბუკისციხის საკრებულოს მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძველით: შპს „საქართველოს ფოსტა“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით კავშირგაბმულობის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნებულ საწარმოს და რეგისტრირებულია 1995წ. 6 ივლისს. 2000წ. 2 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000წ. 12 სექტემბრის №1-3/558 ბრძანების, ასევე 2000წ. 17 აპრილის №98 და №82 აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნა შპს „საქართველოს ფოსტის“ ფილიალის – „ჩონატაურის ფოსტის“ ბუკისციხის საფოსტო განყოფილებაზე რიცხული 23.6 კვ.მ. საზოგადოების მხრიდან არაერთგზის წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, მოპასუხე არ ათავისუფლებს დაკავებულ ფართს და არ აძლევს მოსარჩელეს ფუნქციონირების საშუალებას, რის გამოც საზოგადოებას ადგება ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 1950-იან წლებში ... აშენებული ხის შენობის ორ ოთახში განთავსებული იყო ფოსტა. ამავე შენობაში ასევე ფართი ეკავა მაღაზიასა და ჩაის საწყობს. აღნიშნული შენობა ავარიული იყო, რის გამოც მასში განთავსებული ობიექტები ვერ ფუნქციონირებდა. შენობა დაიშალა და სოფლელების ფინანსური დახმარებით 1999-2000 წლებში აშენდა ახალი. უსახსრობის გამო, თანხა მოიძია ბუკისციხის საკრებულომ და არასამთავრობო ორგანიზაციამ გაიღო 5500 აშშ დოლარი. სოფლის მოსახლეობასთან შეთანხებით, ნაგებობა აშენდა იმ პირობით, რომ მის 3 ოთახში განთავსდებოდა სოფლის ამბულატორია. დარჩენილ ოთახზე პრეტენზიას აცხადებდა როგორც მაღაზია, ისე ფოსტა, თუმცა საკრებულოს გადაწყვეტილებით იგი მიეკუთვნა მაღაზიას. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე საკრებულომ მიმართა მხარეებს და მოსთხოვა სადავო ფართის კუთვნილების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, ვინაიდან ძველი შენობა კოლმეურნეობის საკუთრებას წარმოადგენდა. ვერც მაღაზიამ და ვერც ფოსტამ სადავო ფართის ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ წარადგინა.

ჩონატაურის რაიონული სასამართლოს 2005წ. 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს ფოსტის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბუკისციხის თემის საკრებულოს დაევა 23.6 კვ.მ-ის მოსარჩელისთვის დაბრუნება, რაც ჩონატაურის რაიონის ბუკისციხის თემის საკრებულომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნას საფუძველად უდევს ის გარემოება, რომ სადავო შენობის მესაკუთრე არის შპს „საქართველოს ფოსტა“, რადგან იგი საზოგადოების საწესდებო კაპიტალშია შეტანილი. აღნიშნულის დასადასტურებლად მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს

2000წ. 12 სექტემბრის №1-3588 ბრძანებაზე, 2000წ. 17 აპრილის №98 და №82 აუდიტორული დასკვნებსა და სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2005წ. 18 ივლისის №33-02-1825/6-5 წერილზე. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სადავო ფართი შეტანილია შპს „საქართველოს ფოსტის“ საწესდებო კაპიტალში, თუმცა ჩათვალა, რომ აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველი არ არის, ვინაიდან მოსარჩელეს, სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, არ წარმოუდგენია სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული სადავო უძრავი ნივთის საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულება. პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავო ნივთზე თავისი საკუთრების უფლებაზე უთითებდა მხოლოდ სარჩელში, ხოლო საქმის განხილვისას ვერ დააზუსტა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა არც იმ საფუძველით, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ ნივთის კეთილსინდისიერი მფლობელია, ვინაიდან მოცემული მომენტი სათვის არსებულ ახალ შენობას მხარე არ ფლობს და მხოლოდ მიუთითებს, რომ ძველ შენობაში ფლობდა 2 ოთახს, ამდენად, დავის საგანი დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს. პალატამ მიიჩნია, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრესა და კეთილსინდისიერ მფლობელს არ წარმოადგენს, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 172-ე, 160-ე მუხლების შესაბამისად, საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „საქართველოს ფოსტამ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: კასატორის საწესდებო კაპიტალის 100% შედგენილია სახელმწიფოს ქონებით, რომელიც ასახულია საწარმოს ბალანსზე. ქონების მესაკუთრეა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჩონატაურის რაიონის ბუკისციხის საკრებულოს უკანონო გადაწყვეტილებით აღნიშნული ქონება, მესაკუთრესთან შეუთანხმებლად, დაინგრა და აშენდა ახალი ნაგებობა. სადავო შენობის დასანგრევად მოწინააღმდეგე მხარეს უნდა მიეღო შესაბამისი თანხმობა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მხრიდან, რომელიც შპს „საქართველოს ფოსტის“ დამფუძნებელი პარტნიორი და სახელმწიფო ქონების ერთადერთი მესაკუთრეა. სოფ. ბუკისციხის იმდროინდელი თავმჯდომარე ებერიშვილის უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე ... მოკლებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2001წ. №139 ბრძანებულებით გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული დარგის – ფოსტის მომსახურებას. სადავო გადაწყვეტილებით არასწორად განიკარგა სახელმწიფო საკუთრება, რასაც სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა და მხოლოდ მიუთითა, რომ, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საკუთრებაზე უფლება დასტურდება მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერით. აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ შეიქმნა 1995 წელს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად და ბალანსიდან ბალანსზე სარგებლობაში გადაეცა სახელმწიფო ქონება. აღნიშნული ქონება საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 2000წ. 12 სექტემბრის №1-3/588 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ამავე წლის. 17 აპრილის №98 და №82 აუდიტორულ დასკვნებს, შევიდა შპს „საქართველოს ფოსტის“ საწესდებო კაპიტალში, რაზე დაყრდნობითაც საზოგადოება იხდის ქონების გადასახადს. მნიშვნელოვანია ასევე, კასატორის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილი სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2005წ. 18 ივლისის №33-02-1825/6-5 წერილი ბუკისციხის ფართის გადმოცემის თაობაზე, რომლითაც სახელმწიფო ფაქტობრივად ადასტურებს სადავო ფართის კასატორისათვის გადაცემისა და საწესდებო კაპიტალში შეტანის ფაქტს, რასაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი სადავოდ არ ხდის. აღნიშნულის გათვალისწინებით გაუგებარია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით სადავო ფართის სოფ. ბუკისციხის საკრებულოსათვის მიკუთვნება, თუნდაც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სადავო უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში არც საკრებულოს სახელზე არ არის რეგისტრირებული. ამასთან, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრეროგატივაა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ჩონატაურის რაიონის სოფ. ... მდებარე სადავო არასაცხოვრებელი ფართი შეტანილია შპს „საქართველოს ფოსტის“ საწესდებო კაპიტალში. ასევე დადგენილია, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ აღნიშნულ ფართზე თავისი საკუთრების უფლებას ასაბუთებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000წ. 12 სექტემბრის №1-

3588 ბრძანებით, 2000წ. 17 აპრილის №98 და №82 აუდიტორული დასკვნებითა და სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2005წ. 18 ივლისის №33-02-1825/6-5 წერილით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ სავესებით დასაბუთებულად უთხრა უარი შპს „საქართველოს ფოსტას“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე და მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვაზე, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. დასახელებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სადავო ნივთის სხვისი მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება გააჩნია მხოლოდ ამ ნივთის მესაკუთრეს. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნულის შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული მტკიცებულებით – საჯარო რეესტრში ნივთზე უფლების რეგისტრაციით. კანონის ეს დანაწესი განპირობებულია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების მიმართ დადგენილი უტყუარობის ვარაუდით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ იურიდიული პირის მიერ ქონების საწესდებო კაპიტალში ასახვა არ წარმოშობს იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, კერძოდ, საწესდებო კაპიტალში დაფიქსირებული ქონება არ მიიჩნევა საზოგადოების საკუთრებად, თუ არ იქნება დაცული კანონით დადგენილი ნივთსა თუ უფლებაზე საკუთრების შეძენის წესი. კანონის აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესატან უძრავ ქონებაზეც, ვინაიდან აღნიშნული საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს საკუთარი ქონებით. ამდენად, ქონება რეგისტრირებული უნდა იყოს საზოგადოების სახელზე სათანადო წესით, რათა საწარმოს მასზე საკუთრების უფლება წარმოემყვას.

მოცემულ შემთხვევაში შპს „საქართველოს ფოსტას“ საჯარო რეესტრში სადავო ფართის თავის სახელზე რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კი საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა კასატორის მიერ სადავო საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს – საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000წ. 12 სექტემბრის №1-3588 ბრძანებას, 2000წ. 17 აპრილის №98 და №82 აუდიტორული დასკვნებს, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2005წ. 18 ივლისის №33-02-1825/6-5 წერილს, როდესაც ჩათვალა, რომ დასახელებული მტკიცებულებანი სადავო უძრავ ნივთის მესაკუთრედ შპს „საქართველოს ფოსტის“ მიჩნევისათვის საკმარისი არ არის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სადავო ფართი, ფაქტობრივად, მიეკუთვნა მოპასუხე ბუკისციხის თემის საკრებულოს, რომელსაც აღნიშნული უძრავი ნივთის კანონით გათვალისწინებული საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულება ასევე არ წარმოუდგენია.

სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, მხარე, რომელიც სასამართლოში წარმოადგენს მოთხოვნას, ვალდებულია, დაასაბუთოს მისი საფუძვლიანობა. განსახილველ შემთხვევაში ამგვარი მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, შესაბამისად, მოპასუხეს სადავო უძრავი ნივთზე თავისი საკუთრების უფლება არ უნდა ემტკიცებინა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „საქართველოს ფოსტის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 7 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკუთრების შეძენა უძრავ ნივთზე

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-895-1202-08

30 აპრილი, 2008წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ავტოფარეხის მფლობელობიდან გამოთხოვა..

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ც. დ-შვილმა, მოპასუხედ დაასახელა ვ. ა-იანი და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა. მოპასუხემ არ ცნო სარჩელი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ვ. ა-იანს ჩამოერთვა ქ. ქუთაისში, ... ქ. №25-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ეზოში, მის მფლობელობაში არსებული ავტოფარეხი და გადაეცა ც. დ-შვილს.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 16 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ც. დ-შვილის სარჩელი უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და ვ. ა-იანის მფლობელობიდან ავტოფარეხის გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

პალატამ მიიჩნია, რომ 2005წ. 16 მარტს ც. ა-იანსა და ვ. დ-შვილს შორის სანოტარო წესით გაფორმებული იქნა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა ქ. ქუთაისში, ... ქ. №2\32-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა.

პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა ვ. ა-იანის მფლობელობაში მყოფი მოძრავი ნივთი – ავტოფარეხი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ დაბეტონებული იყო მიწაზე, არ წარმოადგენდა არც უძრავ ნივთს, არც მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს და შესაძლებელი იყო მისი განადგურების ან დანიშნულების მოსპობის გარეშე მიწისგან მოცილება.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მიწაზე დაბეტონებული სადავო ავტოფარეხი წარმოადგენს უძრავ ნივთს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება ც. დ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით.

კასატორის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონო და არაობიექტურია, ის არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებათა ერთობლიობიდან. მისი განმარტებით 2005წ. 16 მარტს მოპასუხე ვ. ა-იანისაგან იყიდა ბინა ქ. ქუთაისში, ... №25\32, ასევე მასთან ერთად შეიძინა ეზოში არსებული კაპიტალური სათავსო დიდი კონსტრუქციის ავტოფარეხი. აღნიშნული ბინის გადაფორმება მოხდა სანოტარო წესით. მართალია ხელშეკრულებაში მითითებული არ არის ავტოფარეხი და სათავსო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ფართები არ უყიდა. აღნიშნული სასამართლო პროცესზე დადასტურებული იქნა მოწმეთა ჩვენებებით.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია იყო თუ არა ავტოფარეხი უძრავი ნივთი, არ ჩაუტარებია დათვალიერება და არც სპეციალისტის ცოდნის გამოყენებაზე უმსჯელია.

ასევე კასატორის აზრით, სააპელაციოსასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს და საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს. სასამართლო პროცესზე ორივე ინსტანციაში ვ. ა-იანმა დაადასტურა, რომ მან საცხოვრებელი ბინის გარდა მას მიყიდა აგურით აშენებული კაპიტალური სათავსოც.

კასატორის განმარტებით, სადავო ავტოფარეხი არ არის შეტანილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ ქონებაზე ა-იანს არ გააჩნდა საკუთრების დამადასტურებელი რაიმე საბუთი. აღნიშნულის გამო ვერ დაფიქსირდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში ვერც აგურით ნაშენები სათავსო და ვერც ავტოფარეხი. რადგან კანონის მოთხოვნათა დაცვით, როგორც უძრავი ქონება არ არის დარეგისტრირებული თავად ვ. ა-იანის საკუთრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007წ. 30 ნოემბრის განჩინებით ც. დ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში. სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ სადავო ავტოფარეხი წარმოადგენდა უძრავ ნივთს. აღნიშნულ დასკვნამდე სასამართლო მივიდა იმ ფაქტორის გამო, რომ სასამართლოს ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის ჩატარებას ხარჯების გადაუხდელობით ხელი შეუშალა ც. დ-შვილმა. პალატა აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. მართალია, ექსპერტიზის დანიშვნა სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ სსკ-ის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია. ავტოფარეხი კი წარმოადგენდა თუ არა უძრავ ან მოძრავ ნივთს სასამართლოს ადვილად შეეძლო დაედგინა თუნდაც ადგილზე დათვალიერებით. მითუმეტეს, რომ სსკ-ის 123-ე მუხლი უშვებს სპეციალისტის მოწვევასაც ადგილზე დათვალიერების დროს.

მოცემულ დავასთან მიმართებაში პალატა მიიჩნევს, რომ ყოველგვარი ექსპერტიზისა თუ ადგილზე დათვალიერების გარეშე შესაძლებელია თვითონ სასარჩელო მოთხოვნიდან დადგინდეს, თუ რა სახის ნივთია სადავო უძრავი თუ მოძრავი. სასარჩელო განცხადებაში ც. დ-შვილი აღნიშნავს, რომ მან შეიძინა რკინის ავტოფარეხი და მას ხელი ეშლება მის სარგებლობაში. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას თუ რას გულისხმობს მოსარჩელე ავტოფარეხში – უბრალოდ რკინის კონსტრუქციას, თუ ამ რკინის კონსტრუქციას მიწასთან ერთად. ბუნებრივია, ვინაიდან იგი ითხოვს ავტოფარეხით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთას, იგი გულისხმობს აღნიშნული ნივთის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას, რაც შეუძლებელია განხორციელდეს იმ მიწის ნაკვეთის გამოყენების გარეშე, რაზეც განლაგებულია ავტოფარეხი. ასეთ შემთხვევაში კი მას საკუთრების უფლება უნდა გააჩნდეს არა მხოლოდ ნაგებობაზე, არამედ მიწის ნაკვეთზეც, ან უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთით სარგებლობის მართლზომიერი ფლობის უფლება. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელის განმარტებით, მას ნაყიდი აქვს ეს ქონება და მართლზომიერად ფლობის ფაქტსაც ამყარებს ამ გარემოებას.

დავის წარმოშობის მომენტისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მანქანის დასაყენებელი ადგილები ითვლებოდა იზოლირებულად თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილი იყო ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად. მითითებული ნორმის საფუძველზე ვ. ა-იანს შეიძლებოდა წარმოშობოდა საკუთრების უფლება ამ მიწის ნაკვეთზე, მაგრამ ასეთი უფლება უნდა რეგისტრირებულიყო საჯარო რეესტრში, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლისა. ამავ ნორმით გათვალისწინებული წესით უნდა გადასულიყო იგი შემძენზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივად ნამდვილ უფლებად. არანამდვილი უფლების სხვისთვის გადაცემა კი დაუშვებელია. იგი წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო გარიგებას და ბათილია სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო ვერ მიიჩნევს, რომ ავტოფარეხი ც.დ-შვილი საკუთრებაშია და ვერც ვ.ა-იანს აუკრძალავს მისი ავტოფარეხით სარგებლობას. ამდენად პალატა თვლის, რომ კასატორის მოთხოვნა უსაფუძველდა.

პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ანუ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება არსებითად სწორია მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ამავე ნორმიდან გამომდინარე საკასაციო საჩივარი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძვანელდა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ც. დ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკუთრების შეძენა უძრავ ნივთზე

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-399-ა-9-08

21 ნოემბერი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: ქონების უკან დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

კომპანია „ვალო“ აღძრა სარჩელი სს „მასპინძლისა“ და შპს „საქართველოს“ მიმართ და მოითხოვა ქ.თბილისში, ... ქ. №12-ში მდებარე შენობის შპს „მასვალოსათვის“ დაბრუნება, შპს „საქართველოს“ რეგისტრაციის გაუქმება და მოპასუხისათვის 89850,62 ლარის დაკისრება ზიანის ანაზღაურებლად. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1996წ. 30 აგვისტოს თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა შპს „მასვალი“. მისი დამფუძნებლები არიან კომპანია „ვალი“ და სს „მასპინძელი“. წესდების თანახმად, სს „მასპინძელს“ საზოგადოებისათვის უნდა გადაეცა სასტუმრო „საქართველო“ ყველა სექციითა და მასში არსებული მოწყობილობებით. 1997წ. 15 ოქტომბრის კონტრაქტით სს „მასპინძელმა“ შპს „მასვალოს“ გადასცა სასტუმროს შენობა, რის შესახებაც გაკეთდა სათანადო ჩანაწერი თბილისის ტექნიკენტარიზაციის ბიუროში. 2000წ. 5 ივნისს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ გააუქმა 1997წ. 15 ოქტომბრის სასტუმრო მოქმედება. გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ნოტარიუსს უნდა დაედასტურებინა არა ხელმოწერის სინამდვილე, რაც მან განახორციელა, არამედ გარიგების შინაარსი და მისი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა სასტუმრო მოქმედება და მას არ დაუდასტურებია გარიგების ბათილობის ფაქტი. სს „მასპინძელმა“ გაუქმებულად ჩათვალა თავად კონტრაქტი და განახორციელა შპს „მასვალოს“ საკუთრებაში არსებული შენობის უკან დაბრუნება, რითაც ზიანი მიადგა კომპანია „ვალოს“. შპს „მასვალი“ დღემდე განაგრძობს შენობის ფლობას და მასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადს იხდის.

2001წ. 25 იანვარს სს „მასპინძელმა“ დააფუძნა შპს „საქართველო“. მის საწესდებო კაპიტალში შეიტანა შპს „მასვალოს“ კუთვნილი შენობა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000წ. 5 ივნისის გადაწყვეტილება სასტუმრო მოქმედების

გაუქმების შესახებ არასაკმარისი ფაქტია შენობაზე საკუთრების უფლების შეცვლისა და საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციისათვის. სს „მასპინძლის“ ქმედება უკანონოა და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მოსარჩელე მოითხოვდა შპს „მასვალოსთვის“ მისი კუთვნილი შენობის დაბრუნებასა და საჯარო რეესტრის 21.07.00 და 06.02.01 ჩანაწერების გაუქმებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001წ. 18 ივნისის განჩინებით მოსარჩელე კომპანია „ვალო“ შეიცვალა შპს „მასვალოთი“, რომელმაც მხარი დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნას.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნებს ამყარებს 1997წ. 15 ოქტომბრის კონტრაქტსა და შპს „მასვალოს“ წესდების მე-4 გვერდზე. წესდების 5.5.2 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ სასტუმრო „საქართველოს“ შენობა კომპანიას უნდა გადასცემოდა მფლობელობაში და კომპანია „ვალოს“ უნდა უზრუნველყო ამ შენობის რეკონსტრუქცია. შენობაში განხორციელდა რემონტი 500 000 ინვესტიციით.

რაც შეეხება 1997წ. 15 ოქტომბრის კონტრაქტს, იგი დადებისთანავე იყო ბათილი, რადგან მას ხელს აწერს სს „მასპინძლის“ მხრიდან მ-შვილი და შპს „მასვალოს“ მხრიდან ა-ძე, ნოტარიულად დამოწმებულია მხოლოდ მათი ხელმოწერები. შპს „მასვალოს“ მხრიდან ხელს აწერს ა-ძე, როცა მისი წესდების მე-7 მუხლით არსებობს დირექტორთა საბჭო და სულ ცოტა 2 დირექტორს უნდა მოეწერა ხელი გარიგებაზე.

ამავე დროს, შენობის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა არ წარმოშობს საკუთრების უფლებას, თუმცა მოსარჩელეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც არ წარმოუდგენია საქმეში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2005წ. 3 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოეხსნა ყადაღა ქ.თბილისში, ... ქ.№12-ში მდებარე სასტუმრო „საქართველოს“ შენობის 8525 კვ.მ-ის უძრავ ქონებას, რომელიც თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002წ. 27 ნოემბრის განჩინებით განხორციელდა.

კოლეგიამ მიიჩნია, რომ 1996 წლი 14 იანვრის სადამფუძნებლო ხელშეკრულების ინგლისური ვარიანტის მიხედვით მხარეები შეთანხმდნენ სასტუმროს ნაწილის მფლობელობაში, ხოლო ნაწილის შპს „მასვალოს“ საკუთრებაში გადაცემის შესახებ. 1996წ. 28 აგვისტოს დამფუძნებელ პარტნიორთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც შპს „მასვალოს“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი იქნა მხოლოდ სასტუმრო „საქართველოს“ შენობის ნაწილი, კერძოდ, შენობის მარცხენა ფლიგელში განთავსებული რესტორნის საბანკეტო დარბაზი (300 კვ.მ)

კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვერ მოიპოვებდა საკუთრების უფლებას 1997წ. 22 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე, რადგან დასახელებული ხელშეკრულებით დადგენილია, რომ სასტუმრო „საქართველოს“ შენობა სს „მასპინძლის“ ბალანსიდან შპს მასვალოს“ ბალანსზე გადაეცა.

კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ საკუთრების უფლებას მოსარჩელე ვერ მოიპოვებდა 1997წ. 15 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზეც, რადგან 1997წ. 15 ოქტომბრის კონტრაქტი მხარეთა შორის გაფორმდა სამოქალაქო კოდექსის (1964წ. რედაქცია) და „საკუთრების უფლების შესახებ“ (1993წ) კანონის საფუძველზე, რომელი ნორმატიული აქტებიც სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ჩაითვალა ძალადაკარგულად. შემადანიშნული კონტრაქტი სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად კოლეგიამ მიიჩნია უცილოდ ბათილად.

კოლეგიამ განმარტა, რომ 1997წ. 11 ივლისის ტექპასპორტით არ დადასტურდა შპს „მასვალოს“ საკუთრების უფლება სასტუმრო „საქართველო“-ს მთლიან შენობაზე, რადგან არანაირი იურიდიული საფუძველი არ არსებობდა ქონების შპს „მასვალოს“ სახელზე საკუთრებაში რეგისტრაციისათვის.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 2000წ. 19 ივლისისა და 1999წ. 16 მარტის ჩანაწერის გაუქმების შესახებ.

საოლქო სასამართლოს კოლეგიის მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „მასვალოს“ წარმომადგენელმა ხათუნა გრიგალაშვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლოს მიერ გაყალბებული იქნა გარემოებანი, კერძოდ 1996წ. 14 იანვრით დატარილებული სადამფუძნებლო ხელშეკრულებების ინგლისურ ვარიანტში 4 პუნქტში მითითებულია, რომ აღნიშნულით „მასპინძელი“ კომპანიის რეგისტრაციის შემდეგ, ვალდებულია გადაიყვანოს კომპანიის

მფლობელობაში და საკუთრებაში სასტუმრო მთელი მისი აქციებით და მისი მთლიანი ალჭურვილობით.

კასატორის განმარტებით 1997წ. 11 ივლისის აღრიცხვა შენობა შპს „მასვალო“ საკუთრებად და გაცა მასზე ტექნიკური პასპორტი. შესაბამისად სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964წ. რედაქცია) 131-ე მუხლი.

კასატორის აზრით შპს „მასვალო“ საკუთრება შეიძინა მთლიან შენობაზე 1997წ. 22 მაისის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის მომენტიდან, რაც არაერთხელ იქნა სს „მასპინძელის“ მიერ დადასტურებული. 1997წ. 11 ივლისის შპს „მასვალო“ სახელზე ტექნიკური ინვენტერიზაციის ბიუროში აღრიცხვის, 1997წ. 15 ოქტომბერ მთელი შენობის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების და 1999წ. 16 მარტის საჯარო რეესტრში აღრიცხვით.

კასატორის განმარტებით გაურკვეველი, რომელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე მივიდა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ 1997წ. 11 ივლისის ტექ. პასპორტით არ შეიძლება დადასტურდეს შპს „მასვალოს“ საკუთრება სასტუმროს მთლიან შენობაზე. ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა ზიანია ანაზღაურების თაობაზეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქმის განხილვისას, 2005წ. 11 ოქტომბერს, მხარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა მორიგების აქტი.

საკასაციო პალატის 2005წ. 11 ოქტომბრის განჩინებით დამტკიცდა მორიგება მხარეთა შორის.

2008წ. 26 თებერვალს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „საქართველოს“ წარმომადგენლმა გ. თ-ძემ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე საკასაციო წარმოების განახლება.

2008წ. 20 ივნისის განჩინებით შპს „საქართველოს“ წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა, განაზღვრა საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს „მასვალო“ სასტუმრო „საქართველოს“ შენობის დაბრუნების მოთხოვნას ამყარებს სს „მასპინძელსა“ და შპს „მასვალოს“, აგრეთვე შპს „მასვალოს“ დამფუძნებელთა შორის არსებულ შეთანხმებებს, მაგრამ აღნიშნული მტკიცებულების სამართლებრივი შეფასება ცხადყოფს, რომ ამ გარემოებათა საფუძველზე შპს „მასვალოს“ სასტუმრო „საქართველოს“ მთელ შენობაზე საკუთრების უფლება არ წარმოშობია, რაც მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

უპირველეს ყოვლისა, პალატა ყურადღებას ამახვილებს შპს „მასვალოს“ დამფუძნებელთა 1996წ. 14 იანვრის ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ხელშეკრულება საქმეში წარმოდგენილია ორ ენაზე – რუსულ და ინგლისურ ენაზე. ხელშეკრულების 27-ე პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების და კომპანიის საქმიანობის ენებს თანაბრად წარმოადგენს ქართული, რუსული და ინგლისური, მაგრამ დავის შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ინგლისური და რუსული დოკუმენტაცია და მათ აქვთ თანაბარი ძალა. ხელშეკრულების ტექსტის მე-4 პუნქტის თანახმად „მასპინძელი“ კომპანიის რეგისტრაციის შემდეგ ვალდებულია გადაიყვანოს კომპანიის მფლობელობაში და საკუთრებაში სასტუმრო მთელი მისი სექციით და მისი მთლიანი ალჭურვილობით. იგივე შეთანხმების რუსულ ვარიანტში კომპანიას სასტუმროს მთელი შენობის მხოლოდ და მხოლოდ მფლობელობაში გადაცემის ვალდებულება აკისრია. აღნიშნული შეთანხმების შედეგად შპს „მასვალოს“ საწესდებო კაპიტალში შევიდა მხოლოდ სასტუმრო „საქართველოს“ ნაწილი და არა მთელი შენობა. ამასთანავე განისაზღვრა დარჩენილი შენობის გადაცემის ვალდებულებაც, მაგრამ გადაცემის ფორმა მითითებული ხელშეკრულებით ბუნდოვანია. ერთი ტექსტის თანახმად იგი გადაეცემოდა საკუთრებაში, მეორეს მიხედვით კი მფლობელობაში. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. საკუთრების უფლება აბსოლუტური უფლებაა და ასეთი უფლების გადაცემა ბუნდოვანი და არაპირდაპირი გამონათქვამების საფუძველზე შეუძლებელია. შეთანხმების თანახმად ერთი დამფუძნებლის მიერ სასტუმროს გადაცემისას, მეორე მხარეს უნდა მოეხდინა ინვესტირება. აღნიშნული შეიძლებოდა განხორციელებულიყო საწესდებო კაპიტალში მთელი ამ ქონებისა და შესაბამისად მეორე დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული საინვესტიციო თანხის შეტანით, მაგრამ აღნიშნულის შესრულება მხარეებმა ივალდებულეს შპს „მასვალოს“ რეგისტრაციის



განხორციელების შემდეგ, რაც უფრო მეტად სავარაუდოს ხდის იმ გარემოებას, რომ მხარეს სასტუმროს შენობის შპს „მასვალოსათვის“ საკუთრებაში გადაცემის ნება ამ გარიგებით არ გამოუხატავს. შეთანხმების მე-5 პუნქტშიც კი, სადაც მითითებულია თითქოსდა საკუთრებაში ქონების გადაცემის თაობაზე, დათქმულია, რომ გადაცემა უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობით. მე-4 პუნქტში კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საკუთრებაში გადაცემის საკითხი გაურკვეველია.

შპს „მასვალოს“ დამფუძნებელთა ხელშეკრულებაში მითითებული დებულებები ასახულია შპს „მასვალოს“ წესდებაში (დამტკიცებულია 1996წ. 30 აგვისტოს). წესდების მე-4 მუხლის თანახმად საწესდებო კაპიტალში შეტანილია სასტუმრო „საქართველოს“ შენობის მარცხენა ფლიგელის რესტორნის საბანკეტო დარბაზი, ხოლო 5.5.2 მუხლში მითითებულია სასტუმრო „საქართველოს,, მთელი შენობის გადაცემის ვალდებულება ყველა სექციით.

იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების დადასტურებისას უკვე მიღებული იყო „საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო ბრუნვის არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და აღიარებული იქნა მოქალაქეთა თუ იურიდიულ პირთა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, გაუგებარია, თუ რატომ არ დაიღო მხარეთა შორის არაორაზროვანი, კანონით დადგენილი ფორმის შესაბამისი ხელშეკრულება სადავო უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, თუ მხარეებს მართლაც ასეთი გარიგების დადების სურვილი ჰქონდათ.

იგივე შეიძლება ითქვას 1997წ. 22 მაისის ხელშეკრულებაზე, სადაც საუბარია შენობის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის თაობაზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა ხდებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონებისა, როდესაც ერთი საწარმოდან, ორგანიზაციიდან, დაწესებულებიდან ქონება გადაეცემოდა მეორეს ისე, რომ მისი მესაკუთრედ რჩებოდა სახელმწიფო. საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით კი ბალანსი განსაზღვრა როგორც საბუღალტრო აღრიცხვის ერთ-ერთი ელემენტი. კანონის 13.12 მუხლის თანახმად საინვენტარიზაციო აღწერილობაში შეტანილი უნდა იქნეს მონაცემები მიწის ნაკვეთების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ნაღდი ფულის ოდენობის, ძირითადი საშუალებებისა და ყველა სხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა შესახებ. ცალკეული მატერიალური ფასეულობები ასახული უნდა იყოს მინიმალური შეფასების პრინციპის შესაბამისად და გაკეთდეს ქონებისა და ვალდებულებების თანაფარდობათა გამომხატველი ჯამი (ბალანსი). ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ბალანსი, როგორც საბუღალტრო აღრიცხვის ელემენტი, წარმოადგენს ქონებისა და ვალდებულებების თანაფარდობათა გამომხატველ ჯამს. იგი არ ადგენს არ განსაზღვრავს სამართლებრივ უფლებას ნივთზე, არამედ მასში აისახება საზოგადოების საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული ქონება. ბალანსში ქონების ასახვა შეუძლებელია თუ არ მოხდა საზოგადოებისათვის ქონების გადაცემა რაიმე ფორმით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელია ბალანსიდან ბალანსზე ქონების გადაცემამ წარმოშვას საკუთრების უფლება ნივთზე.

ერთადერთი ხელშეკრულება, სადაც საუბარია სადავო ნივთის საკუთრებაში გადაცემაზე ეს არის 1997წ. 15 ოქტომბრის ხელშეკრულება, რომელზეც ხელმოწერები დადასტურებული იყო სანოტარო წესით. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს 2000წ. 5 ივნისის გადაწყვეტილებით კი გაუქმდა ხელშეკრულების ტექსტზე შესრულებული სანოტარო მოქმედება და დღეისათვის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელშეკრულებაც ვერ გახდება საკუთრების გადაცემის საფუძველი, ვინაიდან დაცული არ არის უძრავი ქონების გადაცემისათვის კანონით დადგენილი წესი. „საკუთრების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლება წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით. სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც მოქმედებდა 1997წ. 25 ნოემბრამდე, მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების გადაცემაზე (მუხლი 239) აწესებდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურების სანოტარო ფორმას. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამ კოდექსის მოქმედების პერიოდში „საკუთრების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე სამოქალაქო ბრუნვის საგანი ძირითადად მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები იყო. საცხოვრებელი სახლის გადაცემის დადასტურება ხდებოდა სანოტარო წესით. ამიტომ ეს წესი გავრცელდა ყველა სახის უძრავ ქონებაზე. ასეთი პრაქტიკა იყო დამკვიდრებული საქართველოში. ის გარემოება, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის არაფერს ამბობს უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე გარიგების ფორმაზე გარდა საცხოვრებელი სახლებისა არ ნიშნავს იმას, რომ უძრავი ქონების გასხვისება შესაძლებელი იყო სანოტარო წესით დადასტურების გარეშე. ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა

საკანონმდებლო ანალოგია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 27-ე მუხლი ითვალისწინებს კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელ კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე. ასეთი კი სწორედ ზემოთ მითითებული ნორმა და ამიტომ ამ გარიგების დადასტურებაც უნდა მომხდარიყო სანოტარო წესით. სასამართლო გადაწყვეტილებით სანოტარო მოქმედების გაუქმებით კი ძალაში დარჩა ხელშეკრულება, რომელიც დადასტურებული არ იყო კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული წარმოადგენს ბათილ გარიგებას სამოქალაქო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად.

რაც შეეხება სარეგისტრაციო მონაცემებს, პალატა მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებულ მიზეზთა გამო არ არსებობდა სადავო ქონების შპს „მასვალოზე“ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში ან შემდგომში საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი. საჯარო რეესტრი აფიქსირებს ქონებაზე არსებულ სამართლებრივ უფლებას, ასეთი უფლების არ არსებობის შემთხვევაში კი შეუძლებელია რეესტრში რაიმე სახის უფლების შეტანა. იგივე შეიძლება ითქვას ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროზეც. ვინაიდან, შპს „მასვალოს“, 2000 წლის არანაირი უფლება სადავო ქონებაზე არ გააჩნდა შეუძლებელია მისი მოთხოვნა ამ ქონების მიმართ ამ პერიოდისათვის საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შპს „მასვალოს“ სასტუმრო „საქართველოს“ მთლიან ქონებაზე საკუთრების უფლება არ წარმოშობია და შეუძლებელია მის საკუთრებაში არ არსებული ქონების სხვა საზოგადოებაში შეტანით შელახულიყო მისი ინტერესი. აღნიშნული კი მისი სარჩელის დაკმაყოფილების გამომრიცხველი ფაქტორია.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების საკითხს, პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოსაზრებას იმის თაობაზე,

რომ 2000 წ. 4 აგვისტოს წერილის მიღების შემდეგ შპს „მასვალოს“, არანაირი საფუძველი აღარ გააჩნდა გადაეხადა მთელი შენობის გადასახადები. შპს „მასვალოს“, ასეთი სახის ქმედება უნდა შეფასდეს როგორც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლი გამორიცხავს შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. გადასახადების გადახდა მოსარჩელისათვის არავის არ დაუვალებია. უფრო მეტიც, აღნიშნული არ გამომდინარეობდა მეპატრონის ინტერესებიდან, ამიტომ ამ მიმართებითაც სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

პალატა თვლის, რომ ზემოთ მითითებულ მოსაზრებათა გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „მასვალოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2005 წ. 3 თებერვლის გადაწყვეტილება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შემძენის ინტერესების დაცვა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-691-1021-07

12 თებერვალი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე

დავის საგანი: უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა და მისი გამოთხოვა უკანონო მფლობელობიდან.

აღწერილობითი ნაწილი:

ო.ს-ქემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქობილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიმართ ქობილისში, ... ქ.№22-ში მდებარე ლიტ „ვ-ს“ 3/4-ისა და მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ე. ბ-ძის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტ „ვ“. მან ეს ბინა უანდერძა მძას – ო.ს-ძეს. ე. ბ-ძე გარდაიცვალა 1994 წელს. ო.ს-ქემ 1995 წელს ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით გაიფორმა ამ სახლის 3/4, ხოლო სამკვიდრო საცხოვრებელი სახლის 1/4 კანონით მემკვიდრეობის მოწმობით კი, ე. ბ-ძის შვილმა – რ. ბ-ძემ, რომელმაც სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ო.ს-ძის მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი სახლიდან კუთვნილი 1/4 წილის რეალურად გამოყოფა. ქობილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მას საკუთრების უფლებით გამოეყო ქობილისში, ... ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტ „ვ“, მასვე დაეკისრა ო.ს-ძის სასარგებლოდ მისი კუთვნილი წილის კომპენსაციის სახით 2850 ლარის გადახდა. ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს დაევალა სათანადო ცვლილებების შეტანა ქ. თბილისში, ... ქ. №22-ში მდებარე სახლის ჩანაწერებში და ლიტ „ვ“ საკუთრების უფლებით აღირიცხა რ. ბ-ძეზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000წ. 4 აპრილის განჩინებით ო.ს-ძის საზედამხედველო საჩივარი დაკმაყოფილდა, 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ქობილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000წ. 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულის მიუხედავად, ტექნიკური აღრიცხვის ბიურომ სადავო სახლის ო.ს-ძის სახელზე აღრიცხვაზე უარი განაცხადა და სადავო უძრავი ნივთი უკანონოდ აღრიცხა ლ.ქ-ძეზე. აღნიშნულს საფუძვლად დაედო რ.ბ-ძისა და ლ.ქ-ძის შორის 2000წ. 2 აგვისტოს დამოწმებული ნასყიდობის უკანონო ხელშეკრულება.

ლ. ქ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების – რ. ბ-ძისა და ო.ს-ძის მიმართ სადავო საცხოვრებელ სახლზე მესაკუთრედ ცნობის, ო.ს-ძის ბინიდან გამოსახლების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2000წ. 2 აგვისტოს განვადებით, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე იყიდა რ. ბ-ძისაგან ქობილისში, ... ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. მან ბინის მესაკუთრეს გადაუხადა 3500 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 1000 აშშ დოლარი უნდა მიეცა 2001წ. თებერვლის ჩათვლით, თუმცა დარჩენილი თანხის გადახდა ვერ მოხერხდა რ.ბ-ძის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო. მოსარჩელის კუთვნილ სახლში ცხოვრობს ო.ს-ძე, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მის ბინაზე.

მითითებული სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

ო.ს-ქემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოპასუხეების – ლ. ქ-ძისა და სანოტარო ბიუროს ნოტარიუს ნ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა რ. ბ-ძესა და ლ. ქ-ძეს შორის 2000წ. 8 აგვისტოს გაფორმებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: ლ. ქ-ძემ შეისყიდა მისი კუთვნილი ბინა, რომლის თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარეობდა დავა რ. ბ-ძესთან. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით რ. ბ-ძეს უარი ეთქვა სადავო საცხოვრებელი სახლიდან 1/4 რეალური წილის გამოყოფაზე. ვიდრე ო. ს-ძე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში თავის სახელზე აღრიცხავდა სადავო საცხოვრებელი სახლის3/4-ს, რ. ბ-ძემ მიჰყიდა ბინა ლ. ქ-ძეს, რომელმაც 2000წ. 8 აგვისტოს სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ამავე წლის. 3 დეკემბერს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში აღრიცხა თავის სახელზე. მან ისარგებლა ამ დროს ბინაზე ყადაღის მოხსნით. ტექნიკურად არასწორად აღრიცხა ბინა ლ. ქ-ძის სახელზე, რადგან, ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ბინაზე საკუთრების უფლება ლ.ქ-ძეს გადაეცემა მხოლოდ ბინის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ.

ქობილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003წ. 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ქ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისში, ... ქ. №22-ში მდებარე სახლის 1/4 საკუთრების უფლებით აღირიცხა მის სახელზე, ბინიდან გამოსახლების ნაწილში სარჩელს უარი

ეთქვა, ო.ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, სადავო ბინის 3/4 აღირიცხა ო.ს-ძის საკუთრებად, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2002წ. 2 აგვისტოს ნოტარიუს ნ.მ-შვილის მიერ დამოწმებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად რ.ბ-ძემ მთელი სახლი მიჰყიდა ლ.ქ-ძეს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. ქ-ძემ თავისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ო.ს-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით, ხოლო ო.ს-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში და მოითხოვა გარიგების მთლიანად ბათილად ცნობა.

მოცემული საქმე განხილულ იქნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 26 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ო.ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისში, ... ქ.№22-ში მდებარე საცხოვრებელი ლიზტ „ვ“ შენობის ნაწილზე რ. ბ-ძესა და ლ. ქ-ძეს შორის 2000წ. 2 აგვისტოს გადახდის განვადებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ლ.ქ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, იგი ცნობილ იქნა სადავო შენობის 1/4-ის მესაკუთრედ და დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის – 135 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999წ. 11 თებერვლის №2/90 გადაწყვეტილებით ქ.თბილისში, ... ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიზტ „ვ“ აღირიცხა რ. ბ-ძის საკუთრებად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000წ. 4 აპრილის განჩინებით ო.ს-ძის საზედამხედველო საჩივარი დაკმაყოფილდა, 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. 2000წ. 2 აგვისტოს რ. ბ-ძესა და ლ. ქ-ძეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით. გარიგების დადების დღეს გამყიდველმა მიიღო 3500 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხის – 1000 აშშ დოლარი მყიდველს უნდა გადაეხადა 2001წ. 3 იანვრამდე. ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს 2000წ. 18 აგვისტოს განჩინებით ო.ს-ძის განცხადების საფუძველზე რ.ბ-ძის სახელზე რიცხულ სადავო ბინას დაელო ყადაღა, რის გამოც ლ.ქ-ძესა და რ.ბ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში არ აღრიცხულა და არც შემდგომში საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000წ. 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელი სადავო საცხოვრებელი სახლიდან რეალური წილის გამოყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა. მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება არ განხორციელებულა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო ხელშეკრულების დადების დროს სახლი, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, რ.ბაკურიძის სახელზე არ ირიცხებოდა, ვინაიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, სადავო უძრავი ნივთი რ.ბაკურიძის საკუთრებაა და ამ მონაცემის მიმართ მოქმედებს ამავე კოდექსის 312-ე მუხლით დადგენილი უტყუარობის პრეზუმფცია. პალატის მითითებით, ო.ს-ძე აღიარებითი სარჩელით ითხოვს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას და მიიჩნევს, რომ გამსხვისებულ რ.ბ-ძის სახელზე სადავო სახლი არასწორად ირიცხებოდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ო.ს-ძის ოურიდიული ინტერესი დასახელებული გარიგების ბათილად ცნობის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ შემდეგში შეძლოს 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილებით დარღვეული უფლების აღდგენა, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება და კუთვნილი წილის კვლავ თავის სახელზე აღრიცხვა. პალატამ გაიზიარა ლ.ქ-ძის მოსაზრება, რომ ო.ს-ძის შეგებებული სარჩელის განხილვისას სასამართლო გასცდა მხარის მოთხოვნის ფარგლებს და სსკ-ის 248-ე მუხლის დარღვევით მიაკუთვნა მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, კერძოდ, ო.ს-ძეს შეტანილი ჰქონდა მხოლოდ აღიარებითი სარჩელი და მიკუთვნებითი სარჩელი სახლის 3/4-ის თავის სახელზე აღიციხვის შესახებ მხარეს არ შეუტანია. სასამართლომ საჯარო რეესტრის არაზუსტი ჩანაწერის არსებობა დადგენილად მიიჩნია და ჩათვალა, რომ რ. ბ-ძესა და ლ. ქ-ძეს შორის 2000წ. 2 აგვისტოს ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც რ.ბ-ძე სადავო ბინის მესაკუთრედ იქნა ცნობილი, გაუქმებულია. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლით და ჩათვალა, რომ ლ. ქ-ძე, ამავე კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებულ, სადავო

ბინის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნეული ვერ იქნება. თავად ლ.ქ-ის განმარტებით, მას სახლის ღირებულებიდან გადასახდელი დარჩა 1000 აშშ დოლარი, ამდენად, ნივთის გადაცემა მყიდველისათვის ნასყიდობის ფასის ნაწილობრივ გადახდის შემდეგ არ მომხდარა. სასამართლოს მოსაზრებით, ლ.ქ-ემ ნივთის საბოლოო შეძენამდე შეიტყო, რომ მთელი სახლის რ.ბ-ის საკუთრება არ იყო. პალატამ მიიჩნია, რომ ლ.ქ-ე უნდა აღრიცხოს სადავო სახლის იმ 1/4-ის შესაკუთრედ, რომელიც რ.ბ-ის ეკუთვნოდა. სასამართლომ არ გაიზიარა ლ.ქ-ის მოთხოვნა ო.ს-ის გამოსახლების თაობაზე, რადგან, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, იგი სადავო სახლი შესაკუთრე არ არის და ვერც ო.ს-ე სადავო ნივთის უკანონო მფლობელად ვერ ჩაითვლება. პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 53-ე მუხლით და მიუთითა, რომ სადავო სახლის ღირებულება ნასყიდობის ხელშეკრულებით შეფასებულია 4500 აშშ დოლარად, ამდენად, ლ.ქ-ეს უნდა დაეკისროს სააპელაციო სასამართლოს 2004წ. 3 მაისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პროპორციულად, ბინის ღირებულების 3/4-ის 4%-ის – 135 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ.ქ-ემ თავისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ო.ს-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მითითებულ ნაწილში მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა რიგი ფაქტობრივი გარემოებანი. პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ნივთის გადაცემა კასატორის მიერ თანხის ნაწილობრივ გადახდის შემდეგ არ მომხდარა, თუმცა სასამართლომ ვერ დაასაბუთა, რა საფუძველს ემყარება აღნიშნული დასკვნა და რატომ არ ჩათვალა ლ.ქ-ე კეთილსინდისიერ შემძენად. სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის სადავო სახლის შესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო რ.ბ-ე, კასატორმა ყიდვამდე დაათვალიერა ბინა, იქ არავინ არ ცხოვრობდა და მიიღო რ.ბაკურიძისაგან მისი გასაღები, რაც, ფაქტობრივად, ბინის გადაცემას ნიშნავს. ამასთან, ბინის გადაცემულად მიჩნევისათვის კანონი შემძენს ნაყიდ ბინაში ცხოვრებას არ ავალდებულებს. კასატორმა მხოლოდ არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ შეიტყო, რომ მის კუთვნილ ბინაში ო.ს-ე ცხოვრობდა. ო.ს-ემ თავად დაადასტურა, რომ კასატორმა სადავო სახლზე მისი პრეტენზიის შესახებ შეიტყო უძრავი ნივთის შეძენის შემდეგ. ამდენად, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლი. სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა, როდესაც სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია, იყო თუ არა ლ.ქ-ე კეთილსინდისიერი იმ გარემოების მიმართ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისათვის გადაწყვეტილება რ.ბ-ის სახელზე სადავო სახლის აღრიცხვის შესახებ გაუქმებული იყო. ფაქტობრივად, კასატორმა აღნიშნული ფაქტი მხოლოდ ო.ს-ის შეგებებული სარჩელიდან შეიტყო, მანამდე კი მხარისათვის უცნობი იყო ო.ს-ის პრეტენზიის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ო.ს-ემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება, ლ.ქ-ესა და რ.ბაკურიძეს შორის დადებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების მთლიანად ბათილად ცნობა და ლ.ქ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, კერძოდ, სადავო სახლთმფლობელობიდან ლ.ქ-ისათვის წილის გამოყოფაზე, მიკუთვნებაზე ან მიყიდვაზე შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 386-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან გააუქმა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, მისი სამართლებრივი შედეგი უცვლელად დატოვა. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის გარემოება, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილი იყო, ვინაიდან იგი სათანადო წესით არ გაფორმებულა, ამასთან, სადავო სახლის 1/4, რომელიც სასამართლომ უკანონოდ მიაკუთვნა ლ.ქ-ეს, აღრიცხულია რ.ბ-ის აწ გარდაცვლილი დედის სახელზე. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ტექნიკურად სახლის 1/4-ის გამოყოფა შეუძლებელია და დაარღვია ო.ს-ის საკუთრების უფლება. სასამართლომ ლ.ქ-ე არაკეთილსინდისიერ შემძენად ცნო, თუმცა აღნიშნულს საფუძველად დაუდო 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილება და ყურადღების მიღმა დატოვა მითითებული გარიგების ბათილობის ო.ს-ის მიერ დასახელებული გარემოებანი. სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 389-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, როდესაც მიუთითა, რომ ო.ს-ემ მოითხოვა სახლის 1/4-ის რ.ბ-ის სახელზე აღრიცხვა. ო.ს-ე მოითხოვდა რ.ბ-ესა და ლ.ქ-ეს შორის ყალბი დოკუმენტების საფუძველზე დადებული ნასყიდობის ბათილად ცნობას და აღნიშნული გარიგება სააპელაციო სასამართლომაც ბათილად მიიჩნია, თუმცა შედეგად გამოიტანა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება და სადავო სახლის 1/4 იდეალური წილი მიჰყიდა ლ.ქ-ეს. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ არ გაითვალისწინა 2000წ. 18 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც რ.ბ-ის სადავო

სახლის 1/4-ის გამოყოფაზე უარი ეთქვა. სააპელაციო პალატის მსჯელობა წინააღმდეგობრივია, რადგან სასამართლომ დაადასტურა, რომ ნასყიდობა ბათილია, ლ.ქ-მე არაკეთილსინდისიერი შემძენია და ამავდროულად, როგორც რ.ბ-ძის წილი, მიაკუთვნა მას სახლის 1/4, რა დროსაც არ შეაფასა ის გარემოება, რომ რ.ბ-ძის მიერ უკანონოდ სადავო სახლის მთლიანად თავის სახელზე აღრიცხვამდე სახლის 3/4 ირიცხებოდა ო.ს-ძის, ხოლო 1/4 ე. ბ-ძის სახელზე და რ. ბ-ძის სახელზე სადავო 1/4 კანონის დაცვით აღრიცხული არასოდეს არ ყოფილა. ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებით მთლიანი სახლთმფლობელობა, რ. სიმონის ასული ბ-ძის ნაცვლად, აღირიცხა რ. სამსონის ასული ბ-ძის სახელზე, ამდენად, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამყიდველად დაფიქსირდა პირი, რომლის სახელზეც სახლი აღრიცხული არ იყო. სააპელაციო პალატამ ლ.ქ-ძისათვის სახლის 1/4-ის მიკუთვნების სამართლებრივ საფუძველად არასწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი, რადგან ამავე მუხლის საფუძველზე სასამართლომ ლ.ქ-მე სადავო ნივთის არაკეთილსინდისიერ შემძენად ჩათვალა. პალატამ მიუთითა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრსა და ტექბიუროში არ აღრიცხულა. აღნიშნული არ განხორციელდა არა ბინაზე არსებული ყადაღის გამო, არამედ იმ მიზეზით, რომ გარიგება უნდა აღრიცხულიყო მხოლოდ და მხოლოდ საჯარო რეესტრში, როგორც ეს თავად ხელშეკრულებაშია მითითებული სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 185-ე, 1514-ე მუხლებისა და გარდამავალ დებულებათა თანახმად. ამასთან, 2 აგვისტოდან 18 აგვისტომდე ლ.ქ-მეს საკმარისი დრო ჰქონდა ბინის დასარეგისტრირებლად, მაგრამ ხელშეკრულება დადებული იყო გადახდის განვადებით, თანხა მთლიანად გადახდილი არ ჰქონდა, ნივთს ვერ დაეუფლა, რადგან მისთვის იმთავითვე გახდა ცნობილი, რომ სახლი უფლებრივად ნაკლის მქონე იყო და მაშინვე რ.ბ-ძისათვის მიმართვის ნაცვლად, ლ.ქ-მემ დრო გაიყვანა და სცადა ო.ს-ძესთან დავის გზით მოეპოვებინა უფლება ბინაზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი, რადგან რ.ბ-ძეს არც საჯარო რეესტრიდან და არც ტექბიუროდან სადავო ბინაზე საკუთრების დამადასტურებელი კანონიერი დოკუმენტი არ ჰქონია, ხოლო პალატის მიერ მითითებული ჩანაწერები მცდარი და გაყალბებულია. სასამართლომ არასწორად მიუთითა ო.ს-ძის იურიდიულ ინტერესზე, რადგან სადავო გარიგება სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევითაა გაფორმებული და ლახავს ო.ს-ძის ანდერძისმიერ უფლებებს. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო ბინაზე არსებულმა ყადაღამ, რომელმაც, პალატის მოსაზრებით, ლ.ქ-მეს ნასყიდობის აღრიცხვაში შეუშალა ხელი, 2000წ. 18 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება შეუძლებელი გახდა. ამასთან, 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილება ვერასოდეს ვერ აღსრულდება, რადგან იგი ისე გაუქმდა, რომ კანონიერ ძალაში არ შესულა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით სასამართლომ მთლიანად ბათილად ცნო სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება და არ მიუთითა, ტოვებდა თუ არა ძალაში მას ლ.ქ-ძისათვის სახლის 1/4-ის მიკუთვნების ნაწილში და დადებით შემთხვევაში რა საფუძველით.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999წ. 11 თებერვლის №2/90 გადაწყვეტილებით ქ.თბილისში, ... ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტ „ვ“ აღირიცხა რ. ბ-ძის საკუთრებად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000წ. 4 აპრილის განჩინებით ო.ს-ძის სახელმძღვანელო საჩივარი დაკმაყოფილდა, 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. 2000წ. 2 აგვისტოს რ. ბ-ძესა და ლ. ქ-მეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით. გარიგების დადების დღეს გამყიდველმა მიიღო 3500 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხის – 1000 აშშ დოლარი მყიდველს უნდა გადაეხადა 2001წ. 3 იანვრამდე. ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს 2000წ. 18 აგვისტოს განჩინებით ო.ს-ძის განცხადების საფუძველზე რ.ბ-ძის სახელზე რიცხულ სადავო ბინას დაედო ყადაღა, რის გამოც ლ.ქ-ძესა და რ.ბ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში არ აღრიცხულა და არც შემდგომში საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000წ. 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელი სადავო საცხოვრებელი სახლიდან რეალური წილის გამოყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა. მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 1999წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება არ განხორციელებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკაცაციო სასამართლო საკაცაციო საჩივრის საფუძვლებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო.ს-ძისა და ლ. ქ-ძის საკაცაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკაცაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და არასრულად გამოიკვლია მტკიცებულებები, რაც, სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით, გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია, კერძოდ:

სააპელაციო პალატამ იმსჯელა რა ლ.ქ-ძის სადავო სახლის კეთილსინდისიერად შეძენის თაობაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია სამართლის ნორმა. სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი – სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი, რომელიც ეხება მოძრავ ნივთზე კეთილსინდისიერი შემძენის უფლებებს. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს უძრავი ნივთი და სასამართლოს უნდა გამოეყენებინა უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენისას კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დამდგენი ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი.

ამასთან, სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ლ.ქ-ძის არაკეთილსინდისიერების საკითხს ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ლ.ქ-ძემ, გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ გადაიხადა ნასყიდობის ფასი და ნივთი ყიდვისთანავე არ მიუღია. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით სასამართლომ დაასკვნა, ლ.ქ-ძემ იცის, რომ გამსხვისებელ რ. ბ-ძის სახელზე მთლიანად სადავო სახლი არ ირიცხება, შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა ნივთის გადაცემამდე მყიდველის კეთილსინდისიერების ფაქტის შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის დანაწესი მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

საკაცაციო სასამართლო განმარტავს, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავდება იმით, რომ განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს ნივთი ფასის გადახდამდე, ხოლო შემდგომ კი მყიდველის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ. ამდენად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მყიდველი ნივთის მესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე, თუმცა მას გადახდილი აქვს ნივთის ფასის მხოლოდ ნაწილი. განვადებით ნასყიდობა, ისევე როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია, იგი დადებულად ითვლება მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევის მომენტიდან და მისი ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული ნასყიდობის საგნის რეალურად გადაცემასთან.

საკაცაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი – სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი, რის შედეგადაც არ იქნა გამოკვლეული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არსებითია კანონით დადგენილი ნორმის შემადგენლობის დასადგენად და მის გამოსაყენებლად. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. აღნიშნული ფორმულირებით კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოება – გამსხვისებლის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია, ანუ შემძენის კეთილსინდისიერება ეფუძნება ობიექტურ ფაქტორს, საჯარო რეესტრის მონაცემებს. კანონის ეს დანაწესი განპირობებულია თვით კანონის მიერ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების მიმართ დადგენილი უტყუარობის პრეზუმფციით. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორედ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტობა.

აღნიშნული ნორმების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, შემძენს, თავის უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში

რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს. თუნდაც სინამდვილეში არასწორი იყოს რეესტრის მონაცემები, ამ მდგომარეობას არა არსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობას და, შესაბამისად, ნივთის შექენას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. ზემოთ დასახელებული ნორმები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს – შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, შემძენის ინტერესების დამცავი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა ნივთის შექენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით მხარეთა შორის გადანაწილებულია მტკიცების ტვირთი. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია შემძენს უადვილებს უფლების კანონიერების მტკიცების პროცესს. რეესტრის მონაცემთა უსწორობა და შემძენისათვის ამ ფაქტის ცოდნა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუკი მხარე სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შექენის კანონიერებაზე დააყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვლიოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზის შესახებ. ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი. სწორედ ამ გარემოებათა გამოკვლევას უნდა ეფუძნებოდეს დასკვნა შექენის ნამდვილობისა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უძრავი ქონების შექენასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერება სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგს იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ადგილი აქვს შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე (და არა შემძენისათვის ნივთის გადაცემამდე).

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ განჩინების კვლევით ნაწილში მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა დაადგინოს შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს სამართლებრივი შეფასება დადგენილ გარემოებებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ო.ს-ძისა და ლ. ქ-ძის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 26 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საერთო საკუთრებით სარგებლობის უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-112-391-08

9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია



დავის საგანი:საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული შენობის დემონტაჟი და მიწის ფართის განთავისუფლება.

აღწერილობითი ნაწილი:

2004წ. 13 დეკემბერს დ. დ-იამ, კ. ა-ვამ, თ. ლ-ძემ, გ. ლ-ძემ და მ. თავ-ძემ სარჩელით მიმართეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: გ. და ი. გ-ნების, ვ. შ.ის, ლ. გ-შვილის წინააღმდეგ და მოითხოვეს თბილისში, ... ქუჩა №28\47-ის მცხოვრებთა საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე მოპასუხეთა მიერ უკანონოდ აღმართული 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და მიწის გამონთავისუფლება.

მოსარჩელეთა განმარტებით, აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდნენ ორსართულიან სახლში, სახლის მიმდებარე 1300 კვ. მეტრი იყო მობინადრეთა საერთო საკუთრება. მოპასუხეები ამ საერთო საკუთრებიდან 250-300 კვ.მ-ს თვითნებურად დაეპატრონენ, ისე რომ რეალური წილი არ ჰქონიათ გამოყოფილი და მეზობლებთან შეუთანხმებლად ააშენეს 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. მოსარჩელების განმარტებით, აღნიშნული სახლის აშენებით მათ სახლებს მიადგათ ზიანი და შეეზღუდათ საერთო ეზოთი სარგებლობის უფლება, ამასთან მოპასუხეებს არ გააჩნდათ მშენებლობის დასაწყებად სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების ნებართვა. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005წ. 5 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. დ-იამ, კ. ა-ვამ, თ. ლ-ძემ, გ. ლ-ძემ და მ. თავ-ძემ. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006წ. 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. დ-იას, კ. ა-ვის, თ. ლ-ძის, გ. ლ-ძისა და მ. თავ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005წ. 5 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ხოლო დ. დ-იას, კ. ა-ვის, თ. ლ-ძის, გ. ლ-ძის და მ. თავ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრეს კ. ა-ვამ, თ. ლ-ძემ, მ. თავ-ძემ და მოითხოვეს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გაუქმება. საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2007წ. 18 ივნისის განჩინებით, კასატორთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006წ. 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. დ-იას უფლებამონაცვლის ნ. დ-იას, კ. ა-ვის, თ. ლ-ძის, მ. თავ-ძის და დ. ხიდემელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005წ. 5 აპრილის გადაწყვეტილება, ხოლო მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, ... ქუჩა №28\47 საცხოვრებელი სახლის ეზო (მიწის ნაკვეთის საერთო ფართობით 1102 კვ.მ, წარმოადგენდა ამ სახლში მობინადრეთა საერთო საკუთრებას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ფართი არ წარმოადგენდა მეზობლების (აპელანტები, მოწინააღმდეგე მხარე და სხვა მეზობლები) საერთო საკუთრებას, ვინაიდან რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობის და სისრულის პრეზუმფცია და რეესტრის ჩანაწერებით დასტურდებოდა, რომ თბილისში, ... ქუჩა №28\47 საცხოვრებელი სახლის ეზო (მიწის ნაკვეთის საერთო ფართობით 1102 კვ.მ), წარმოადგენდა ამ სახლში მობინადრეთა საერთო საკუთრებას.

პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტებმა ვერ შეძლეს დაესაბუთებინათ რაში გამოიხატა მოწინააღმდეგე მხარის მიერ საზიარო უფლების მიწის ნაკვეთზე სადავო სახლის აშენებით მათთვის მიყენებული ზიანი, რადგან მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე შენობის აგებით განხორციელდა თანასაკუთრებაში არსებული ნივთით იმგვარი სარგებლობა, რომელსაც არ გამოუწვევია სხვა თანამესაკუთრეთათვის ზიანის მიყენება.

პალატამ მიიჩნია, რომ შენობის დანგრევის შემთხვევაში დაირღვევოდა მეორე მხარის ინტერესები, მათ მიადგებოდათ მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და გარდა ამისა, ამით შეილახებოდა მათი საკუთრების უფლება, კერძოდ, საერთო საკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობის უფლება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტების თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მათ უფლების განხორციელება სადავო შენობის დანგრევით მიმართული იყო მოწინააღმდეგე მხარისათვის ზიანის მიყენებისაკენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. და ნ. დ-იას, კ. ა-ვას, ნ. ხიდუშელის, ქ. ო-შვილის და მ. თავ-ძის წარმომდაგენელმა გ. ძ-ამ.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება განპირობებული იყო სასამართლოს დაინტერესებით მოპასუხე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო საქმე.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებები, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე მხარე არ დაეთანხმა მორიგებას არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან არანაირ კომპენსაციაზე, რის გამოც მოსარჩელე მხარეს უნდა ეთმინა საკუთრების უფლების ხელყოფა მოპასუხე მხარისაგან საუბარი არ ყოფილა.

კასატორი მიიჩნევს, რომ ვინაიდან თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის 2001წ. 14 მაისს გაცემული №118 ნებართვა ბათილად იქნა ცნობილი, უკანონო იყო ყველაფერი რაც ამ ნებართვით განხორციელდა დღიდან მისი გაცემისა. მოპასუხეებმა კასატორის მითითებით სხვადასხვა დროს უხეშად დაარღიეს კასატორთა უფლებები და ხელყვეს კანონის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ თბილისში, ... ქუჩა №28\47 საცხოვრებელი სახლის ეზო (მიწის ნაკვეთი საერთო 1102 კვ.მ) წარმოადგენს ამ სახლში მობინადრეთა საერთო საკუთრებას. სწორია სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საზიარო უფლება თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბრად. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სადავო სახლის ამენებაში გამოყენებულია ნ. გ-ანისა და ლ. ჭ-შვილის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და ნაწილობრივ მათი წილი საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან, ხოლო თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე შენობის აგებით განხორციელდა თანასაკუთრებაში არსებული ნივთით იმგვარი სარგებლობა, რომელსაც არ გამოუწვევია სხვა თანამესაკუთრეთათვის ზიანის მიყენება. აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ. დავის წარმოშობისას არსებული სამოქალაქო კოდექსის 220-ე მუხლის თანახმად ბინის მესაკუთრეს აქვს საერთო საკუთრებით სარგებლობის უფლება. ყოველი ბინის მესაკუთრეს შეუძლია ისარგებლოს საერთო საკუთრებაში მისი წილის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეულ მესაკუთრეს აქვს საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის სარგებლობის და არა განკარგვის უფლება. ნივთის განკარგვა კი მესაკუთრეთა შეთანხმებით უნდა მოხდეს. მოცემულ შემთხვევაში თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე შენობის აშენებით სხვა თანამესაკუთრეებს შეეზღუდათ კანონით მინიჭებული უფლება ისარგებლონ იმ მიწის ფართით, რომელზეც განლაგებულია ახალი შენობა. ამასთან შენობა აშენდა ნაკვეთზე რვა მესაკუთრის თანასაკუთრებაში არსებულ მიწაზე. ხოლო მიწაზე, რომლებზეც არ არის გამოყოფილი მესაკუთრეთა რეალური წილები, ახალი სახლის მესაკუთრეებსაც წარმოეშვათ თანასაკუთრებაში არსებულ მიწაზე საკუთრების უფლება, რითაც ბუნებრივია მცირდება სხვა მესაკუთრეთა წილი საერთო საკუთრებაში, აღნიშნული კი მიწის მესაკუთრეებს კანონის ზემოთ მითითებული ნორმით მინიჭებული უფლების უგულვებლყოფას განაპირობებს. ასეთი მოქმედება კი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. იგი წარმოადგენს კანონით მინიჭებული უფლების დარღვევას.

ამასთან ის გარემოება, რომ თითქოს შენობა აშენებულია გ-ანისა და ჭ-შვილის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ და საერთო საკუთრებაში არსებულ მათ წილ მიწის ნაკვეთზე ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ, რადგან შეუძლებელია ათსართულიანი შენობის განთავსება 37 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მათი წილი საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გამოყოფილი არ არის, შეუძლებელია მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენდა შენობა სწორედ მათი წილია საერთო საკუთრებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა დაადგინოს გაიზარდა თუა არა მესაკუთრეთა რაოდენობა მიწის ნაკვეთზე და შემცირდა თუ არა ძველ მესაკუთრეთა წილი საერთო საკუთრებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. და ნ. დ-იას, კ. ა-ვას, ნ. ხ-შელის, ქ. ო-შვილის, მ. თავ-ძის წარმომადგენლის გ. დიგუას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 3 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-128-406-08

13 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრაი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება და წილის ნატურით გამოყოფა.

აღწერილობითი ნაწილი:

2005წ. 21 ოქტომბერს ა., ს. და ლ. ს-ავანებმა სარჩელი აღძრეს ს. მ-ნის წინააღმდეგ და მოითხოვეს საზიარო უფლების გაუქმება და ქონების ნატურით გამოყოფა.

მოსარჩელეებმა სასარჩელო მოთხოვნა დაამყარეს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა. ს-ავანი 1974 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხე ს. მ-ნის ძმასთან ს. ს-ავანთან და მათთან ერთად ცხოვრობდა თბილისში, ... ქუჩა №12-ში მდებარე სახლში. ქორწინების პერიოდში შეეძინა ორი შვილი – ლ. და ს. ს-ავანები. ერთად ცხოვრების მანძილზე ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ა. ს-ავანის უშუალო მონაწილეობით, განხორციელდა როგორც არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია, ასევე ახალი სხვადასხვა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა. აღნიშნულ მისამართზე მდებარე სახლი ირიცხებოდა ს. მ-ნის სახელზე. ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე ა. ს-ავანმა 1987 წელს მიმართა ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახელობის სახალხო სასამართლოს. აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და ა. ს-ავანს შვილებთან ერთად გამოეყო საცხოვრებელი ფართი 40.01 კვ.მ მოსარჩელეების განმარტებით დამხმარე საყოფაცხოვრებო ნაგებობა დარჩა საერთო სარგებლობაში. საერთო სარგებლობაში დარჩა ასევე მიწის ნაკვეთიც ეზოს სახით.

ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში საერთო სარგებლობაში არსებული მთლიანი ფართი აღირიცხა მოპასუხე ს. მ-ნის სახელზე მათი თანხმობის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 28 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა., ს. და ლ. ს-ავანებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007წ.28 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ:

დადგენილად იქნა მიჩნეული რომ ქ. თბილისში, ... ქუჩა №12-ში მდებარე 671 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იყო ს. მ-ნის საკუთრება. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი იყო 198,89 კვ.მ, საიდანაც 158,88 კვ.მ იყო ს. მ-ნის საკუთრება, ხოლო 40,1კვ.მ-ს., ა. და ლ. ს-ავანების საკუთრება.

სასამართლომ დადგენილი გარემოებების საფუძველზე, კერძოდ იმის გათვალისწინებით რომ საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით ქ.თბილისში, ... ქუჩა №12-ში მდებარე 671 კვადრატული მეტრი მიწა და 158,88 კვ.მ ფართი იყო ს. მ-ნის საკუთრება და აღნიშნულ ფართზე ს., ა. და ლ. ს-ავანების წილი არ იყო განსაზღვრული, დაასკვნა რომ სადავო ფართი საზიარო უფლების ობიექტად არ შეიძლება ყოფილიყო მოაზრებული და შესაბამისად დაუშვებლად მიიჩნია მითითებულ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება და ამ ქონების ნატურით გამოყოფა მანამდე, ვიდრე არ დადგინდებოდა, რომ ქონება საზიარო უფლების ობიექტს წარმოადგენდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ს., ა. და ლ. ს-ავანებმა.

კასატორის აზრით სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია, ისეთ არსებით გარემოებებს, როგორცაა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების უგულებელყოფა, კერძოდ კი ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სასამართლოს 1987წ. 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ა. ს-ავანის სასარჩელო განცხადება და ქ. თბილისში ... ქუჩა №12-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან ორ შვილთან – ს. და ლუბა ს-ავანებთან ერთად გამოეყო საკუთრების უფლებით 40 კვ.მ საცხოვრებელი ფართობი, ხოლო იმ დროისათვის არსებული დამხმარე სათავსოები, სამზარეულო, სააბაზანო და სხვა სველი წერტილები დარჩა საერთო სარგებლობაში.

კასატორის აზრით სასამართლოს საყოველთაოდ ცნობილად უნდა მიეჩნია ის ფაქტები, რომლებიც დადგენილი იქნა 1987წ. 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ვინაიდან სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობდნენ.

გარდა ამისა კასატორი მიიჩნევს რომ სააპელაციო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოებაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გაგებული მისი სასარჩელო მოთხოვნის საგანი, რადგან ის მოითხოვდა ქ. თბილისში, ... ქუჩა №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობებიდან, გაყოფის შედეგად საკუთრების უფლებით გადმოცემული 40 კვ.მ-ის პროპორციული არასაცხოვრებელი (დამხმარე) ფართისა და შესაბამისი ფართის მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით გამოყოფას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 377-ე მუხლის 1-ელ ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტაციაზე და გაიზიაროს ან უარყოს იგი. გასაჩივრებული განჩინება ასეთი სახის მსჯელობას არ შეიცავს და იგი სამართლებრივად დაუსაბუთებელია, იგი არ შეიცავს მითითებასაც იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც გაიზიარა სასამართლომ. ასეთი სახის მონაცემების არარსებობის შემთხვევაში კი შეუძლებელია საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მითუმეტეს, რომ სსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე აქვს სამართლებრივი შეფასების მიცემის უფლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლიდან გამომდინარე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებზე. აღნიშნული ნორმის თანახმად ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისთვის გათვალისწინებული წესები. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს უნდა გამოერკვია წარმოადგენდა თუ არა სადავო მიწის ნაკვეთები ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებულ სახლს და შესაბამისად განესაზღვრა ამ პირთა

უფლებები მიწასთან მიმართებაში. მართალია მხარეს საჯარო რეესტრის მიმართ მოხსნილი აქვს მოთხოვნა, მაგრამ სასამართლოს მიერ იმ ფაქტის დადგენა, რომ მოსარჩელეს საზიარო უფლება ამ ფართზე არ გააჩნია უგულებელყოფს ზემოაღნიშნულ ნორმას, რაც არ შეიძლება სასამართლოს მიერ გაზიარებულ იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. და ლ. ს-ავანების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 3 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 8. უპირატესი შესყიდვის უფლება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ა-687-06 15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ს-შვილმა და ი. ს-ვმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. ლ-ვას, ლ. ს-ვასა და ქ.თბილისის №1 სახელმწიფო ნოტარიუსის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1992წ. 2 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მამა – გ. ს-ვი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... ქ.№45-ში მდებარე ბინის ნახევრის 1/3-ის მემკვიდრედ. 1993წ. 23 იანვარს გრ.ს-ვი გარდაიცვალა და დარჩა მემკვიდრეები – შვილები, მოსარჩელები, ასევე მეუღლე მეორე ქორწინებიდან – ლ.ს-ვა, რომელთაც მიიღეს სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით, თუმცა რეალური წილები არ დადგენილა. ო.ს-შვილმა მოგვიანებით შეიტყო, რომ მოპასუხე ლ.ს-ვამ თავისი იდეალური წილი, სახლთმფლობელობის 1/24 მიჰყიდა ნ. ლ-ვას. ნოტარიუსს არ ჰქონდა უფლება, ნასყიდობის საგნის თანამესაკუთრეთა შეუტყობინებლად გაეფორმებინა გარიგება. აღნიშნულით დაირღვა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის უპირატესი შესყიდვის უფლება, რის გამოც სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ამასთან, ო.ს-შვილს ნება უნდა დაერთოს, შეიძინოს ლ.ს-ვას წილი იმავე პირობებით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: ო.ს-შვილისათვის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ ცნობილი იყო. მოსარჩელებს სადავო ქონების უპირატესი შესყიდვის უფლება არ გააჩნდათ, რადგან ლ.ს-ვამ თავისი კუთვნილი წილი მიჰყიდა არა გარეშე პირს, არამედ იმავე სახლთმფლობელობის მეწილეს.

ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1997წ. 8 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997წ. 8 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი დარჩა

უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ... ქ.№45-ში მდებარე სახლთმფლობელობა წარმოადგენს 513 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საერთო 346,57 კვ.მ-ის მქონე ორსართულიან შენობას. 1993წ. 24 სექტემბერს ქ.თბილისის №18 სასაქონლო კანტორის მიერ გაიცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა, რომ 1993წ. 29 იანვარს გარდაცვლილ გ. ს-ვის დანაშთ ქონებაზე ქ.თბილისში, ... ქ.№45-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წილზე მემკვიდრეებად ცნობილ იქნენ მეუღლე – ლ. ს-ვა და შვილები – ი. ს-ვი და ო. ს-შვილი. ტექტიურის მიერ 1994წ. 23 მაისს გაცემული ცნობით სასამართლომ გამოარკვია, რომ სადავო სახლს ჰყავს თანამესაკუთრები, მათ შორის, ი. ს-ვი, ო. ს-შვილი, ლ. ს-ვა და ნ. ლ-ვა. სასამართლომ გაიზიარა დადგენილი გარემოება, რომ საბინაო წიგნის მიხედვით, ნ.ლ-ვა სადავო სახლთმფლობელობის 1/6-ის თანამესაკუთრეა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ.ს-ვას 1994წ. 22 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებით სახლთმფლობელობის კუთვნილი 1/24-ის ამავე სახლის თანამესაკუთრე ნ.ლ-ვაზე გასხვისებით სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მოთხოვნა არ დაურღვევია.

1997წ. 20 ოქტომბერს ო. ს-შვილმა და ი. ს-ვამ საზედამხედველო საჩივრით მიმართეს სასამართლოს, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ მოცემული დავის განხილვისას არასწორად განმარტა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი, როდესაც მიიჩნია, რომ სადავო ნივთის შემძენი – ნ.ლ-ვა ქ.თბილისში, ... ქ.№45 სახლთმფლობელობის თანამესაკუთრე იყო და ამდენად, ნასყიდობის საგნის შეძენის უპირატესი უფლება გააჩნდა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო ფართი მხარეებმა მიიღეს მემკვიდრეობით იდეალური წილის საფუძველზე, რის გამოც რეალური წილის განსაზღვრის გარეშე ცალკეული წილის გასხვისება დაუშვებელი იყო ნასყიდობის საგნის უფლებრივი ნაკლის გამო. სადავო უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა გავრცელებულიყო მხოლოდ მემკვიდრეებზე და არა სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გრ.ს-ვის მემკვიდრეობის წილის გასხვისებისას ნ.ლ-ვა გარეშე პირს წარმოადგენდა და უპირატესი შესყიდვის უფლება არ გააჩნდა. ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელემ სხვა სამოქალაქო საქმეზე სადავოდ გახადა ნ.ლ-ვას მიერ ამავე სახლთმფლობელობაში იმ წილის შეძენის კანონიერება, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ნ.ლ-ვას უპირატესი შესყიდვის უფლების არსებობა დააფუძნა. სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას მოქმედი კანონმდებლობით, გარიგების გაფორმებამდე ნოტარიუსი ვალდებული იყო, შესაბამისი წერილობითი მიმართვის მეშვეობით გარიგების დადებამდე 1 თვით ადრე გამოერკვია, უარს ამბობდნენ თუ არა ნასყიდობის საგნის უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირები აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე და, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად, დაედგინა გრ.ს-ვის დანაშთი ქონების რა ნაწილის მესაკუთრე იყო ლ.ს-ვა, რაც მოპასუხე ნოტარიუსს არ განუხორციელებია. სინამდვილეს არ შეესაბამება მოპასუხეთა მითითება, რომ მოსარჩელეებს ეცნობათ ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ და მათ უპირატესი შესყიდვის უფლებაზე უარი განაცხადეს, ვინაიდან აღნიშნული გარემოება სათანადოდ დადასტურებული არ არის. აქვე აღსანიშნავია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა მოსარჩელეთათვის ცნობილი გახდა ამავე მხარეებს შორის გამართულ სხვა სამოქალაქო დავის განხილვისას, 1995წ. 17 ნოემბერს და სარჩელი შეტანილ იქნა ხანდაზმულობის ვადის დაცვით. სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სსკ-ის მე-80 მუხლი და წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმულად დაუსაბუთებლად ჩათვალა. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა სსკ-ის 131-ე მუხლი და არ შეაფასა ნ.ლ-ვას წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო წესით დამოწმებული განცხადება, რომლითაც ლ. ს-ვა ადასტურებს, რომ მოსარჩელეებს შესთავაზა მისი წილის ყიდვა, რაზეც უარი მიიღო. აღნიშნულით მხარე აღაიარებს, რომ მოსარჩელეთა უპირატესი შესყიდვის უფლების შესახებ მისთვის ცნობილი იყო. მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია იგი განხილულ იქნეს მოქმედი საპროცესო და მატერიალური ნორმების საფუძველზე.

მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ.თბილისში, ... ქ.№45-ში მდებარე სახლთმფლობელობა წარმოადგენს 513 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საერთო 346,57 კვ.მ-ის მქონე ორსართულიან შენობას. 1993წ. 24 სექტემბერს ქ.თბილისის №18 სასაქონლო კანტორის მიერ გაიცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა და 1993წ. 29 იანვარს გარდაცვლილ გ. ს-ვის დანაშთ ქონებაზე ქ.თბილისში, ... ქ.№45-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წილზე მემკვიდრეებად ცნობილ იქნენ მეუღლე – ლ. ს-ვა და შვილები – ი. ს-ვი და ო. ს-შვილი. ტექტიურის მიერ 1994წ. 23 მაისს გაცემული ცნობის შესაბამისად, სადავო სახლს ჰყავს თანამესაკუთრები, მათ შორის, ი. ს-ვი, ო. ს-

შვილი, ლ. ს-ვა და ნ. ლ-ვა. საბინაო წიგნის მიხედვით, ნ.ლ-ვა სადავო სახლთმფლობელობის 1/6-ის თანამესაკუთრია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი საზედამხედველო საჩივრის საფუძვლები და მიაჩნია, რომ იგი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებულ უნდა იქნეს სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი კანონი, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს 1994წ. 22 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რის გამოც აღნიშნული დავა უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის საფუძველზე და საზედამხედველო საჩივრის ავტორის მოთხოვნა მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ ვერ იქნება გაზიარებული.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ლ. ს-ვამ ქ.თბილისში, ... ქ.№45-ში მდებარე სახლთმფლობელობის კუთვნილი წილი მიჰყიდა ნ. ლ-ვას, რითაც დაარღვია მოსარჩელეთა უპირატესი შესყიდვის უფლება.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მიხედვით, საერთო საკუთრების წილის გარეშე პირისათვის მიყიდვის შემთხვევაში საერთო წილადი საკუთრების სხვა მონაწილეებს აქვთ უპირატესი უფლება შეისყიდონ გასასხვისებელი წილი. საერთო წილადი საკუთრების წილის გამყიდველი მოვალეა წერილობით შეატყობინოს საერთო წილადი საკუთრების დანარჩენ მონაწილეებს თავისი წილის გარეშე პირისათვის მიყიდვის განზრახვა და თან აცნობოს გასაყიდი ფასი და ხელშეკრულების სხვა პირობები. თუ საერთო წილადი საკუთრების დანარჩენი მონაწილენი უარს იტყვიან ისარგებლონ შესყიდვის უპირატესი უფლებით ან არ განახორციელებენ ამ უფლებას ნაგებობის მიმართ ერთი თვის განმავლობაში, მაშინ გამყიდველს უფლება აქვს მიჰყიდოს თავისი წილი სხვა პირს. თუ წილი შესყიდვის უპირატესი უფლების დარღვევით გაიყიდა, საერთო წილადი საკუთრების ყოველ სხვა მონაწილეს უფლება აქვს სამი თვის განმავლობაში სასამართლო წესით მოითხოვოს მყიდველის უფლებების და მოვალეობების თავის თავზე გადმოტანა პირველად შეთავაზებული პირობებით. მითითებული ნორმა ადგენს, რომ საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის უპირატესი შესყიდვის უფლება გარეშე პირებთან შედარებით გააჩნია მის თანამესაკუთრეს, ხოლო ამ უფლების დარღვევისას აღნიშნული ნივთის წილის ყოველ მესაკუთრეს შეუძლია სამი თვის ვადაში მიმართოს სასამართლოს მყიდველის უფლება-მოვალეობათა მოსაპოვებლად, თუმცა კანონის დასახელებული დანაწესი უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევით დაღებული გარიგების ბათილად ცნობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხეთა მიერ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ნასყიდობის საგანზე მოსარჩელის უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევით გაფორმების შემთხვევაშიც აღნიშნული გასაჩივრებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი ვერ გახდება და წარმოდგენილი საზედამხედველო საჩივრის მოთხოვნა სამართლებრივად დაუსაბუთებელია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ სავსებით სწორად განმარტა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი, როდესაც მიიჩნია, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის თანამესაკუთრე საკუთარ წილს გაასხვისებს აღნიშნულ საგანზე საერთო საკუთრების უფლების არმქონე გარეშე პირზე. მოცემულ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონების წილის შემქმნი ნ. ლ-ვა ამავე სახლთმფლობელობის ერთ-ერთ თანამესაკუთრეს წარმოადგენდა და მისი აღნიშნული საერთო საკუთრების უფლება კანონით დადგენილი წესით არ გაუქმებულა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევის შედეგად გარიგების ბათილობას არც მოქმედი სამოქალაქო კოდექსი (516-519-ე მუხლები) არ ითვალისწინებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ო. ს-შვილისა და ი. ს-ვის საზედამხედველო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997წ. 8 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 9. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ს-946-1252-07

27 მარტი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 13 იანვარს ნ. დ-ქემ სარჩელით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე თ. გ-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხე თ. გ-ძის ან უფლებამოსილი პირების მიერ ქ. საჩხერეში, ... ქ. №14-ში მდებარე 37კვ.მ ნაკვეთზე ყველანაირი სამუშაოების ჩატარების აკრძალვა, ამასთან, მოპასუხის დავალდებულება, საკუთარი ხარჯებით მითითებულ მიწაზე წამოწყებული უკანონო ნაგებობის დემონტაჟის უზრუნველყოფა და უძრავი ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, 2001წ. 8 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლებით ფლობს ქ. საჩხერეში, ... ქ. №14-ში მდებარე 37კვ.მ მიწის ნაკვეთს. თ. გ-ქემ, მასთან შეუთანხმებლად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მიისაკუთრა და დაიწყო მის მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები, ამასთან, მოსარჩელისათვის უცნობი იყო, გააჩნდა თუ არა მას შესაბამისი ორგანოებიდან რაიმე ნებართვა აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის და ვისი მხარდაჭერით სარგებლობდა იგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. დ-ქემ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა მოპასუხისათვის, როგორც მისი საკუთრების ხელყოფისათვის, უკანონო ქმედების აღკვეთის დავალდებულება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველზე, რომ იგი ნაკვეთს ფლობს კანონიერად. 1990წ. 29 სექტემბერს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთი გამოეყო საჩხერის რაიკოოპერატივის, 2001წ. 5 თებერვალს კი დარეგისტრირდა რაიკოოპერატივის საკუთრებად. 1998წ. 18 იანვარს რაიკოოპერატივის ნებართვის საფუძველზე მას ნაკვეთზე მაღაზიის მშენებლობის ნება დაერთო. 2001წ. 18 იანვარს რაიკოოპერატივმა მასთან შეუთანხმებლად, მიწის ნაკვეთი მიჰყიდა ნ. დ-ქეს, რომელმაც 2001წ. 15 ივნისს აიღო საკადასტრო რუკა. მოპასუხემ აღნიშნა, რომ რაკი არ არსებობს მიწის აზომვის აქტი, გაუგებარია, თუ რომელი ნაკვეთი იყიდა მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ უკვე ააშენა ნაკვეთზე ნაგებობა და მისი დანგრევა დაუშვებლად მიიჩნია, რის გამოც მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2006წ. 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. გ-ძეს აეკრძალა ყველანაირი სამშენებლო სამუშაოების ჩატარება ქ.საჩხერეში, ... ქ. №14-ში მდებარე 37კვ.მ მიწის ფართობზე, მასვე დაევალა საკუთარი ხარჯებით ამ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის დემონტაჟის უზრუნველყოფა და მიწის ნაკვეთის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-ქემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.



აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და ბოლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ოქტომბრის განჩინებით, თ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი საფუძვლები:

ქ.საჩხერეში, ... ქ. №14-ში მდებარე მიწის ნაკვეთი ნ. დ-ძის საკუთრებაა და საჯარო რეესტრში აღრიცხულია მის სახელზე. თავად თ. გ-ძემაც სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაადასტურა ის ფაქტი, რომ მის მიერ აშენებული ნაგებობა სწორედ ნ. დ-ძის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზეა აშენებული.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მიწის ნაკვეთი ნ. დ-ძის საკუთრებად კანონდარღვევით აღრიცხა, ვინაიდან მან ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა საჯარო რეესტრში ნ. დ-ძის საკუთრებად სადავო უძრავი ქონების რეგისტრაციის უსწორობა.

აპელანტმა ასევე ვერ შეძლო წარმოედგინა მტკიცებულებები, რომლითაც ნ. დ-ძის არაკეთილსინდისიერება დადასტურდებოდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. დ-ძე სადავო ქონების მესაკუთრეა და მას მოთხოვნის უფლება გააჩნია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თ. გ-ძე სადავო ნაკვეთს მას შემდეგ დაუფლა, რაც საჩხერის რაიკოოპერატივმა მისცა თანხმობა მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე და საჩხერის ადგილობრივი მმართველობის გამგეობამ გამოუყო მიწის ნაკვეთი მალაზიის ასაშენებლად.

საქმეში არსებული მასალებისა და საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თ. გ-ძემ სადავო მიწის ნაკვეთი 1998 წელს მიიღო უსასყიდლო აღნაგობის უფლებით და, შესაბამისად, იმისათვის, რომ აპელანტს აღნაგობის უფლება წარმოშობოდა, საჭირო იყო ხელშეკრულება გაფორმებულიყო სანოტარო წესით და მომხდარიყო მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან აღნაგობის ხელშეკრულება დაიდო დადგენილი ფორმის დაუცველად და არ მოხდა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ეს ხელშეკრულება, სკ-ის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილი იყო მისი დადების მომენტიდან, შესაბამისად, აპელანტს მიწის ნაკვეთზე არც კანონისმიერი და არც სახელშეკრულებო უფლებები წარმოშობია და მას არც ნაკვეთის განაშენიანების უფლება ჰქონდა, ამიტომაც იგი ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელი არ არის, თუმცა პალატის აზრით, მიწის ნაკვეთის გამოყოფის ფაქტის მიმართ თ. გ-ძე კეთილსინდისიერია, შესაბამისად, პალატამ დაადგინა, რომ თ. გ-ძე სადავო მიწის ნაკვეთის არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელია.

სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებისა და საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ ზიანი, რომელიც სავარაუდოდ მიაღება აპელანტს ნაგებობის დანგრევით, გამოწვეულია ძირითადად მისივე ქმედებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი და გადაამეტა გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებს, რითაც დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ კანონდარღვევით, უსაფუძვლოდ უგულებელყო და არ გაიზიარა საქმის ობიექტური გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდებოდა საჯარო რეესტრში ნ. დ-ძის საკუთრებად უძრავი ქონების რეგისტრაციის უსწორობა.

ამასთან, კასატორის განმარტებით, განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა უზენაესი სასამართლოს კატეგორიული მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ უზენაესი სასამართლო არ იზიარებდა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რაიკოოპერატივსა და თ. გ-ძეს შორის დადებული იყო თუნდაც ფორმალური აღნაგობის ხელშეკრულება, საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლომ დაბეჯითებით დაასაბუთა, რომ მხარეთა შორის დადებული იყო აღნაგობის სანივთო გარიგება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები საკასაციო საჩივრის ფარგლებში და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უზრუნველყოფა ხდება საეინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით. მოთხოვნის დაკმაყოფილება სამი წინაპირობის არსებობისას არის შესაძლებელი: პირველი, უნდა არსებობდეს ნივთის მესაკუთრე, მეორე უნდა არსებობდეს ნივთის მფლობელი და მესამე, მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. საჩხერეში, ... ქ. №14-ში მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ნ. დ-ძის საკუთრებას. მითითებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება დადასტურებულია მოპასუხე ნ. დ-ძესა და საჩხერის რაიკოლოპერატივის შორის 2001წ. 8 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებითა და საჯარო რეესტრის ამონაწერით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდებოდა საჯარო რეესტრში ნ. დ-ძის საკუთრებად უძრავი ქონების რეგისტრაციის უსწორობა. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიებლის სახელზე იყო რეესტრში, რეგისტრირებული რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

დადგენილია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით საჩხერის რაიკოლოპერატივის სახელზე იყო რეგისტრირებული. მოსარჩელემ სადავო ფართობი შეიძინა 2001 წელს, ხოლო საჩხერის რაიკოლოპერატივის სახელზე რეგისტრაციის უზუსტობა დადგინდა 2007 წელს. ასევე დადგენილია, რომ ჩანაწერის უზუსტობა არ იყო ცნობილი შემძენისათვის. სადავო მიწის ნაკვეთი საჩხერის კოლოპერატივის საკუთრებად მიიღწა ასევე კასატორსაც. ამდენად, კასატორმა ვერ დაამტკიცა გარემოებები, რომლებიც შემძენის არაკეთილსინდისიერებას და რეგისტრაციის უზუსტობის ფაქტის ცოდნას დაადასტურებდა, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად და სადავო ქონების მესაკუთრეა ნ.დ-ძე.

დადგენილია, რომ საჩხერის რაიკოლოპერატივის თანხმობის საფუძველზე, საჩხერის გამგეობის 1998წ. 29 მაისის გადაწყვეტილებით თ.გ-ძეს მიეცა მშენებლობის ნებართვა სადავო 20 კვმ ფართზე. დადგენილია, რომ თ.გ-ძემ 1999 წელს გააკეთა მალაზიის საძირკველი, შემდეგ მშენებლობა შეწყდა. 2003 წელს აშენდა კედლები და ჩაიდგა რკინის კარი, ხოლო 2005 წელს მალაზია გადაიხურა. დადგენილია, რომ ნ. დ-ძის მიერ სადავო ნაკვეთის შეძენის დროს ნაკვეთზე ნაგებობა არ იდგა. მას შემდეგ, რაც თ.გ-ძემ სამშენებლო სამუშაოები გააგრძელა ნ.დ-ძემ მას მშენებლობის შეწყვეტა მოსთხოვა, ასევე რამდენჯერმე გააფრთხილა ქ.საჩხერის მთავარმა არქიტექტორმა, მიუხედავად ამისა, თ.გ-ძემ მშენებლობა მაინც გააგრძელა.

დადგენილია, რომ თ.გ-ძეს სადავო ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. მას სადავო მიწის ნაკვეთის სარგებლობისა და ფლობის უფლება არ წარმოშობია. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ მშენებლობის ნებართვა არ წარმოშობს უძრავ ნივთზე რაიმე უფლებებს. სანივთო უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების სანოტარო წესით დამოწმება და ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ.გ-ძე სადავო მიწის ნაკვეთს ფლობს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მესაკუთრე უფლებამოსილია, გამოითხოვოს თავისი ნივთი თ.გ-ძის მფლობელობიდან.

სერაზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

თ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ოქტომბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-918-1225-07

21 მაისი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის მოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

2004წ. 18 აპრილს გ. ჯ-ნმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა ო. ბ-ძის მიმართ და მოითხოვა ო. ბ-ძის დაგადასაქმებულება, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ქუთაისში, ... გამზირ №1<sup>ა</sup>-ში მდებარე გ. ჯ-იანის კუთვნილი №12 ავტოსადგომი და გამონთავისუფლებული ჩააბაროს გ. ჯ-ნს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004წ. 15 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-ნმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ჯ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004წ. 15 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჯ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, დაევა ო. ბ-ძეს, გამოათავისუფლოს ქ.ქუთაისში, ... გამზირ №1 ა-ში მდებარე ავტოსადგომი №123 და ჩააბაროს გ. ჯ-ნს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის ლენინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით №7 ავტოსადგომის კოოპერატივის გამოეყო მიწის ნაკვეთი ავტოსადგომის მშენებლობისათვის. კოოპერატივმა ავტოსადგომი ააშენა, ხოლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრების 1989წ. 15 იანვრის გადაწყვეტილებით №12-ე ავტოსადგომი მიეკუთვნა აპელანტ გ. ჯ-ნს. 2002წ. ივლისში სადავო გარაჟი ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაიკავა ო. ბ-ძემ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მიუღებლობის გამო გ. ჯ-ნმა სადავო გახადა ო. ბ-ძის მფლობელობა და მოითხოვა ავტოფარეხის დაბრუნება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ამავე საქმეზე მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005წ. 18 იანვრის განჩინებით სააპელაციო პალატას დაევა საჯარო რეესტრის მონაცემებით ნივთის მესაკუთრის დადგენა და იმის გარკვევა, რა სახის გარიგება დაიდო მხარეთა შორის, ნამდვილი უფლებით ფლობდა თუ არა გამსხვისებელი ამ უფლებას და შესაძლებელი იყო თუ არა მოდავე მხარეებს შორის სამართლებრივად ვარგისი ნასყიდობის ხელშეკრულების დადება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გ. ჯ-იანი გარაჟზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველად მიუთითებს №7 კოოპერატიული ავტოსადგომის საერთო კრების გადაწყვეტილებაზე, ვ. მ-ძე - გ. ჯ-ნთან 1990-იან წლებში დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, ხოლო ო. ბ-ძე კი - ვ. მ-ძესთან 2002წ. ივლისში დადებულ ხელშეკრულებას.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ სადავო გარაჟი საჯარო რეესტრში არავის საკუთრებად არის რეგისტრირებული და, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, არც ერთ მოდავე მხარეს მასზე საკუთრების უფლება არ გააჩნია.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო ისიც, რომ 2002წ. ივლისში ო. ბ-ძემ ვ. მ-ძესთან ზეპირი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა სადავო გარაჟი. პალატამ მიუთითა, რომ 2002წ. ივლისში ვ. მ-ძემ ო. ბ-ძეს, შესაბამისი სასყიდლით გადასცა სადავო გარაჟზე საკუთრების უფლება, არც გ. ჯ-იანი და არც ვ. მ-ძე სადავო გარაჟის მესაკუთრეები არ ყოფილან და, შესაბამისად, არარსებულ უფლებას ისინი ო. ბ-ძეს ვერ გადასცემდნენ.

პალატამ დადგენილად ცნო, რომ ო. ბ-ძეს გარაჟის ფლობის მართლზომიერი საფუძველები არ გააჩნია და არც გააჩნდა, ე.ი. იგი სადავო ნივთის მართლზომიერი მფლობელი არ არის.

პალატამ დაადგინა, რომ ქუთაისის ლენინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება და №7 ავტოსადგომის კოოპერატივის წევრთა საერთო კრების 1989წ. 15 იანვრის გადაწყვეტილება წარმოადგენს გარაჟის ფლობის სამართლებრივ საფუძველს, შესაბამისად, გ. ჯ-იანი სადავო ნივთს ფლობს ნამდვილი უფლების საფუძველზე და იგი მართლზომიერი მფლობელია.

პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის განმარტება იმის თაობაზე, რომ აპელანტმა სადავო ნივთის ფლობის უფლება დაკარგა იმიტომ, რომ გაასხვისა საცხოვრებელი ბინა, რადგან დადგენილად ცნო, რომ ... გამზირ №1<sup>ა</sup>/35-ში მდებარე ბინა ეკუთვნოდა ძელქვიანის მუნიციპალიტეტს, ხოლო სადავო ავტოსადგომი აშენებული იყო №7 ავტოსადგომის კოოპერატივის მიერ, ამიტომ საცხოვრებელ ბინასა და სადავო გარაჟს შორის სამართლებრივი კავშირი არ არსებობდა - ავტოსადგომი საბინაო საამშენებლო კოოპერატივს (ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას) არ ეკუთვნოდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ვ. მ-ის განმარტება იმის თაობაზე, რომ გ. ჯ-ნმა მას ავტოსადგომი მიჰყიდა 1990-იან წლებში.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ აპელანტი სადავო ნივთის მართლზომიერი მფლობელია, ხოლო ო. ბ-ძეს ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

სააპელაციო პალატამ განმარტა სკ-ის 160-ე მუხლი და მიუთითა, რომ, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ო. ბ-ძემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა შემდეგ გარემოებათა გამო: კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განსაზღვრა მფლობელობა ნივთზე, რითაც დაარღვია სკ-ის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 156-ე მუხლის მოთხოვნები. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად ცნო გ.ჯ-იანი 1989წ. 15 იანვრის №7 კოოპერატივის კრების ოქმის საფუძველზე ნივთის მესაკუთრედ. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა 1997წ. სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 208-ე მუხლის მოთხოვნები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ო. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქუთაისის ლენინის სახელობის დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით №7 ავტოსადგომის კოოპერატივს გამოეყო მიწის ნაკვეთი ავტოსადგომის მშენებლობისათვის. კოოპერატივმა ავტოსადგომი ააშენა, ხოლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრების 1989წ. 15 იანვრის გადაწყვეტილებით №12-ე ავტოსადგომი მიეკუთვნა გ. ჯ-ნს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ 2002წ. ივლისში სადავო გარაჟი ზებირი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაიკავა ო. ბ-ძემ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მიუღებლობის გამო, გ. ჯ-ნმა სადავო გახადა ო. ბ-ძის მფლობელობა და მოითხოვა ავტოფარეხის დაბრუნება.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად არასწორად სამართლებრივ-მატერიალური ნორმის გამოყენება ან განმარტება.

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი არ უთითებს საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც გამორიცხავენ გ. ჯ-იანის მიერ სადავო ავტოფარეხის ფლობის უფლებას, რაც უნდა

შეფასებინა და არ შეაფასა ან არასათანადოთ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ. ასევე საკასაციო საჩივრში არ არის აღნიშნული და მითითებული საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებებზე, რომლითაც დადგენილი იქნება ო. ბ-ძის მიერ სადავო ავტოფარეხის მართლზომიერი ფლობა.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საცხოვრებელი სახლის გასხვისება არ იწვევს ავტომატურად ავტოფარეხზე უფლების დაკარგვას. კონკრეტულ შემთხვევაში ავტოფარეხზე უფლება წარმოადგენს ცალკე დაცვის ობიექტს, რომელზედაც გავლენას არ ახდენს ბინის გასხვისება. აღნიშნულის გათვალისწინებით კასატორი ვერ ადასტურებს, არ უთითებს მტკიცებულებებზე, რომლითაც შესაძლებელია დადასტურებულიყო გ. ჯ-იანის მიერ გამოვლენილი ნება ავტოფარეხზე მფლობელობის გადაცემის შესახებ, კერძოდ, მფლობელობა ითვლება შეწყვეტილად, თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გ. ჯ-იანი წარმოადგენს ნივთის მართლზომიერ მფლობელს და, სკ-ის 160-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, შეუძლია მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უღევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ო. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ ას-988-1234-04

16 ივლისი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2003წ. 14 ნოემბერს კ. კ-ვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ნ. გ-შვილის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004წ. 3 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კ. კ-ვას უარი ეთქვა ნ. გ-შვილისა და ტ. ჯ-შვილისათვის

2400 ლარის გადახდის დაკისრებაზე, ხოლო მოპასუხეები მათთან მყოფ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნენ თბილისში, ... მდებარე, კ. კ-ვას სახელზე რიცხული №150 ბინიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება ბინიდან გამოსახლების ნაწილში გაასაჩივრა ნ. გ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004წ. 28 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005წ. 11 მარტის საოქმო განჩინებით, ი. კ-ვას შუამდგომლობის საფუძველზე, სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეუბნის შესაბამისად, ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერდა სხვა საქმის გადაწყვეტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 21 აპრილის განჩინებით განახლდა ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივრის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

ამ ნორმის თანახმად, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება აქვს მესაკუთრეს.

მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ სადავო ბინა აუქციონზე შეიძინა ნ. გ-შვილმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006წ. 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კ. კ-ვას სარჩელი იძულებითი აუქციონის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია, ასევე, საჯარო რეესტრის ამონაწერით უდავოდ დადგენილია, რომ თბილისში, ... მდებარე №150-ე ბინა საკუთრების უფლებით ირიცხება ნ. გ-შვილის სახელზე. ამდენად, დადგენილია, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს სადავო ბინის მესაკუთრეს, შესაბამისად, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მას არ გააჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004წ. 28 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

კ. კ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-428-670-08

14 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან უძრავი და მოძრავი ნივთების გამოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

2007წ. 12 ივნისს ვ. ლ-ქემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების გ. და ი. ლ-ქეების მიმართ და მოითხოვა მოპასუხეების გამოსახლება საცხოვრებელი სახლის მეორე სართულიდან, ასევე თავისი კუთვნილი ნივთების დაბრუნება.

მოსარჩელის განმარტებით, ქუთაისში, ... ქ.№28-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს მის საკუთრებას, ფაქტობრივად ცხოვრობს სახლის პირველ სართულზე, რომელიც საცხოვრებლად უვარგისია. მეორე სართული კი დაკავებული აქვთ მოპასუხეებს – თავის შვილს და რძალს. ვინაიდან გ. და ი. ლ-ქეებთან აქვს ცუდი ურთიერთობა, თავად ცხოვრობს გაუსაძლის პირობებში, ხოლო ბინა კი მისი საკუთრებაა, მოითხოვა მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან სახლის მეორე სართულის გამოთხოვა, ასევე მისი კუთვნილი მოძრავი ნივთების (ტანსაცმლის კარადა, მრგვალი გასაშლელი მაგიდა, 10 ცალი სკამი, 8 ცალი ბატარეა) დაბრუნება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძველით, რომ ქ. ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩაზე ჰქონდათ სახლი, რომელიც დაახლოებით 10 წელია გაყიდეს და შემდეგ ერთობლივად, ვ. ლ-ქესთან ერთად შეიძინეს სადავო ბინა, ამიტომ სახლი მათი საკუთრებაა, ხოლო მოძრავი ნივთები კი მოსარჩელეს არ ეკუთვნის, შესაბამისად, მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძველობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, გამოთხოვილ იქნა გ. და ი. ლ-ქეების უკანონო მფლობელობიდან ქ. ქუთაისში, ... ქ.№28-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, არ დაკმაყოფილდა ვ. ლ-ძის სარჩელი მოძრავი ნივთების გამოთხოვის ნაწილში.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ქუთაისში, ... ქ.№28-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ვ. ლ-ძის საკუთრებას, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ;

სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ვ. ლ-ქეს, როგორც სახლის მესაკუთრეს, უფლება ჰქონდა მფლობელისაგან მოეთხოვა ნივთის უკან დაბრუნება.

სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია ვ. ლ-ქე მოსარჩელის შვილი იყო, მაგრამ ეს გარემოება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ წარმოშობდა მფლობელობის უფლებას.

მოსარჩელის მოთხოვნა მოძრავი ნივთების დაბრუნების ნაწილში სასამართლომ არ დააკმაყოფილა, მტკიცებულებების არარსებობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონო მფლობელობიდან სახლის გამოთხოვის ნაწილში გაასაჩივრეს გ. და ი. ლ-ქეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე სახლის მესაკუთრეა და ამასთან, მოთხოვნა ხანდაზმულია.

ვ. ლ-ქემ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მოძრავი ნივთების დაბრუნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 11 მარტის გადაწყვეტილებით გ. და ი. ლ-ქეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. და ი. ლ-ქეების უკანონო მფლობელობიდან ქ. ქუთაისში, ... ქ.№28-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილიდან გამოსახლების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. ლ-ძის სარჩელი გ. და ი. ლ-ქეების უკანონო მფლობელობიდან საცხოვრებელი სახლის გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ვ. ლ-ძის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007წ. 13 სექტემბრის გადაწყვეტილება ნივთების დაბრუნებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ვ. ლ-ქე სადავო სახლის მესაკუთრე არ არის, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ შესძლო აღნიშნულის დასადასტურებლად რაიმე დოკუმენტის წარმოდგენა. სასამართლომ ასევე, უსაფუძველოდ მიიჩნია ვ. ლ-ძის მოთხოვნა მოძრავი ნივთების დაბრუნების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული, ვინაიდან სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, არ გამოიყენა ამავე კოდექსის 183-ე მუხლი. კასატორმა საკასაციო საჩივარს დაურთო ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის წერილი და სხვა მტიცებულებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ ვ. ლ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც გამოიწვია ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება.

მოცემულ საქმეზე დადგინდა არის ცნობილი, რომ ვ. ლ-მე სადავო სახლის მესაკუთრე არ არის. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების მიმართ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კასატორი ვერ მიუთითებს საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც არ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ და, რომლითაც დადასტურდებოდა ვ. ლ-მის საკუთრების უფლება სადავო სახლზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იგი სადავო სახლის მესაკუთრეა.

საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

ამ ნორმის თანახმად, სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უზრუნველყოფა ხდება ვინდუკაციური სარჩელის შეტანის გზით. მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ შემთხვევაში სამი წინა პირობის არსებობისას არის შესაძლებელი, კერძოდ, მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე, მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება ვ. ლ-მის საკუთრების უფლება სადავო სახლზე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა მოპასუხეთა გამოსახლების თაობაზე.

არ არსებობს ასევე ნივთების დაბრუნებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან კასატორი საკასაციო საჩივარში მოითხოვს მხოლოდ გადაწყვეტილების გაუქმებას და არ მიუთითებს თუ რაში გამოიხატება აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილების უსწორობა, საკასაციო საჩივარი არ ეფუძნება იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

კასატორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად ვერ მიიჩნევს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

მითითებული ნორმის მიხედვით, საკასაციო ინსტანციაში არ შეიძლება ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ასახულია საქმის მასალებში და ჩამოყალიბებულია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში.



სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 11 მარტის გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საქმიდან №ას-428-670-08 ამოღებულ იქნეს საქმის მასალები და დაუბრუნდეს კასატორს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 10. სამეზობლო სამართალი – დაშუქებული ხელყოფა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-740-956-08

10 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო ნაგებობის დემონტაჟი.

აღწერილობითი ნაწილი:

2004წ. 25 მაისს ნ., ა. და თ. ჩ-ძეებმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს ზ. ხ. ის, ლ. რ-იას, ფ. ი-ასა და თბილისის მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართეს.

მოსარჩელებმა განმარტეს, რომ 1946 წლიდან ცხოვრობენ ... ქუჩა №9-ში მდებარე სახლში. იმავე ეზოში იყო ორსართულიანი სახლი, რომელიც 1994-1995 წლებში ფ. ი-ას საკუთრებაში გადავიდა. მოპასუხეებმა აღნიშნული ორსართულიანი სახლი მთლიანად დაანგრიეს და მის ნაცვლად სამსართულიანი შენობა ააშენეს, რამაც მოსარჩელების კუთვნილი სახლის დეფორმირება გამოიწვია, გაჩნდა ბზარები, საძირკვლის ღრმად ამოთხრის გამო დაირღვა სახლის ფუნდამენტი, რამაც წყლის კომუნიკაციების დაზიანება და სახლის დანესტიანება გამოიწვია. გარდა ამისა, მოსარჩელების მტკიცებით, მოპასუხეებმა გადაკეთეს და მიითვისეს საერთო სარგებლობის ეზოს დიდი ნაწილი, მათი საძინებლის კუთხეში დაამონტაჟეს გაზის სისტემის მილი, რომელიც განუწყვეტლივ გუგუნებდა, არ იძლეოდა ძილის საშუალებას, ეზოში კი გაზის გამონაბოლქვი გროვდებოდა, ასევე მათი სახლის სახურავის მხარეს გამოჭრეს ორი ფანჯარა. მოსარჩელებმა, აგრეთვე, განმარტეს, რომ მათ მეზობლად, ... ქუჩა №9ბ-ში მდებარე ზ. ხ. ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება ფაქტობრივად ფ. ი-ასა და მის მეუღლე ლ. რ-იას ეკუთვნოდა. მათ მიერ ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად გადაკეთდა წყალკანალიზაციის გაყვანილობები, შეიცვალა ეზოს დაქანება,

ამოიჭრა ახალი ჭა, რამაც მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლი დაანესტიანა, ეზოში კი გროვდება მოპასუხეთა ეზოდან ჩამონადენი სიბინძურე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა საცხოვრებელი სახლის დაზიანება-დაზიანებისათვის და ცხოვრების გაუსაძლისი პირობების შექმნისათვის ზიანის ანაზღაურება, საერთო სარგებლობის ეზოში შესასვლელი ჭიშკრისა და მოპასუხეების მიერ დამონტაჟებული დანადგარების აღება, აგრეთვე სერვიტუტის გაუქმება და რეგისტრაციის ჩანაწერთა უსწორობის გასწორება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005წ. 25 ნოემბრის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოეყო საცხოვრებელი სახლის დაზიანება-დაზიანებისათვის, ცხოვრების გაუსაძლისი პირობების შექმნისათვის ზიანის ანაზღაურების, საერთო სარგებლობის ეზოში შესასვლელი ჭიშკრისა და მოპასუხეების მიერ დამონტაჟებული დანადგარების აღების შესახებ სასარჩელო მოთხოვნადა იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა განსახილველად.

2006წ. 28 მარტის განცხადებით მოსარჩელებმა უარი თქვეს ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე.

მოპასუხე ზ. ხ. მა სასამართლოს შესაგებელი წარუდგინა და აღნიშნა, რომ ფ. ი-ა და ლ. რ-ია არასათანადო მოპასუხეები იყვნენ, რადგანაც ... №9ბ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ერთადერთი მესაკუთრე თავად იყო, ამასთან მოსარჩელეთა მოთხოვნა მიწის ნაკვეთით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე იყო დაუსაბუთებელი, რადგანაც საქმეში არ მოიძებნებოდა შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხემ აგრეთვე განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა სახურავის მხარეს ამოშენებული ორი ფანჯრის გაუქმების შესახებ ასევე უსაფუძვლო იყო, რადგანაც ამ ადგილას დატანებული იყო ერთი და არა ორი ფანჯარა, ამასთან ეს ფანჯარა ჩ-ძეების სახლისაგან 5 მეტრზე მეტად იყო დაშორებული და შეწყველი კედლის სიღრმეში 1 მეტრით, ამდენად იგი არ ზღუდავდა მოსარჩელების მიერ თავინათი საკუთრებით სარგებლობას. რაც შეეხება საერთო სარგებლობის შესასვლელში არსებული ჭიშკრის მოხსნის მოთხოვნას, მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული ჭიშკარი მის მიწის ნაკვეთზე იყო აღმართული და კავშირი არ ჰქონდა მოსარჩელეთა საკუთრებასთან. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008წ. 23 იანვრის განჩინებით მოსარჩელეთა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ფ. ი-ასა და ლ. რ-იას მიმართ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008წ. 23 იანვრის გადაწყვეტილებით ნ., ა. და თ. ჩ-ძეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და მოსარჩელებმა ვერ წარადგინეს ხელშეშლის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

აღნიშნული გაადწყვეტილება ნ., ა. და თ. ჩ-ძეების წარმომადგენელმა დ. დ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა აღნიშნა, რომ სასამართლომ მცდარად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი, რადგანაც ამ მუხლის მიხედვით სამეზობლო თემის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ მეზობელს არ აქვს საშუალება საკუთარ მიწის ნაკვეთზე განათავსოს ესა თუ ის მოწყობილობა. აპელანტის აზრით, მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დაუშვებელი ხელყოფა, სასამართლომ კი, ეს მუხლი არ გამოიყენა, ამასთან საფუძველს მოკლებული იყო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელებმა ვერ წარმოადგინეს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ საძინებლის ახლოს განთავსებული გაზის მილები გამოსცემდა ხმაურს და ეზოში იდგა გაზის გამონაბოლქვის სუნი, რადგანაც მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ ამ მილების მათ ეზოში დამონტაჟებას, თანაც გაზის მილიდან რომ გამონაბოლქვის სუნი გამოვიდოდა, ეს თავისათავე ცხადი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008წ. 18 მაისის საოქმო განჩინებით, მიწის ნაკვეთითა და საცხოვრებელი სახლით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთის, ფანჯრის ღიობის გაუქმების, ეზოს ვერტიკალური დაგეგმარების, სანიაღვრე ჭის გაუქმების, აგრეთვე შენობის ნაწილის დემონტაჟის ნაწილში ნ., ა. და თ. ჩ-ძეების სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა, აპელანტების მიერ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებზე უარის თქმის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 4 ივნისის განჩინებით ნ., ა. და თ. ჩ-ძეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

ზ. ხ. ი თბილისში, ... ქ. №9ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა;

ნ., ა. და თ. ჩ-ძეების საერთო საკუთრებას წარმოადგენს ... ქ. №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;

მოსარჩელეთა და მოპასუხეთა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები ერთმანეთს ესაზღვრება; მოპასუხე ზ. ხ. ის საცხოვრებელი სახლის კედელზე, მოსარჩელეთა მხარეს, დამონტაჟებულია ნამწვავი აირების გამყვანი ორი მილი და გამათბობელი მილი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მტკიცება იმის შესახებ, რომ დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლი და მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა ვერ დაამტკიცეს, მოპასუხის ქონებიდან ზემოქმედების არსებობისა და ამ ზემოქმედების შედეგად მათი ინტერესების არებითი ხელყოფის ფაქტი.

რაც შეეხება ჭიშკრის ალების მოთხოვნას, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადვო ჭიშკარი მდებარეობს მხარეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მიჯნაზე და, მხარეთა შეთანხმებით, სადვო ჭიშკარი მოპასუხეებმა აღმართეს, ქიაჩელის ქუჩასთან დაკავშირების მიზნით. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ ვინაიდან აღნიშნული ჭიშკარი მხარეთა შეთანხმებით იქნა აღმართული, შესაბამისად, იგი ორივე მათგანის ინტერესებს ემსახურებოდა და ამდენად, მისი ალება ურთიერთშეთანხმებით უნდა მომხდარიყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ., ა. და თ. ჩ-ძეების წარმომადგენელმა დ. დ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორების მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლი, არასწორად განმარტა სსკ-ის 102-ე მუხლი და გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგანაც სადვო ურთიერთობას არ აწესრიგებს. კასატორების მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ ნამწვი აირების გამყვანი მილიდან გაზის ნამწვი და სუნი გამოვა, დამტკიცებას არ საჭიროებდა, გარდა ამისა, მოპასუხეებს საკმარისი ფართობი გააჩნდათ აღნიშნული მილების თავიანთ ეზოში დასამონტაჟებლად, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში თმენის ვალდებულება არ არსებობდა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლი, რადგანაც იგი ისეთ შემთხვევებს შეეხება, როცა სასაზღვრო ნაგებობით ორივე მხარე თანაბრად სარგებლობს, განსახილველ შემთხვევაში კი, სადვო ჭიშკრით მხოლოდ მოპასუხეები სარგებლობდნენ. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე და 174-ე მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მესაკუთრის უფლებას არ დაუშვას სხვა პირების მიერ თავისი საკუთრებით სარგებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008წ. 10 ნოემბრის განჩინებით, ნ., ა. და თ. ჩ-ძეების წარმომადგენელ დ. დ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ნ., ა. და თ. ჩ-ძეების წარმომადგენელ დ. დ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულედ ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ეზოდან დანადგარებისა და მილების ალება. მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ მოპასუხეების სახლის კედელზე მოსარჩელეთა მხარეს დამონტაჟებული დანადგარი მუშაობის პერიოდისათვის გამოსცემს ხმაურს და ხელს უშლის მათ ნორმალურ ყოფა-ცხოვრებას.

სადვო არ არის, რომ დანადგარები და მილები დღეს არსებული ფორმით გაკეთდა მოსარჩელეთა თანხმობით. ათიწ. განმავლობაში დანადგარების კანონიერება სადვო არ გამხდარა. ასეთ პრობლემაში

მოსარჩელეს უნდა გაეწია თავის მტკიცების ტვირთი და დაემტკიცებინა რომ მოპასუხის ეზოში არსებული დანადგარები დაუშვებლად ხელყოფენ მესაკუთრის ინტერესებს.

სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ მოპასუხის ეზოში არსებული დანადგარები დაუშვებლად ხელყოფენ მესაკუთრის ინტერესებს.

კასატორები ვერ მიუთითებენ ისეთ დარღვევაზე, რომელმაც გამოიწვია ფაქტობრივი გარემოებების არასწორი დადგენა. ისინი ვერ მიუთითებენ ვერც ერთ მტკიცებულებაზე, რომელიც მათ მიერ მითითებულ გარემოებებს ადასტურებენ, ასევე, ვერ მიუთითებენ საპროცესო დარღვევებზე, რის გამოც მათ ვერ განახორციელეს საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებული მტკიცების ტვირთი. სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლოატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული ნორმის განმარტებას, რომ „დაუშვებელ ხელყოფაში“ იგულისხმება ნაგებობის იმგვარი ექსპლოატაცია, რომელიც სამეზობლო ზემოქმედების თმენის ვალდებულების კანონით დადგენილ ფარგლებს სცილდება და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უსაფრთხოების დადგენილი წესებით დაცული არ არის.

დავის არსებობისას არსებითაა გაირკვეს ამ ქონებიდან გამოძინარე ზემოქმედება არსებობს თუ არა და რომ ამგვარი ზემოქმედება დაუშვებლად ხელყოფს მესაკუთრის ინტერესებს.

სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის სუნის, ჭვარტლის კვამლის, ხმაურის, სიბოხის, რყევების ან სხვა მსგავსი მოვლენების ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითაა, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომელიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა.

პალატა თვლის, რომ ასევე დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მოთხოვნა სასაზღვრო მიჯნის აღმართვის და ჭიშკრის აღების ნაწილში.

სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს მონაწილეობის მიღება მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში, ან უკვე არსებული, მაგრამ წაშლილი ან დაზიანებული მიჯნის აღდგენაში. გამიჯვნის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება, თუ ერთიერთშეთანხმებით ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შესაბამისად, მოთხოვნა იმისა, რომ მოპასუხემ გადააკეთოს უკვე არსებული სასაზღვრო მიჯნა და მისი ნაწილი ჭიშკარი, რომელიც თვით მოსარჩელეთა თანხმობით და მხარეთა ურთიერთშეთანხმებით იყო გაკეთებული, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

რაც შეეხება მოთხოვნას მიწის ნაკვეთითა და საცხოვრებელი სახლით სარგებლობაში ხელშემლის აღკვეთის, ფანჯრის ღიობის გაუქმების, ეზოს ვერტიკალური დაგეგმარების, სანიაღვრე ჭის გაუქმებისა და შენობის ნაწილის დემონტაჟის შესახებ, სააპელაციო პალატის 2008წ. 28 მაისის განჩინებით ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა აპელანტთა მოთხოვნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ., ა. და თ. ჩ-ძეების წარმომადგენელ დ. დ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 4 ივნისის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 11. მოთხოვნის მფლობელის თანხმობა ვალის გადაკისრებისას

განჩინება

№ ას-828-1143-07

14 მაისი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

დავის საგანი: საპენსიო და-იანების გადახდა.

აღწერილობითი ნაწილი:

ამ. ნ-ძემ, ლ. გ-ძემ, ვ. ა-ძემ, ბ. ჳ-შვილმა და სხვებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მიმართ და მოითხოვეს საპენსიო და-იანების ანაზღაურება იმ საფუძველზე, რომ წლების განმავლობაში მათი პენსიები ირიცხებოდა ნაძალადევის რაიონის შემნახველ ბანკში, 1995 წელს სახელმწიფო მეთაურის №71 ბრძანებულების საფუძველზე გაერთიანდნენ ბანკები და შეიქმნა სს გაერთიანებული ქართული ბანკი“, რის შემდეგაც პენსიების გაცემა დაიწყო ამ ბანკმა, კერძოდ კი, ნაძალადევის რაიონის №4 ფილიალმა. მოსარჩელეთა განმარტებით, 1996 წელს მათთან შეთანხმების გარეშე, სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლის დარღვევით, მოხდა ნაძალადევის რაიონის №4 ფილიალის გასხვისება შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოზე“.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ 1996 წლიდან 1999 წლამდე თავიანთ კუთვნილ პენსიებს იღებდნენ შპს კბ „ელდორადოდან“, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის 1999წ. 14 აპრილის №24 განკარგულების საფუძველზე აღნიშნულ ბანკს გაუუქმდა საბანკო ლიცენზია და მათ შეუწყდათ პენსიების გაცემა, რამაც გამოიწვია მათი სარჩელის აღძვრა.

მოსარჩელების განმარტებით, 1995წ. 21 მარტიდან საქართველოს შემნახველი ბანკის სამართალმემკვიდრედ ითვლება სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“, ამიტომ მას წარმოეშვა ვალდებულება, აანაზღაუროს მათი საპენსიო და-იანება, რაც შეადგენს 47.774 ლარს და 107.000 რუსულ რუბლს.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004წ. 26 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ არის არასათანადო მოპასუხე, ვინაიდან სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ და შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოს“ შორის 1996წ. 24 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს კბ „ელდორადომ“ იკისრა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ყველანაირი ვალდებულება და მოთხოვნის უფლება კლიენტებთან მიმართებაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 11 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004წ. 26 იანვრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ დაეკისრა მ. ყ-ელის სასარგებლოდ 364,43 ლარის, ე. ალიბეგაშვილის - 287,08 ლარის, ე. ც-ძის 70,78 ლარის, ლ. ბ-შვილის 354,31 ლარის, ა. ცც-ძის 344,25 ლარის, მ. დ-შვილის 349,49 ლარის, მ. შ.ის 182,21 ლარისა და ქ. ლ-ძის სასარგებლოდ 297 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006წ. 29 ივნისის განჩინებით ამ საქმეზე გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005წ. 11 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007წ. 13 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004წ. 26 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

ა. ნ-ძის, ბ. ჭ-შვილის, მ. ყ-ელის, ა. მ-ძის და სხვების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ დაარღვია სკ-ის მე-3 და 178-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ ისე, რომ საქმის განხილვისას არ დაადგინა იყო თუ არა არასათანადო მოპასუხე სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“, შპს კბ „ელდორადოს“ სალიკვიდაციოკომისია საქმეში ჩააბათანადო თანამოპასუხედ, მაშინ, როცა მოსარჩელებს სასარჩელო მოთხოვნა ამ უკანასკნელის მიუმართ არ წარმოუდგენიათ.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს 1996წ. 15 ოქტომბრის №2 დადგენილების საფუძველზე აღნიშნული ბანკის ნაძალადევის №4 ფილიალის გადაეცა შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოს“, ხოლო სს „გაერთიანებული ქართული ბანკსა“ და შპს კბ „ელდორადოს“ შორის 1996წ. 24 ოქტომბერს დადებული დამატებითი ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოს“ სრულად გადაეცა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ნაძალადევის №4 ფილიალის ყველა ვალდებულება და მოთხოვნის უფლება კლიენტებთან მიმართებაში ხელშეკრულების დადების მეორე დღიდან – 25 ოქტომბრიდან.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო ისიც, რომ შპს კბ „ელდორადოს“ საქართველოს ეროვნული ბანკის 1999წ. 14 აპრილის №24 განკარგულებით გააუქმდა საბანკო ლიცენზია და მის მიმართ დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო ისიც, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2006წ. 7 დეკემბრის №100 ბრზანებით სამეწამრეო რეესტრში შეტანილი ცვლილების თანახმად, სს გაერთიანებული ქართული ბანკის“ საფირმო სახელწოდება შეიცვალა და იგი ჩამოყალიბდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელები, როგორც სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ნაძალადევის №4 ფილიალის მენაბრეები და ამავე ფილიალში გახსნილ ანაბრებზე შეტანილი თანხები მოთხოვნის მფლობელები, დაეთანხმნენ სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკსა“ და შპს კბ „ელდორადოს“ შორის 1996წ. 24 ოქტომბერს დადებულ დამატებით ხელშეკრულებას, რომლის თანახმად შპს კბ „ელდორადოს“ სრულად გადაიკისრა სს „გაერთიანებული ბანკის“ ნაძალადევის №4 ფილიალის ყველა ვალდებულება და მოთხოვნის უფლება კლიენტებთან მიმართებაში ხელშეკრულების დადების მეორე დღიდან - 25 ოქტომბრიდან. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა შემდგომ თანხმობას (მოწონებას) აქვს უკუქვევითი ძალა ხსენებული გარიგების დადების მომენტიდან, ვინაიდან სხვა რამ დადგენილი არ არის.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სს „გაერთიანებული ქართულ ბანკსა“ და შპს კბ „ელდორადოს“ შორის 1996წ. 24 ოქტომბერს დადებული დამატებითი ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეთა მოთხოვნების მიმართ ვალდებული პირი და სათანადო მოპასუხე შპს კბ „ელდორადოს“, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მაგრამ, ვინაიდან მოსარჩელებს შპს კბ „ელდორადოს“ მიმართ სასარჩელო მოთხოვნა არ გააჩნიათ სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს მოსარჩელებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა - კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. ნ-ძის, ბ. ჭ-შვილის, მ. ყ-ელის, ა. მ-ძის და სხვების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, ძალაში უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13 ივლისის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ წინააღმდეგ და მოითხოვეს ანაბარზე რიცხული საპენსიო და-იანების ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ სსრკ-ის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკისა და საქართველოს რესპუბლიკის საპაიო კომერციული ბანკის – „ახალი ქართული ბანკის“ სამართალმემკვიდრედ 1995წ. 21 მარტიდან ითვლება სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ასევე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2006წ. 07 დეკემბრის №100 ბრძანებით სამეწარმეო რეესტრში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ს/ს „გაერთიანებული ქართული ბანკი-ს“ საფირმო სახელწოდება შეიცვალა და იგი ჩამოყალიბდა სს „ვეითი ბანკი ჯორჯიად“.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს 1996წ. 15 ოქტომბრის №2 დადგენილების საფუძველზე აღნიშნული ბანკის ნაძალადევის №4 ფილიალის გადაეცა შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოს“, ხოლო სს „გაერთიანებული ქართული ბანკისა“ და შპს კბ „ელდორადოს“ შორის 1996წ. 24 ოქტომბერს დადებული დამატებითი ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოს“ სრულად გადაეცა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ნაძალადევის №4 ფილიალის ყველა ვალდებულება და მოთხოვნის უფლება კლიენტებთან მიმართებაში ხელშეკრულების დადების მეორე დღიდან – 25 ოქტომბრიდან.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელეთა ერთმა ნაწილმა კერძოდ, ა. ნ-ძემ, ბ. გ-შვილმა, ა. მ-ძემ და სხვებმა 1996 წლიდან შპს კბ „ელდორადოში“ გახსნეს შემნახველი სალაროს წიგნაკები და გააგრძელეს პენსიების ჩარიცხვა და მიღება ამ ბანკიდან. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ დანარჩენმა მოსარჩელებმა 1996 წლიდან გააგრძელეს შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოში“ თანხების ჩარიცხვა და მიღება, რაც დადასტურებულად მიიჩნია შემნახველ წიგნაკებში 1996-1999 წლებში თანხების ჩარიცხვისა და მიღების შესახებ ჩანაწერებით. აღნიშნული გარემოებება სააპელაციო სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია შპს კბ „ელდორადოს“ მენაბრეებზე ბანკის ლიკვიდაციის პერიოდში თანხების გაცემის ქვითრებით (გასავლის ორდერებით).

საკასაციო საჩივარში კასატორები არ უთითებენ აღნიშნული ფაქტების გამოძიებაზე გარემოებებზე, კერძოდ კასატორები საკასაციო საჩივარში არ უარყოფენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მათ 1996 წლიდან გააგრძელეს შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოში“ თანხების ჩარიცხვა და მიღება.

ამდენად, სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელებს (კასატორების) აღძრული აქვთ პირველადი მოთხოვნები, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი ითხოვენ ანაბრებზე შეტანილი ფულადი სახსრების დაბრუნებას, რაც წესრიგდება უპირველეს ყოვლისა სკ-ის 874-ე და 875-ე მუხლებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელებს არა აქვთ აღძრული მეორადი მოთხოვნები, ანუ სს „გაერთიანებული ქართული ბანკისა“ და შპს კბ „ელდორადოს“ შორის 1996წ. 24 ოქტომბერს ვალდებულებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

მოსარჩელები (კასატორები) უთითებენ, მხოლოდ იმაზე, რომ აღნიშნული გარიგება არის უკანონო, რადგან სკ-ის 204-ე მუხლის თანახმად ვალის გადაკისრების აუცილებელი იყო მათი თანხმობა. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად „თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდნენ მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე.“

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმის დანაწესის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა, მაგრამ აღნიშნული კატეგორიის გარიგებები არ წარმოადგენენ უცილოდ ბათილ გარიგებებს. მისი ბათილად ცნობის ერთერთ სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს კრედიტორის შეცილება, რისთვისაც უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია (რომლის საწინააღმდეგო არ არის წარმოდგენილი საკასაციო საჩივარში), რომ მოსარჩელები (კასატორები) 1996 წლიდან აგრძელებდნენ შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოში“ თანხების ჩარიცხვასა და მიღებას. აღნიშნული მოქმედებები შეიძლება ჩაითვალოს კონკლუდენტურ მოქმედებად,

რადგანაც მოსარჩელებმა (კასატორებმა) თავისი მოქმედებებით დაადასტურეს შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოსთან“ არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორები არ უთითებენ შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოში“ თანხების ჩარიცხვასა და მიღებასთან დაკავშირებული თავიანთი ნების მართებულობაზე. ამდენად, კასატორების ამგვარი მოქმედებები ადასტურებენ შპს კომერციულ ბანკ „ელდორადოსთან“ არსებულ გარიგების ნამდვილობას.

სკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის აღძვრის დროისათვის სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ (სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“) აღარ წარმოადგენდა სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მხარეს, ანუ სარჩელის აღძვრის მომენტიდან ამ უკანასკნელს არ გააჩნდა მოსარჩელებთან გათვალისწინებული მატერიალურ-სამართლებრივი უფლება-ვალდებულებები. ხოლო სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სარჩელის აღძვრის მომენტიდან იყო შპს კომერციული ბანკი „ელდორადო“.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ, სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად სათანადო მოპასუხეს წარმოადგენს არა სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ (სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“), არამედ შპს კომერციულ ბანკ „ელდორადო“. ამასთან ერთად საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად უთხრა უარი მოსარჩელებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან მათ არ განაცხადეს თანხმობა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე.

სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ნ-ძის, ბ. ჭ-შვილის, მ. ყ-ელის, ა. მ-ძის და სხვების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 13 ივლისის გადაწყვეტილება; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## 12. გირავნობა

მოგირავნისა და დამგირავებლის უფლებები და მოვალეობები

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქართველოს სახელით

№ ას-42-327-08

13 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

დავის საგანი თავდაპირველ სარჩელში: ფაქტობრივად დამდგარი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

დავის საგანი თავდაპირველ სარჩელში: სესხის ძირითადი თანხისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005წ. 13 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა კ. ვ-მ სს „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ. სარჩელში აღნიშნა, რომ 2002წ. 30 მაისს მას და მოპასუხეს შორის დაიდო განახლებადი საკრედიტო ხელშეკრულება 163 343 აშშ დოლარზე, საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაიდო გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის ღირებულება განისაზღვრა 168 936 აშშ დოლარად.

საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, სესხისათვის გათვალისწინებული სარგებელი განისაზღვრა თვეში 1,677%-ით (წლიური 20%).

სს „ქართუ ბანკისაგან“ კრედიტით მიღებულ თანხას, თავის მხრივ, გასცემდა ასევე კრედიტის სახით, თვეში 5 % სარგებლის გადახდის პირობით, აღნიშნულ საქმიანობას იგი აწარმოებდა ინდ. მეწარმე „კ. ვ-მის“ სახელით, შესაბამისად, მისი მოგება ყოველთვიურად შეადგენდა საბრუნავი თანხის 3,33%-ს.

კლიენტების მიერ სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებულ ნივთებს (ძვირფასეულობას), თავის მხრივ, აგირავებდა სს „ქართუ ბანკში“. სს „ქართუ ბანკთან“ დადებული საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სესხის ძირითადი თანხა იცვლებოდა (იზრდებოდა ან მცირდებოდა) კ. ვ-მის მიერ დაგირავებული ნივთების ნაწილის გამოტანით კრედიტის შემცირებისაკენ და კვლავ შეტანით – კრედიტის გაზრდისაკენ. 2003წ. ივნისის მდგომარეობით კრედიტის თანხა გაიზარდა 214 500 აშშ დოლარამდე, რაც მოსარჩელის ბიზნესის ზრდას ადასტურებდა.

მოსარჩელის მითითებით, მას და სს „ქართუ ბანკს“ შორის ხელშეკრულება შეწყდა 2003წ. ივნისში სს „ქართუ ბანკის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კერძოდ, მოპასუხემ ვერ დაუბრუნა მოსარჩელეს დაგირავებული ძვირფასეულობის ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელემ მოითხოვა სესხის ძირითადი თანხის ნაწილის დაფარვის შედეგად გადმოსაცემად. აღმოჩნდა, რომ კ. ვ-მის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის ნაწილი სს „ქართუ ბანკმა“ დაკარგა.

ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან მოპასუხის, როგორც მოგირავნის, ვალდებულება მოსარჩელის, როგორც დამგირავებლის, წინაშე შეადგენდა 133 258,48 აშშ დოლარს, რაც გამოხატული იყო ძვირფასეულობის ნიშნის ქვეშ (26651,696 გრ). ამასთან, აღნიშნული არ წარმოადგენდა დაგირავებული ძვირფასეულობის რეალურ საბაზრო ღირებულებას. ბანკი ოქროს აფასებდა მის მიერ წინასწარ დადგენილი ტარიფით 1 გრამ 583 სინჯის ოქროს აფასებდა 5 აშშ დოლარად, მაშინ, როცა რეალური საბაზრო ღირებულებით 1 გრ ოქრო ღირდა 15 აშშ დოლარი.

მოსარჩელე კ.ვ-ქემ მოითხოვა მოპასუხისაგან ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანის – 399 775,44 აშშ დოლარის ანაზღაურება, რაც შეადგენს დაკარგული გირავნობის საგნის რეალურ საბაზრო ღირებულებას (26651,696 გრ ოქრო X 15 აშშ დოლარზე).

მოსარჩელე კ.ვ-ქემ ასევე მოითხოვა მოპასუხისაგან მიუღებელი შემოსავლის სახით 133 110 აშშ დოლარის ანაზღაურება, ვინაიდან ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, იგი მიიღებდა მოგებას თვეში საბრუნავი თანხის 3,33%-ს, ანუ 4437 აშშ დოლარს (133 258,48-ის 3,33%), რაც ხელშეკრულების დარღვევიდან 2003წ. ივნისიდან სარჩელის აღძვრამდე – 2005წ. 13 დეკემბრამდე შეადგენდა 133 110 აშშ დოლარს.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 53 288 აშშ დოლარის (სადავო თანხის 10%-ის) მოპასუხისათვის დაკისრება.

2006წ. 4 ივლისს მოპასუხე „ქართუ ბანკის“ მიერ აღძრულ იქნა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა 2002წ. 30 მაისს დადებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე კ. ვ-ძისათვის სესხის ძირითადი თანხის – 133 190 აშშ დოლარის, დარიცხული ჯარიმის – 477 210 აშშ დოლარის, სულ 610 400 აშშ დოლარის ანაზღაურება, ასევე მოითხოვა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის, დავის საგნის ღირებულების – 10%-ის ანაზღაურება.

მოსამზადებელ სტადიაზე მოპასუხე სს „ქართუ ბანკმა“ შეცვალა წარდგენილი შეგებებული სარჩელის საფუძველი, კერძოდ, დაზუსტებული შეგებებული სარჩელის თანახმად, სს „ქართულ ბანკმა“ მოითხოვა კ.ვ-ძისაგან სესხის ძირითადი თანხის – 133 190 აშშ დოლარის ანაზღაურება, ასევე ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის მინიმალური ზიანის სახით ვადის გადაცილებიდან 2003წ. ოქტომბრიდან (იმ დროიდან, როდესაც მოვალემ შეწყვიტა გადახდა) 2007წ. 1 ივნისამდე ერთდროულად 175 824 აშშ დოლარის ანაზღაურება (133 190-ის 3% ყოველთვიურად შეადგენს 3996 აშშ დოლარს) და 2007წ. 1 ივნისიდან ვალდებულების შესრულებამდე ყოველთვიურად 3996 აშშ დოლარის ანაზღაურება, გარდა ამისა, შეგებებული სარჩელით სს „ქართუ ბანკმა“ მოითხოვა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 12 360 აშშ დოლარის ანაზღაურება.

სს „ბანკმა ქართუმ“ შეგებებული სარჩელი დაასაბუთა იმით, რომ 2002წ. 30 მაისის ძირითად საკრედიტო ხელშეკრულებაში მხარეთა შორის 2003წ. 7 მარტს გაფორმებული დამატებითი შეთანხმების საფუძველზე შევიდა ცვლილება და საბოლოო კრედიტის თანხა განისაზღვრა 215 567 აშშ დოლარით, საიდანაც კ.ვ-ძის მიერ 2003წ. 1 ოქტომბრისათვის დაფარულ იქნა ნაწილი და სესხის ძირითადი თანხის და-იანებამ შეადგინა 133 190 აშშ დოლარი, რაც კ.ვ-ძეს დღემდე არ დაუბრუნებია.

სს „ქართუ ბანკის“ მიერ კ.ვ-ძეს 2003წ. 12 აგვისტოს წერილით მიეცა დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად. გაფრთხილების მიუხედავად, ვალდებულება არ შესრულდა.

სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი მოპასუხე სს „ქართუ ბანკმა“ დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ კ. ვ-ძეს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულ შესრულებამდე ვერ წარმოემობოდა მფლობელობითი გირავნობიდან გამომდინარე მოთხოვნა, მოთხოვნის უფლება მას წარმოემობოდა მხოლოდ გირავნობის გაუქმების შემდგომ. გირავნობის გაუქმება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ვალდებულების შესრულებით, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობდა გირავნობა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოპასუხის წარმომადგენლებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის ვალდებულება მოსარჩელის წინაშე შეადგენდა 133 258,48 აშშ დოლარის ოქროს, თუმცა გირავნობის საგნის დაბრუნების ვალდებულება მათ არ ეკისრებოდათ მოსარჩელის მხრიდან ძირითადი ვალდებულების შესრულებამდე. მოპასუხის წარმომადგენლებს ასევე სადავოდ არ გაუხდიათ, რომ, ხელშეკრულების თანახმად, დაგირავებული 1 გრ ოქრო შეფასებული იყო 5 აშშ დოლარად, გარდა ამისა, ისინი ასევე არ დავობდნენ სს „ქართუ ბანკში“ კ. ვ-ძის მიერ დაგირავებული ნივთების დაკარგვის თაობაზე, თუმცა მიუთითებდნენ, იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა ოქროს დაკარგვის თაობაზე, აღნიშნული არ ათავისუფლებდა მას თავისი ვალდებულების შესრულებისაგან. მოპასუხის წარმომადგენლებმა არ ცნეს სასარჩელო მოთხოვნა დაგირავებული ძვირფასეულობის ღირებულების ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან გირავნობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი და ამდენად, როდესაც მოსარჩელე კ.ვ-ქე დაფარავდა კრედიტს, ბანკი თავის ვალდებულებას შეასრულებდა იმავე გვაროვნული ნივთით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007წ. 25 ივნისის გადაწყვეტილებით კ. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სს „ბანკი ქართუს“ შეგებებული სარჩელი

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კ. ვ-ძეს სს „ბანკი ქართუს“ სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 133 190 აშშ დოლარის გადახდა, მასვე დაეკისრა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონისმიერი პროცენტის, ერთდროულად 73 254,5 აშშ დოლარისა და 2007წ. 1 ივნისიდან ვალდებულების სრულ შესრულებამდე თვეში 1664,90 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.06.2007წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ვ-ძემ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 14 ნოემბრის განჩინებით კ.ვ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.06.2007წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნები, მოსაზრებები და ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ:

მხარეთა შორის 2002წ. 30 მაისს დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც კ.ვ-ძემ სს „ბანკი ქართუსაგან“ კრედიტის სახით მიიღო 163 343 აშშ დოლარი ერთი თვის ვადით. კრედიტი უზრუნველყოფილ იქნა ძვირფასეულობით, რომლის ღირებულება 30.05.2002 წლის საგირავნო ხელშეკრულებით განისაზღვრა 168 938 აშშ დოლარით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე 1 გრ ოქრო შეფასებულ იქნა 5 აშშ დოლარად. პერიოდულად ხდებოდა ძირითადი საკრედიტო ხელშეკრულების განახლება, კერძოდ, ცვლილებები ეხებოდა სესხის თანხას, შესაბამისი ცვლილებები შედიოდა ასევე გირავნობის ხელშეკრულებაში. 2003წ. 6 ოქტომბრის მდგომარეობით სესხის ძირითადი თანხის ნაშთი შეადგენს 133 190 აშშ დოლარს. ამავე პერიოდისათვის გირავნობის საგნის ღირებულება შეადგენს 133 258 აშშ დოლარს (26651,696 გრ ოქრო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით, 1 გრ ოქროს ფასი 5 აშშ დოლარია).

2003წ. ივნისში სს „ბანკ ქართუსში“ გამოვლინდა კ. ვ-ძის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის დანაკლისი, ბანკში დაცულია მხოლოდ 7 788,78 აშშ დოლარის ღირებულების ნივთები.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულებამდე, მოსარჩელეს ვერ წარმოემოხა გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა – მათ შორის ზიანის ანაზღაურებაზე. კ. ვ-ძის მოთხოვნა გამომდინარეობს გირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომელიც, თავის მხრივ, არსებობს მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. გირავნობა თავისი ბუნებით აქცესორულია და ამ უფლების როგორც წარმოშობა, ისე შეწყვეტა, დამოკიდებულია მთავარ მოთხოვნასთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ გირავნობის გაუქმება დამოკიდებულია იმ ძირითადი მოთხოვნის შეწყვეტაზე, რომლის უზრუნველყოფის საშუალებასაც იგი წარმოადგენს. მთავარი მოთხოვნის გაუქმების შემდეგ დამგირავებელს წარმოემოხა დაგირავებული ნივთის მოთხოვნის უფლება, ხოლო მოგირავნეს – მისი დაბრუნების ვალდებულება.

საქმეში წარმოდგენილი კ.ვ-ძის საბანკო ანგარიშიდან ამონაწერით სასამართლომ დადასტურებულად ცნო, რომ სესხის ძირითადი თანხის ნაშთი შეადგენს 133 190 აშშ დოლარს. სს „ბანკი ქართუს“ სასარგებლოდ აღნიშნული თანხის გადახდა არ განხორციელებულა, შესაბამისად, ძირითადი ვალდებულებებითი ურთიერთობა კრედიტორი ბანკის სასარგებლო შესრულებით არ შეწყვეტილა, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მთავარი მოთხოვნის შეწყვეტამდე, სესხის თანხის გადახდამდე, გირავნობითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილების, მათ შორის, მოგირავნის მხრიდან მის მფლობელობაში არსებული ნივთების დაბრუნებისა თუ მათი სათანადოდ შენახვის ვალდებულების დარღვევის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შესახებ სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ სს „ბანკი ქართუს“ 13.10.2003წ. წერილი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბანკი უარს აცხადებდა მასთან ყველა სახის ოპერაციის განხორციელებაზე, მათ შორის, კრედიტის მიღებაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული წერილით კ.ვ-ძეს ეცნობა, რომ ბანკში დაგირავებული ძვირფასეულობა მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა გატანილ კრედიტს. აქედან გამომდინარე, ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება დაგირავებული ძვირფასეულობის გაცემულ კრედიტთან შესაბამისობაში მოყვანამდე და კრედიტზე დარიცხული პროცენტის გადახდამდე შეეჩერებინა მისთვის ყველა სახის ოპერაციები. აღნიშნული წერილი ვერ ადასტურებს ბანკის მიერ თანხის მიღებაზე უარის თქმას.

სასამართლომ ბანკის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად ასევე არ მიიჩნია საქმეში წარმოდგენილი 09.02.2005, 15.02.2005, 04.05.2005 და 11.08.2005 წლების წერილები, რომლითაც კ.ვ-მე ბანკისაგან ითხოვდა სესხის დაფარვის ნებართვასა და დარჩენილი ძვირფასეულობის გატანის უფლებას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ შესრულების ცნება გულისხმობს ვალდებულების შესასრულებელი მოქმედების შესრულების კონკრეტული შედეგის განხორციელებას, რაც შესაძლოა გამოხატულ იქნეს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით და არა მისი განხორციელების ზოგად მცდელობას. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, არ იქნა გაზიარებული აპელანტის მითითება, რომ ბანკს, როგორც ვადის გადამცილებელ კრედიტორს, სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღარ აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 153-ე, 268-ე, 271-ე, 316-ე და 317-ე მუხლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 14 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ვ-მე. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შემდეგი საფუძველებით:

უდავოდ დადგენილი გარემოებაა, რომ ძვირფასეულობის დაკარგვის გამო სს „ბანკმა ქართუმ“ დააკმაყოფილა კ. ვ-მის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე კრედიტის ძირითად თანხას არ დაერიცხებოდა შესაბამისი პროცენტები და საურავები, რაც დასტურდება სს „ბანკი ქართუს“ 27.08.2003წ. წერილით. ზემოხსენებული ასევე დადასტურდა დაზუსტებული შეგებებული სარჩელით, რითაც ბანკმა კიდევ ერთხელ განაცხადა უარი მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებაზე. დადგენილია ასევე, რომ ხელშეკრულების გაფორმების დროს ბანკის მიერ 585 სინჯის ოქრო შეფასებულ იქნა 5 აშშ დოლარად მაშინ, როდესაც მისი რეალური საბაზრო ღირებულება ბევრად უფრო მაღალი იყო. დღეის მდგომარეობით იმავე სინჯის ოქროს ფასი მერყეობს 15,5 აშშ დოლარიდან 22,5 აშშ დოლარამდე, რაც დასტურდება კავკასიის გემოლოგიური ცენტრის 10.04.2007წ №01-01-4 დასკვნით;

სასამართლოს მსჯელობა, რომ ბანკის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიღების ვადის გადაცილება არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი წერილებით, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ორმხრივი ვალდებულების მატარებელია, ბანკი უფლებამოსილია, მოითხოვოს კრედიტის სახით გაცემული თანხა, კ. ვ-მე ვალდებულია, დაფაროს აღნიშნული თანხა, მაგრამ, ამავე დროს უფლებამოსილია, მოითხოვოს ბანკიდან დაგირავებული ძვირფასეულობა. მხარეთა შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთჯერადი ხელშეკრულებით, პერიოდულად იღებოდა ახალი საკრედიტო და საგირავნო ხელშეკრულებები. ყოველი ცალკეული გირავნობის საგანი (კონკრეტული ოქროს ნაკეთობა) აღნიშნული იყო შესაბამისი კოდით, გვარით, წონითა და ბანკის მიერ შეფასების თანხით;

კ.ვ-მე აკეთებდა განაცხადს კონკრეტული ოქროს ნაკეთობის გატანის თაობაზე. მას შემდეგ, რაც ექსპერტ-შემფასებლის მიერ დგებოდა მიღება-ჩაბარების აქტი, მასვე გამოჰქონდა საცავიდან გირავნობის საგანი, რის შემდეგაც კრედიტ-ოფიცრისა და კლიენტებთან ურთიერთობის მომსახურების ხელმძღვანელის მიერ დგებოდა ახალი საკრედიტო-საგირავნო ხელშეკრულება და შესაბამისი სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერი. აღნიშნულის საფუძველზე, კ.ვ-მე ანგარისწორებას ახდენდა ბანკთან ფულის შეტანის ან გამოტანის სახით. კ. ვ-მე დაგირავებული ძვირფასეულობის ნაწილში წარმოდგენს კრედიტორს და ბანკი ვალდებული იყო, შესაბამისი განაცხადის გაკეთებისთანავე დაებრუნებინა განცხადებაში მითითებული გირაოს საგანი, სანაცვლოდ კ.ვ-მეს შეჰქონდა შესაბამისი თანხა;

მას შემდეგ, რაც ბანკში არ აღმოჩნდა კ.ვ-მის მიერ მოთხოვილი კონკრეტული სახის ძვირფასეულობა, ფაქტობრივად ბანკის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ამ დროს კ. ვ-მის მიერ ფულადი თანხის ნაწილის დაბრუნება ბანკისათვის აღმოჩნდა შეუძლებელი, რამეთუ ამ თანხის სანაცვლოდ დასაბრუნებელი ძვირფასეულობა არ აღმოჩნდა ბანკში და მეორეც ვ-მის მიერ თანხის შეტანა ფიზიკურად ვერ განხორციელდა მსგავსი ოპერაციებისათვის ბანკში დადგენილი პროცედურების გამო. ამდენად, თანხის დაბრუნებაზე ვალდებული პირი, კ. ვ-მე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვალდებულების დამრღვევ სუბიექტად, რამდენადაც თანხის მოთხოვნაზე

უფლებამოსილმა პირმა – „ბანკმა ქართუმ“ ფაქტობრივად გადააცილა შესაბამის ვადას. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ შემდგომში ორმხრივად შესასრულებელი ვალდებულებები შეუსრულებელი აღმოჩნდა. სსკ-ის 401-ე მუხლის თანახმად, ვადა გადაცილებულად ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კ. ვ-მე მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ბანკში გამოვლენილ დანაკლისამდე. ცალსახად დასტურდება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, რაც გამორიცხავს ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარე პროცენტის მიღების უფლებას (სსკ-ის 393-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი); 13.10.2007წ. ბანკის წერილი ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ბანკი უარს აცხადებდა კ. ვ-მესთან ყველა სახის ოპერაციის განხორციელებაზე – მათ შორის კრედიტის სახით გაცემული თანხის მიღებაზე;

კ. ვ-ძის მოთხოვნა, დაებრუნებინათ დაგირავებული ძვირფასეულობა, დღემდე არ შესრულებულა. რევიზიის შედეგად დადგენილ საცავეში არსებული ძვირფასეულობის პაკეტის დაბრუნების შემთხვევაში, იგი მზად იყო, გადაეხადა შესაბამისი ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით;

ბანკის ვალდებულება – დაებრუნებინა დაგირავებული ძვირფასეულობა, გამომდინარეობს სწორედ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან, რამდენადაც ბანკის მხრიდან ვალდებულება არ იქნა შესრულებული, კ. ვ-მეს წარმოეშვა ვალდებულების დარღვევის გამო; ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

სასამართლომ სსკ-ის 403-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე კ. ვ-მეს დააკისრა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტი ისე, რომ მან მხედველობაში არ მიიღო უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და არ გაითვალისწინა ბანკის მიერ ვადის დარღვევის ფაქტი.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მხრიდან აღიარებულია კ. ვ-ძის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის დაკარგვის ფაქტი, სასამართლომ დააკმაყოფილა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ძირითადი თანხისა და კანონისმიერი პროცენტის დაკისრების თაობაზე ისე, რომ იმავე გადაწყვეტილებაში არ იქნა გათვალისწინებული ბანკის ვალდებულება, დაუბრუნოს კ. ვ-მეს დაგირავებული ძვირფასეულობა. აღნიშნულით სასამართლომ უგულებელყო საპროცესო ეკონომიკის პრინციპი და ბანკი ჩააყენა უსაფუძვლოდ გამდიდრებული სუბიექტის რანგში, რადგან ამგვარი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, სს „ბანკი ქართუს“ უნდა დაუბრუნდეს გაცემული კრედიტის თანხა და იმავედროულად მასვე დარჩეს კრედიტის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძვირფასეულობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2002წ. 30 მაისს დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც კ. ვ-მემ სს „ბანკი ქართუსაგან“ კრედიტის სახით მიიღო 163 343 აშშ დოლარი ერთი თვის ვადით. კრედიტი უზრუნველყოფილ იქნა ძვირფასეულობით, რომლის ღირებულება 30.05.2002 წლის საგირავნო ხელშეკრულებით განისაზღვრა 168 938 აშშ დოლარით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე 1 გრ. ოქრო შეფასებული იქნა 5 აშშ დოლარად. პერიოდულად ხდებოდა ძირითადი საკრედიტო ხელშეკრულების განახლება, კერძოდ, ცვლილებები ეხებოდა სესხის თანხას, შესაბამისი ცვლილებები შედიოდა ასევე გირავნობის ხელშეკრულებაში. 2003წ. 6 ოქტომბრის მდგომარეობით სესხის ძირითადი თანხის ნაშთი შეადგენს 133 190 აშშ დოლარს. ამავე პერიოდისათვის გირავნობის საგნის ღირებულება შეადგენს 133 258 აშშ დოლარს (26651,696 გრ. ოქრო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით 1 გრ. 5 აშშ დოლარი).

დადგენილია, რომ სს „ქართუ ბანკისაგან“ კრედიტით მიღებულ თანხას კ. ვ-მე თავის მხრივ გასცემდა ასევე კრედიტის სახით, თვეში 5%-ის სარგებლის გადახდის პირობით, აღნიშნულ საქმიანობას იგი აწარმოებდა ინდ. მეწარმე „კ. ვ-ძის“ სახელით. კლიენტების მიერ სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებულ ნივთებს (ძვირფასეულობას) თავის მხრივ აგირავებდა სს „ქართუ ბანკში“. 2003წ.

ივნისში კ.ვ-მემ დაფარა ერთ-ერთი კლიენტის ვალი, მაგრამ მოპასუხემ ვერ დაუბრუნა მოსარჩელეს ამ კლიენტის კუთვნილი ნივთი. აღმოჩნდა, რომ კ.ვ-მის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის ნაწილი სს „ქართუ ბანკში“ იყო დაკარგული. კ.ვ-მის მოთხოვნის მიუხედავად, ბანკმა უარი განაცხადა აღნიშნული ნივთის დაბრუნებაზე (ს.ფ.38-41).

ასევე დადგენილია, რომ კ. ვ-მის განცხადების საფუძველზე 2003წ. 17 ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სს „ბანკი ქართუს“ თანამშრომელთა მიერ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და გაფლანგვის, ორგანიზაციაში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, კ. ვ-მე ცნობილ იქნა დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ. ამ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ბანკის მიერ დარღვეულია კლიენტთა სალომბარდო მომსახურების წესები (ს.ფ.79-80).

მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მხარეები სადავოდ არ ზდიან. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, სასამართლომ დააკმაყოფილა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ისე, რომ იმავე გადაწყვეტილებაში არ იქნა გათვალისწინებული ბანკის ვალდებულება, დაუბრუნოს კ.ვ-მეს დაგირავებული ძვირფასეულობა. აღნიშნულით სასამართლომ უგულვებელყო საპროცესო ეკონომიის პრინციპი და ბანკი ჩააყენა უსაფუძვლოდ გამდიდრებული სუბიექტის რანგში, შესაბამისად, მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება იმაშია, რომ ისინი გარანტირებულს ზდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართულებით ხასიათდებიან. ისინი მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთულნი და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამდენად, გირავნობის ურთიერთობის მთავარი მიზანი არის მოგირავნემ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. გირავნობა არ წარმოშობს ნივთზე უფლებას, მისი მესაკუთრე რჩება დამგირავებელი, მოგირავნის უფლება დაკავშირებულია არა ნივთთან, არამედ მის ღირებულებასთან.

სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოგირავნე ვალდებულია სათანადოდ შეინახოს გადაცემული საგანი. აღნიშნული ვალდებულება მოგირავნემ უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად. კეთილსინდისიერად მოქმედება სავალდებულოა ვალდებულებითი ურთიერთობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერი მხარისათვის. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. გადაცემული საგნის სათანადოდ შენახვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოგირავნე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი მდგომარეობა. ამდენად, ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს, რომლის ძალითაც დაზარალებულს, როგორც კრედიტორს, უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან. სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კ.ვ-მის მიერ სს „ქართუ ბანკში“ დაგირავებული ძვირფასეულობა დაკარგულია. ვინაიდან, ნივთის დაკარგვის შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, მოგირავნის პასუხისმგებლობა განისაზღვრება რეალური ზიანით – ნივთის ღირებულებით, მიუხედავად იმისა რა თანხით შეფასდა გირავნობის საგანი მოგირავნისათვის გადაცემის დროს.

დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბანკის მიერ კლიენტთა სალომბარდო მომსახურების წესების დარღვევის შედეგად, 2003წ. ივნისში დადასტურდა სს „ბანკი ქართუში“ მოსარჩელე კ.ვ-ძის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის დანაკლისი, ასევე, დადგენილია, რომ კ.ვ-ძემ არაერთხელ მიმართა ბანკს (09.02.2005წ., 15.02.2005წ., 04.05.2005წ. და 11.08.2005წ. წერილებით) და მოითხოვა ნებართვა სესხის დაფარვის განხორციელებაზე და ბანკში დაცული ძვირფასეულობის გატანაზე. აღნიშნულის პასუხად, ბანკი უარს აცხადებდა როგორც ოქროს დაბრუნებაზე, ასევე ანგარიშსწორებაზე, ხოლო 13.10.2003წ. წერილით კი კ.ვ-ძეს ეცნობა, რომ ბანკში დაგირავებული ძვირფასეულობა მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა გატანილ კრედიტს. აქედან გამომდინარე, ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება დაგირავებული ძვირფასეულობის გაცემულ კრედიტთან შესაბამისობაში მოყვანამდე და კრედიტზე დარიცხული პროცენტის გადახდამდე შეეჩერებინა მისთვის ყველა სახის ოპერაციები.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ბანკი არ იყო უფლებამოსილი, კ.ვ-ძისაგან მოეთხოვა დაგირავებული ძვირფასეულობის გაცემულ კრედიტთან შესაბამისობაში მოყვანა, ვინაიდან კანონი გირავნობის საგნის შეცვლას ან აღდგენას ითვალისწინებს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამგირავებელი სესხის ან სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად იყენებს მალფუჭებად ან მსგავს საქონელს (სკ-ის 261-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში დაგირავებული იყო არა მალფუჭებადი საქონელი, არამედ გირავნობის საგანს წარმოადგენდა ძვირფასეულობა. ამასთან, გირავნობის საგანი დაიკარგა მოპასუხის მიერ სალომბარდო წესების დარღვევის შედეგად, შესაბამისად, ბანკი არ იყო უფლებამოსილი, კ.ვ-ძისაგან მოეთხოვა დაგირავებული ძვირფასეულობის გაცემულ კრედიტთან შესაბამისობაში მოყვანა. მოგირავნის მიერ ნივთის შენახვის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამგირავებელი თავისუფლდება გირავნობის საგნის შეცვლის ან უზრუნველყოფის სხვა საშუალების შეთავაზებისაგან და, თავის მხრივ, შეუძლია მოითხოვოს დაკარგული ან დაზიანებული ნივთის ფულადი კომპენსაცია და ამ თანხის შესაბამისად თავისი ვალდებულების გაქვითვა. მოგირავნემაც დამგირავებლისათვის ზიანის ანაზღაურების საფუძველზე უნდა მოახდინოს ურთიერთჩათვლა, მაგრამ აღნიშნულის საპირისპიროდ ბანკი უარს აცხადებდა მოსარჩელესთან ყველა სახის ოპერაციის განხორციელებაზე.

სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი მოპასუხე სს „ქართუ ბანკმა“ დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ კ. ვ-ძეს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულ შესრულებამდე ვერ წარმოემობოდა მფლობელობითი გირავნობიდან გამომდინარე მოთხოვნა, მოთხოვნის უფლება მას წარმოემობოდა მხოლოდ გირავნობის გაუქმების შემდგომ. გირავნობის გაუქმება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ვალდებულების შესრულებით, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობდა გირავნობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს, ვინაიდან ბანკის მფლობელობაში აღარ არის გირავნობის საგანი, შესაბამისად, კ. ვ-ძის მოთხოვნა არ არის მფლობელობითი გირავნობიდან გამომდინარე მოთხოვნა, მოსარჩელეს არ მოუთხოვია გირავნობის საგნის დაბრუნება, არამედ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოპასუხის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან დაგირავებული ძვირფასეულობა გვაროვნული ნივთია, მხოლოდ კ.ვ-ძის მიერ ვალის დაბრუნების შემდეგ, შეიძენენ ძვირფასეულობას და დაუბრუნებენ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ცალკეული გირავნობის საგანი ინდივიდუალიზებული იყო კოდით, გვარით, წონითა და შეფასების თანხით, შესაბამისად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია და მოსარჩელეს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, უნდა მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ ურთიერთმოთხოვნა, სახეზეა როგორც მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების, ასევე კრედიტის დაბრუნების თაობაზე.

სსკ-ის 189-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლომ უნდა გამოიტანოს ერთობლივი გადაწყვეტილება.

უდავოდ დადგენილი ფაქტია, რომ სესხის ძირითადი თანხის ნაშთი შეადგენს 133 190 აშშ დოლარს. ასევე დადგენილია, რომ სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძვირფასეულობის (26651,696 გრ. ოქრო) საბაზრო ღირებულება შეადგენს 399 775 აშშ დოლარს (1გრ-15 აშშ დოლარი). საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა უნდა შეწყდეს გაქვითვით, კ. ვ-ძეს გადახდილად უნდა ჩაეთვალოს 133 190 აშშ დოლარი და სს „ბანკი ქართუს“ კ. ვ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 266 585 (399 775 – 133 190) აშშ დოლარის გადახდა; რაც შეეხება კ. ვ-ძის მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში, არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, მოსარჩელემ აღნიშნული მოთხოვნა ვერ დადასტურა სათანადო მტკიცებულებებით, ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს სს „ბანკი ქართუს“ მოთხოვნა კ.ვ-ძისათვის

ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონისმიერი პროცენტის დაკისრების ნაწილში.

სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის თანახმად, ვადაგადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ვადის გადაცილება ბრალეული მოქმედების შემთხვევაში ხდება. ვადაგადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი მოვალე ბრალის გარეშე ვერ ასრულებს ვალდებულებას საზოგადო ან მის პიროვნებასთან, ანდა კრედიტორის მოქმედებასთან დაკავშირებული მიზეზებით.

დადგენილია, რომ ბანკის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება გადაცემული საგნის სათანადოდ შენახვის თაობაზე, რის გამოც კ. ვ-ძე აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში (ვინაიდან, ბანკი კლიენტებს ვერ უბრუნებდა გირავნობის საგანს, კ. ვ-ძე თვითონ ახდენდა კლიენტებთან ანგარიშსწორებას), შესაბამისად, თავისი ბრალის გარეშე ვერ ასრულებდა ვალდებულებას ბანკის წინაშე. ამდენად, ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო კრედიტორის მოქმედებასთან დაკავშირებული მიზეზებით. ამასთან, გირავნობა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა და მთლიანად შესრულების ფუნქციით არის დატვირთული. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, კრედიტორი (მოგირავენ) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. ვინაიდან, ბანკის მფლობელობაში აღარ იყო გირავნობის საგანი და თავის მოთხოვნას ვერ დაიკმაყოფილებდა გირავნობის საგნის რეალიზაციის გზით, ბანკს კ. ვ-ძისათვის ზიანის ანაზღაურების საფუძველზე უნდა მოეხდინა ურთიერთხათვლა. აქედან გამომდინარე, ბანკი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს დამგირავებლისაგან რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის სარგებელი.

სერაზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

კ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 14 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

კ. ვ-ძისა და სს „ბანკი ქართუს“ სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

კ. ვ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს 399 775 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში;

სს „ბანკი ქართუს“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს 133 190 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში;

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით კ. ვ-ძეს გადახდილად ჩაეთვალოს 133 190 აშშ დოლარი და საბოლოოდ სს „ბანკი ქართუს“ კ. ვ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 266 585 (399 775 – 133 190) აშშ დოლარის გადახდა;

დანარჩენ ნაწილში სარჩელი და შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 13. იპოთეკა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-803-1123-07

23 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი



დავის საგანი: მ. ი-შვილის სახელზე გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახის კანონით მემკვიდრეობის მოწმობისა და საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმება.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-შვილი და მ. ი-შვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1982წ. ოქტომბრიდან. მათ შეეძინათ ორი შვილი, 1991წ. 13 ნოემბერს – გ. გ-შვილი, ხოლო 1993წ. 15 თებერვალს კი-ქ. გ-შვილი.

1998წ. აპრილში გ. გ-შვილი გარდაიცვალა.

მ. ი-შვილი ცნობილ იქნა მემკვიდრედ ნოტარიუსის მიერ 1998წ. 30 სექტემბერს გაცემული კანონით მემკვიდრეობის უფლების მოწმობით გ. გ-შვილის დანაშთ ქონებაზე, კერძოდ, გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე. მის სახელზე გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა იმის თაობაზე, რომ მ. ი-შვილს ეკუთვნოდა მეუღლესთან ერთად შეძენილი ქონების 1/2.

გ. გ-შვილის მშობლებმა – ვ. და ქ. გ-შვილებმა 1999წ. მარტში სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე მ. ი-შვილის მიმართ და აღნიშნეს, რომ მათი ოჯახი დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო მარხაანის საკრებულოში აღრიცხულია საკოლმეურნეო კომლად. კომლის წევრი იყო ასევე გ. გ-შვილი, ამიტომ გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა კომლის საერთო საკუთრებას, რის გამოც მოსარჩელებმა მოითხოვეს მ. ი-შვილის სახელზე გაცემული საკუთრების უფლებისა და მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაუქმება. მოპასუხემ სარჩელი ცნო.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილებით ქ. და ვ. გ-შვილების სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა დედოფლისწყაროს ნოტარიუსი ლ. გ-ურის 1998წ. 30 სექტემბერს №1-184 რეესტრით გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე, გაუქმდა დედოფლისწყაროს ნოტარიუსი ლ. გ-ურის მიერ 1998წ. 30 სექტემბერს №1-183- რეესტრით მოპასუხე მ. ი-შვილის სახელზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა 1998წ. 23 აპრილს გარდაცვლილი გ. გ-შვილის დანაშთ ქონებაზე (გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე).

დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს 2000წ. თებერვალში განცხადებით მიმართა ა. ა-ძემ და მიუთითა, რომ მ. ი-შვილმა 1998წ. 8 ოქტომბერს მისგან ისესხა 40000 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მის სახელზე გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლი. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მის სასარგებლოდ მ. ი-შვილს დაეკისრა 40000 აშშ დოლარის გადახდა, ამიტომ ა. ა-ძემ მოითხოვა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. მან ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა ის, რომ გარდაბნის რაიონის სოფ. ... კოლმეურნეობა არ ყოფილა, ამასთან, გ. გ-შვილი მუშაობდა და 1980 წლიდან ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... №3-ში, ამიტომ იგი ვერ იქნებოდა და არც ყოფილა კოლმეურნეობის წევრი.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2001წ. 8 მაისის განჩინებით ა. ა-ძის განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დაინიშნა ზეპირი სხდომა. ამავე სასამართლოს 2001წ. 22 მაისის განჩინებით გაუქმდა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილება - ვ. გ-შვილისა და ქ. გ-შვილის სარჩელის გამო მ. ი-შვილისა და დედოფლისწყაროს ნოტარიუს ლ. გ-ურის მიმართ სანოტარო მოქმედების გაუქმების შესახებ. სსკ-ის 431-ე მუხლის შესაბამისად, საქმე თავიდან იქნა განხილული, განხილვის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. დავის განხილვაში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაება ა. ა-ძე, მან მოითხოვა გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის აღრიცხვა მ. ი-შვილის სახელზე და სესხის, დაფარვის მიზნით, სახლის აუქციონის წესით რეალიზაცია.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002წ. 12 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. და ქ. გ-შვილების სარჩელი დედოფლისწყაროს რაიონის ნოტარიუსის მიერ 1998წ. 30 სექტემბერს მ. ი-შვილის სახელზე გაცემული გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლებისა და კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობათა გაუქმებისა და საცხოვრებელი სახლის კომლის საერთო საკუთრებაში დატოვების შესახებ უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ი-შვილის სახელზე აღრიცხვისა და გადაწყვეტილების

კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სესხის დაფარვის მიზნით, მისი აუქციონის წესით რეალიზაციის თაობაზე.

ვ. და ქ. გ-შვილებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რაიონული სასამართლოს 2002წ. 12 აპრილის გადაწყვეტილება, ასევე ამავე სასამართლოს 2001წ. 8 მაისისა და 22 მაისის განჩინებები.

რაიონული სასამართლოს 2002წ. 12 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ი-შვილმაც, რომელმაც ასევე მოითხოვა იმავე სასამართლოს 2001წ. 22 მაისის და 22 ოქტომბრის განჩინებების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 23 მაისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. და ქ. გ-შვილების, მ. ი-შვილის სააპელაციო საჩივრები, უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2001წ. 22 მაისის განჩინება.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002წ. 12 აპრილის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ვ. და ქ. გ-შვილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დარჩა უცვლელი.

გაუქმდა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002წ. 12 აპრილის გადაწყვეტილების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები და ა. ა-ძის დამოუკიდებელი სარჩელი განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006წ. 14 ივნისის განჩინებით ქ. და ვ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ა. ა-ძის შეგებებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 23 მაისის განჩინება ა. ა-ძის დამოუკიდებელი სარჩელის ხელახალი განხილვისათვის დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოსათვის დაბრუნების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, დანარჩენ ნაწილში სააპელაციო პალატის განჩინება დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 25 მაისის გადაწყვეტილებით მ. ი-შვილის, ვ. და ქ. გ-შვილების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ამ საქმეზე დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002წ. 12 აპრილის გადაწყვეტილება ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების, ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურებისათვის შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის დავალებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილების მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები) გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მ. ი-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლი; ა. ა-ძის სასარგებლოდ მერინა ი-შვილის სახელზე სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დაკისრებული თანხის - 40 000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარის გადასახდელად განხორციელდა მისი აუქციონზე რეალიზაცია, დაევალა საჯარო რეესტრის ტეროტორიულ სააგენტო სამსახურს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მ. ი-შვილს ა. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 40000 აშშ დოლარის გადახდა. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილებას, რითაც გაუქმდა ნოტარიუსის მიერ 1998წ. 30 სექტემბერს მ. ი-შვილის სახელზე გაცემული გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე კანონისმიერი მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლების მოწმობები, საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ვ. გ-შვილი იყო კომლის წევრი და სახლი კომლის წევრთა მიერ საერთო სახსრებით იქნა აშენებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო სახლი წარმოადგენდა კომლის საერთო საკუთრებას და იგი არ განეკუთვნებოდა ვ. გ-შვილის სამკვიდრო ქონებას.

ა. ა-ძემ დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა იმის გამო, რომ გარდაბნის რაიონის სოფ. ... არ არსებობდა კოლმეურნეობა 1980 წლიდან. მან ასევე მიუთითა, რომ ვ. გ-შვილი 1980 წლიდან

ცხოვრობდა თბილისში, ... ქ. №3-ში, ამიტომ იგი ვერ იქნებოდა და არც ყოფილა კოლმეურნეობის წევრი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა დედოფლისწყაროს ნოტარიუსის - ლ. გ. ურის მიერ მარინე ი-შვილის სახელზე 1998წ. 30 სექტემბერს, №1-184 რეესტრით გაცემული საკუთრების უფლებისა და 1998წ. 30 სექტემბერს, №1-183 რეესტრით გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობები, ა. ა-ძის განცხადების საფუძველზე გაუქმდა. საქმის წარმოების განახლების შემდეგ მიღებული დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002წ. 12 აპრილის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ვ. და ქ. გ-შვილების სარჩელი დედოფლისწყაროს ნოტარიუსის მიერ 1998წ. 30 სექტემბერს მ. ი-შვილის სახელზე გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლზე გაცემული საკუთრების უფლებისა და კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობათა გაუქმებისა და სახლის კომლის საერთო საკუთრებაში დატოვების შესახებ კანონიერ ძალაშია შესული.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ამჟამად დავის განხილვის დროს არსებობს დედოფლისწყაროს ნოტარიუსის მიერ 1998წ. 30 სექტემბერს მარინე ი-შვილის სახელზე გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე გაცემული საკუთრების უფლებისა და კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობები, ასევე ძალაში შესული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილება ა. ა-ძის სასარგებლოდ მ. ი-შვილისათვის 40 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, ასევე რომ მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება დაიდო 1998წ. 8 ოქტომბერს და სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის - 40 000 აშშ დოლარის მსესხებლისათვის დაბრუნების ვადად განისზღვრა ექვსი თვე, ე.ი. 1998წ. 8 აპრილამდე მ. ი-შვილს აღნიშნული თანხა უნდა დაებრუნებინა ა. ა-ძისათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხა მსესხებლისათვის დაბრუნებული არ არის, ცხადია მოვალის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოყენებული იპოთეკა, გაჭიანურებულია წლების მანძილზე და, შესაბამისად, სკ-ის მე-300 მუხლის მიხედვით, იპოთეკარის, ა. ა-ძის სარჩელი, იპოთეკით დატვირთული ქონების, კერძოდ, გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, საფუძლიანია.

ვ. და ქ. გ-შვილებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე და მოითხოვეს მისი გაუქმება. მათი საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სააპელაციო პალატამ, მართალია, საქმეში მხარედ ჩააბა გ. გ-შვილების შვილები - ქ. და გ. გ-შვილები, რომლებსაც გარკვეული უფლებები გააჩნიათ სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე და მიუთითა, რომ ა. ა-ძის დამოუკიდებელი სარჩელის გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ი-შვილის სახელზე არღიცივისა და ამ სახლის აუქციონის წესით რეალიზაციის საკითხის განხილვა უშუალოდ ეხება ქ. და გ. გ-შვილების ინტერესებს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას საერთოდ არ მიუთითა და გაითვალისწინა პირთა ინტერესები და გაურკვეველი დატოვა, თუ რატომ უნდა მოხდეს იმ სახლის რეალიზაცია, რომლის რაიმე ფორმით დატვირთვისა და რეალიზაციის აუცილებლობა ბავშვების კუთვნილ ფართის ნაწილში არ არსებობს.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იპოთეკის წარმოშობის ვადას, კერძოდ, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრის რეგისტრაციის შედეგად, მაშინ როდესაც იპოთეკა წარმოიშობა მხოლოდ 2000წ. 9 ივნისს, როდესაც უკვე არსებობდა დავა მხარეთა შორის მითითებული სესხის თაობაზე და 1999წ. 21 დეკემბერს გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ, რომელმაც განსაზღვრა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების ფორმა და წესი და დადგენილ იქნა, რომ გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე იპოთეკით დატვირთული სახლი არ იქნეს მოქცეული სესხის ასანაზღაურებლად.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ი-შვილმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ა. ა-ძის მოთხოვნაზე უარის თქმა. მის საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 266-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ ა. ა-ძეს უფლება არა აქვს, სადავო გახადოს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ კი, ის, რომ გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე

იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლი არ უნდა იქნეს მიქცეული სარეალიზაციოდ მის მიერ გაცემული სესხის ასანაზღაურებლად. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილებას.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა ა.ა-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ა. ა-ძეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება ახლად აღმოჩენილ გარემოების თაობაზე, კერძოდ, ის ფაქტი, რომ სოფ. ... არ იყო კოლმეურნეობა, ცნობილი იყო სასამართლოსათვის ჯერ კიდევ 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილების გამოტანამდე და, შესაბამისად, 2000 წელს ეს ფაქტი ვერ იქნებოდა ახლად აღმოჩენილი გარემოება. კასატორი მიუთითებს, რომსასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 286-ე და მე-300 მუხლები.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლი, რომელიც არ გამოიყენა, ამასთან არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 1515-ე და 289-ე მუხლები, რომლებიც გამოიყენა.

კასატორი აღნიშნავს, რომ 2001წ. 22 მაისის განჩინება კანონსაწინააღმდეგოა, რადგან განჩინების გამოტანისას, ნ. ბურდული მოსამართლე არ იყო, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 2001წ. 22 მაისის ბრძანებულებით, მას შეუწყდა მოსამართლის უფლებამოსილება.

სამოტივაციო ნაწილი:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 1998წ. 8 ოქტომბერს ა. ა-ძესა და მ. ი-შვილს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ა. ა-ძემ ექვსი თვის ვადით ასესხა მ. ი-შვილს 40000 აშშ დოლარი. აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად მხარეს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა მ. ი-შვილის საკუთრების უფლებით რიცხული გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ა. ა-ძემ სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოში მ. ი-შვილის მიმართ და მოითხოვა 40000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრება იპოთეკით დატვირთული სახლის რეალიზაციის გზით.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით თანხის დაკისრების ნაწილში სარჩელიდაკმაყოფილდა, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული სახლი არ იქნა გამოყენებული მოსარჩელის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რადგან დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილებით იპოთეკით დატვირთული ზემოაღნიშნული ქონება ჩაითვალა კომლის საკუთრებად და ამდენად, აღნიშნული ქონება აღარ წარმოადგენდა მარინე ი-შვილის საკუთრებას.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა ა. ა-ძის განცხადების საფუძველზე და საქმის წარმოების განახლების შემდეგ დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 2002წ. 12 აპრილის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ვ. და ქ. გ-შვილების სარჩელი ი-შვილის სახელზე გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლზე გაცემული საკუთრების უფლების, კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობათა გაუქმებისა და სახლის კომლის საერთო საკუთრებაში დატოვების შესახებ, კანონიერ ძალაშია შესული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენს 1998წ. 30 სექტემბერს მ. ი-შვილის სახელზე გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე გაცემული საკუთრების უფლებისა და კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობების საფუძველზე სახლის კვლავ მ. ი-შვილის სახელზე აღრიცხვა და 1998წ. 8 ოქტომბერს ა. ა-ძესა და მ. ი-შვილს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მისი აუქციონის წესით რეალიზაციის საკითხი.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება

მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

აღნიშნული ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიმარტოს იპოთეკის ინსტიტუტის დანიშნულება და თავისებურება.

იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, წარმოადგენს მყარ გარანტიას, იმედს, რომელიც ეძლევა კრედიტორს სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან. (სკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილი). კრედიტორი აღნიშნული უფლების (იპოთეკის) მფლობელი ხდება მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (ამავე კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

აღნიშნული დანაწესიდან ვლინდება იპოთეკის ინსტიტუტის მიზანი, დანიშნულება, რომლის თანახმად იპოთეკის უფლების მფლობელს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ნივთიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა არ აკონკრეტებს იმ კრედიტორთა წრეს, ვის მიმართაც გააჩნია უპირატესობა უზრუნველყოფილ კრედიტორს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ კრედიტორებში იგულისხმებიან ნებისმიერი პირები, რომელთაც გააჩნიათ მოთხოვნები მესაკუთრის მიმართ.

ამრიგად, ა. ა-ძეს, როგორც იპოთეკით უზრუნველყოფილ კრედიტორს გააჩნია უპირატესი უფლება ყველა სხვა კრედიტორებთან, მათ შორის, ვ. გ-შვილსა და ქ. გ-შვილთან შედარებით მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება იპოთეკით დატვირთული ნივთიდან.

უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლება ასევე დაცულია პრეზუმფციით. ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სკ-ის 297-ე მუხლი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმფციას ახალ კრედიტორზე იპოთეკისა და მოთხოვნის გადასვლისას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი მუხლის მე-2 წინადადების დადგენილი დანაწესი ეხება არა მარტო ახალ კრედიტორს, რომელზედაც გადადის იპოთეკა და მოთხოვნა, არამედ ნებისმიერი იპოთეკის უფლებით უზრუნველყოფილ კრედიტორს.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მ. ი-შვილი რეგისტრირებული იყო გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მას გააჩნდა აღნიშნული სახლის განკარგვის უფლება, მათ შორის, აღებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთვის უფლებაც. ამრიგად, ა. ა-ძეს, როგორც უზრუნველყოფილ კრედიტორს, შეუძლია დაიცვას აღნიშნული უფლება ნებისმიერი სხვა კრედიტორის წინაშე და პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთით. აღნიშნული პრეზუმფცია ფაქტობრივად იცავს იმ გარანტიებს, რომლითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია მისი მოთხოვნა და წარმოადგენს იმ სამართლებრივ წინაპირობას, რომელზედაც დამოკიდებულია მხარეთა მიერ ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფის გამოყენების ბედი.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორის კეთილსინდისიერების განსაზღვრის წინაპირობას წარმოადგენს მოვალის იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრედ რეგისტრაციის ფაქტი.

ამრიგად, იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს თუნდაც უსწორო იყოს რეესტრის ჩანაწერი, რომლის შესახებ არ იცოდა უზრუნველყოფილმა კრედიტორმა, მიიჩნევა სწორად, რასაც საბოლოოდ მოჰყვება ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რაც გათვალისწინებულია იპოთეკის ინსტიტუტით.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ რეესტრში განხორციელებულია უსწორო ჩანაწერები, რომლითაც ილახება მესამე პირების უფლებები და რომლის შესახებ არ იცოდა უზრუნველყოფილმა კრედიტორმა, ითვლება სწორია და, ამ უსწორო ჩანაწერის გამო, უზრუნველყოფილ კრედიტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ იპოთეკის ხელშეკრულება რეგისტრირებულ იქნა გარდაბნის რაიონის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიულ სამსახურში 2000წ. 9 ივნისს. სკ-ის 1515-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე, კოდექსით ამ სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციებს ახორციელებდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, 2000წ. 9 ივნისს გარდაბნის რაიონის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიულ სამსახურში იპოთეკის ხელშეკრულების

რეგისტრაციის ფაქტი თავისი სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს, რადგან იმ დროს სრულად არ იყო ჩამოყალიბებული საჯარო რეესტრის სამსახური.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ა. ა-ძე წარმოადგენს უზრუნველყოფილ კრედიტორს, რომელსაც გააჩნია უპირატესობა სხვა დანარჩენ კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირების უფლებებს იცავს სკ-ის 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად მესაკუთრეს ან მესამე პირს, რომლის უფლებებიც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი.

ამრიგად, ძირითადი მოთხოვნა სესხის დაკისრების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, უზრუნველყოფილ კრედიტორს (ა. ა-ძეს) უფლება აქვს, მოთხოვოს იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ მესამე პირს მიაჩნია, რომ ამით შეიძლება მათი უფლებები შეილახოს, უფლება აქვს, დააკმაყოფილოს ძირითადი მოთხოვნა და ამით აიცილოს მისთვის არასასურველი შედეგის დადგომა.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ა. ა-ძე წარმოადგენს იპოთეკის უფლების მფლობელს და დაუშვებელია მას არამართლზომიერად შეზღუდოს ან სხვა გვარად წაერთვას ეს უფლება. სსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.

ზუსტად ამ უფლების დაცვას ემსახურება სადავო სახლის კვლავ მისი მოვალის სახელზე რეგისტრაციის შესახებ მოთხოვნა. ამდენად, სადავო სახლის კვლავ მარინე ი-შვილს სახელზე აღრიცხვა, წარმოადგენს იპოთეკის უფლების დაცვის უზრუნველყოფას. აღნიშნული იპოთეკის უფლების მფლობელი არის ა. ა-ძე და არა მ. ი-შვილი. კონკრეტულ შემთხვევაში დარღვეულია ა. ა-ძის, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლება, რომლის დაცვის უფლება მას გააჩნია.

ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ა. ა-ძის მოთხოვნა სცილდება დისპოზიციურობის პრინციპს და ამით სასამართლომ მიაკუთვნა მ. ი-შვილს ის, რაც მას არ უთხოვია.

არ შეიძლება ასევე გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 266-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ ა. ა-ძეს უფლება არა აქვს, სადავო გახადოს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ კი, ის, რომ გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლი არ უნდა იქნეს მიქცეული სარეალიზაციოდ მის მიერ გაცემული სესხის ასანაზღაურებლად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით თანხის დაკისრების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული სახლი არ იქნა გამოყენებული მოსარჩელის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რადგან დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილებით იპოთეკით დატვირთული ზემოაღნიშნული ქონება ჩაითვალა კომლის საკუთრებად და ამდენად, აღნიშნული ქონება აღარ წარმოადგენდა მარინე ი-შვილის საკუთრებას.

კიდევ ერთხელ დავპენთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს 1998წ. 30 სექტემბერს მ. ი-შვილის სახელზე გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე გაცემული საკუთრების უფლებისა და კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობების საფუძველზე სახლის კვლავ მარინე ი-შვილს სახელზე აღრიცხვა და 1998წ. 8 ოქტომბერს ა. ა-ძესა და მარინე ი-შვილს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მისი აუქციონის წესით რეალიზაციის საკითხი.

აღნიშნული მოთხოვნის აღძვრის წინაპირობას წარმოადგენს დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 1999წ. 25 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც იპოთეკით დატვირთული ზემოაღნიშნული ქონება ჩაითვალა კომლის საკუთრებად და ამდენად, აღნიშნული ქონება აღარ წარმოადგენდა მარინე ი-შვილის საკუთრებას.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ა-ძის მოთხოვნას გააჩნია სხვა საფუძველი, რომელიც განსხვავებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილების გამოტანის დროს არსებული მოთხოვნის საფუძველისაგან, კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში ა. ა-ძის მოთხოვნას – სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის ამოღება მოხდეს

იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით, საფუძვლად უდევს გარდაბნის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე გაცემული საკუთრების უფლებისა და კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობების საფუძველზე სახლის კვლავ მარინე ი-შვილის სახელზე აღრიცხვა.

ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია სსკ-ის 266-ე მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო განაცხადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. აღნიშნული ნორმის თანახმად, კუმულაციურად უნდა არსებობდეს სამივე ელემენტი, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი. ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში გამოირიცხება ამ მუხლის გამოყენების წინაპირობა. ამრიგად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი მოთხოვნას გააჩნია სხვა საფუძველი, გააჩნია განსხვავებული ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ა. ა-ძე წარმოადგენს უზრუნველყოფილ კრედიტორს, იპოთეკის ხელშეკრულება რეგისტრირებულ იქნა გარდაბნის რაიონის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიულ სამსახურში 2000წ. 9 ივნისს, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, მ. ი-შვილისათვის ა. ა-ძის სასარგებლოდ სესხის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული, ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია ა. ა-ძის მოთხოვნა საფუძველიანად.

კასატორი მ. ი-შვილი აღნიშნავს, რომ 2001წ. 22 მაისის განჩინება კანონსაწინააღმდეგოა, რადგან განჩინების გამოტანისას, ნ. ბურდული მოსამართლე არ იყო, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 2001წ. 22 მაისის ბრძანებულებით, მას შეუწყდა მოსამართლის უფლებამოსილება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელზედაც ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი მოწესრიგებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით. კასატორი არ უთითებს ისეთ გარემოებების არსებობაზე, რომლითაც დასტურდება ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის მომენტი, კერძოდ, მხარისათვის აღნიშნული აქტის კანონით დადგენილი წესით გაცნობის, ფოსტით გაგზავნის ან გამოქვეყნების ფაქტი, ასევე არ არსებობს ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, რომლის არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შეიძლება შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდე, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე, პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თვით ეს სამართლებრივი აქტი უნდა იყოს დაკავშირებული აღნიშნულ გარემოებებთან და მხოლოდ ამ გარემოებების არსებობის შემთხვევაში ამავე აქტით უნდა განისაზღვროს მისი ძალაში შესვლის მომენტი (იხ. სასამართლო პრაქტიკა, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №202კოლ 14.062006).

ამდენად, ერთად საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამოირიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. და ქ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
მ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007წ. 25  
მაისის გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

### 1. კანონის ანალოგია

- პირადი არაქონებრივი უფლების დაცვა
- შრომითი ხელშეკრულების მოშლა
- ცილისწამება

### 2. მოჩვენებითი და თვალთმაქციური გარიგება

### 3. ფორმის დაუცველად დადებული გარიგებანი

- არსებითი შეცდომის სახეები
- ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

### 4. იძულებით დადებული გარიგებანი

### 5. წარმომადგენლობა გარიგებებში

### 6. ხანდაზმულობა

- იჯარის ხელშეკრულება
- კრედიტორის და-იანების ანაზღაურება
- საწარმოო ტრავმა
- ხანდაზმულობის ვადის დაწყება

### 7. საკუთრება

- საერთო საკუთრებით სარგებლობის უფლება
- საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე
- საკუთრების უფლება ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე
- საკუთრების შექმნა უძრავ ნივთზე
- შემძენის ინტერესების დაცვა

### 8. უპირატესი შესყიდვის უფლება

### 9. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

### 10. სამეზობლო სამართალი – დაშუქებელი ხელყოფა

### 11. მოთხოვნის მფლობელის თანხმობა ვალის გადაკისრებისას

### 12. გირავნობა

### 13. იპოთეკა